(წელიწადი მეშვიდე)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58, ღამის მორიგის 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 34; ტელეფონი № 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისთვის—1 მან. და 20 კაპ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ., ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფონი 13—80
ექსპედიციის 5—43.

პარასკევი, 18 ივნისი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 137 (1592)

დ ღ ი უ რ ი

- — გაიმართა საფრანგეთ - საბჭოთა კონფერენციის პლენარული სხდომა.
- — გერმანიის კომპარტია დღითი-დღე იზრდება.
- — პრაღაში გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაცია რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 50 ათასმა კაცმა.
- — პარიზში სახელმწიფო დაწესებულებების [illegible] გამართეს დიდი მანიფესტაცია.
- — ერიომ მოახსენა რომ პურის კრიზისის გამო, [illegible] ლებულ იქნას სასურსათო ბარათები.
- — არაბეთის პრესამ სირიაში პროტესტის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადა საფრანგეთის ცენზურის წინააღმდეგ.
- — მოსკოვში ჩავიდა ოსმალეთის სწავლა-განათლების სახალხო კომისარიატის დელეგაცია.

კოლექტიური მეურნეობანი

ცაკის სესიაზე, მთავრობის მოხსენების გარშემო გამართულ კამათის დროს, შეეხნენ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების საკითხსაც; აღნიშნული იყო, რომ არც ცენტრის და არც ადგილობრივი ორგანოების მხრივ არ ექცევა მათ ჯეროვანი ყურადღება. უფრო ადრე ამ საკითხზე შეჩერდა ჩვენი პარტიის ცკას უკანასკნელი პლენუმი, რომლის რეზოლუციაში ვკითხულობთ: „აღნიშნავს რა კომუნების, არტელების, სასოფლო-სამეურნეო კოლექტივების ზრდას და ცენტრის მხრივ მათდამი არასაკმაო ხელმძღვანელობას, ცეკას პლენუმი ავალებს პრეზიდიუმს დააჩქაროს მათი შესწავლა და მიიღოს მთელი რიგი კონკრეტიული ზომები მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

ზედმეტია იმაზე სიტყვის გაგრძელება, რომ სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ სოფლის მეურნეობის აღორძინებაში სოციალისტურ საფუძვლებზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოება და მიწადსარგებლობა ჩვენში ძალზე დაქუცმაცებულია, რაც შესაძლებლობას არ იძლევა მიწადმოქმედებაში თანამედროვე ტეხნიკა იქნეს შეტანილი. თვალსაჩინო ტეხნიკური პროგრესი სასოფლო-მეურნეობაში მოსახერხებელია მხოლოდ წვრილ-ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანების. კოლექტივები არის ერთ-ერთი გზა, რომელსაც მივყევართ სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამსხვილებისაკენ.

ამავე დროს კომუნები ნიადაგს ქმნიან გლეხის ვიწრო მესაკუთრეობითი მიდრეკილების დასაძლევად და კოლექტივისტური ფსიქოლოგიის განვითარებისათვის. კოლექტივები სოციალისტურ მეურნეობის ელემენტებია სოფლად.

სამეურნეო კოლექტივებს კარგად დიდი მნიშვნელობა აქვთ ღარიბ გლეხობის წელში გასწორებისათვის, მათი მეურნეობათა ფეხზე წამოსაყენებლად. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ღარიბ გლეხობის დახმარებაზე. ვაძლევთ მათ მრავალ დახმარებას და შეღავათებს. მაგრამ ყველაფერი ეს თვალსაჩინო ნაყოფს ვერ მოგვცემს, თუ ვერ შევძელით ღარიბ გლეხობის შეკავშირება საწარმოო მიზნით. ღარიბ გლეხთა მიწების, საწარმოო საშუალებების, ძალღონის გაერთიანება, მათი თავმოყრა კოლექტივებში და უკანასკნელთა მოსაღონიერებლად სახელმწიფოს დახმარების გამოყენება—ეს საწინდარი იქნება იმის, რომ ღარიბი გლეხობა დღევანდელ დაბეჩავებულ მდგომარეობას თავს დააღწევს და სოფლის საწარმოო ძალების განვითარების მძლავრი ფაქტორი გახდება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ სასოფლო-სამეურნეო კომუნებს დღემდე არ ექცეოდა ის ყურადღება, რომლის ღირსი ისინი უეჭველად არიან. ისიც არ არის ხეირიანად შესწავლილი, როგორია ამ მხრივ ჩვენში ფაქტიური მდგომარეობა, რამდენი კოლექტივი არსებობს, რა ტიპის, რანაირია მათი სოციალური და რიცხვობრივი შემადგენლობა, რა საშუალებები გააჩნიათ და სხ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროიდან სასოფლო-სამეურნეო კომუნებმა სტიქიურად იწყეს აღმოცენება. ბევრ ალაგას ასეთების ნიღაბ ქვეშ სულ სხვა რამ იმალებოდა; ზოგიერთ კულაკურ ელემენტებმა ზედმეტი მიწის ჩამორთმევის თავიდან ასაცილებლად მოინდომეს ხელისუფლებისათვის თვალის ახვევა მოჩვენებითი კოლექტივების დაარსებით, ნამდვილად კი ყველაფერი ძველებურად დასტოვეს. მთავრობამ ასეთ „კომუნებს“ კბილები მალე გაუსინჯა და ბოლო მოუღო. მრავალი იყო გულწრფელი გატაცებაც ნამდვილი კოლექტივების შექმნისაკენ. ეს გატაცება უმეტეს შემთხვევაში განელდა შემდეგში, გლეხის ინდივიდუალიზმმა ბოლოს თავისი გაიტანა და კოლექტივები თავისით დაიშალენ. მნიშვნელობა ჰქონდა აქ გამოუცდელობას, ახალ საქმისადმი შეუჩვევლობას, თავის დროზე საჭირო დახმარების გაუწევლობას და ბევრს სხვა გარემოებასაც.

მაგრამ იდეა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივობისა არ მომკვდარა. ზოგან ისინი დარჩნენ. ბოლო წლებში აქა-იქ ახლებიც შეიქმნა. ეხლა, როცა სოციალისტური მშენებლობის საკითხი პრაქტიკულად დგას, როცა ღარიბ გლეხობის შეკავშირება და მისი მეურნეობის აღორძინება ხელისუფლების მზრუნველობის ცენტრშია მოქცეული,—განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო კოლექტივებსაც. მხოლოდ ჩვენ უნდა შევიტანოთ მათ მშენებლობაში საჭირო გეგმიანობა და აღმოუჩინოთ მათ შესაფერი ორგანიზაციული და მატერიალური დახმარება.

საქმე უნდა დავიწყოთ გლეხობის გაერთიანების მარტივ ფორმებიდან, რომლებიც უფრო გასაგები და მისაღებია მისთვის. კოლექტივებისაკენ გარდამავალ საფეხურებად უნდა ჩაითვალოს საწარმოო კოოპერატიული გაერთიანებანი, როგორიცაა, მაგ., სამახნო, სამელიარაციო და სხვა ამხანაგობანი. ჩვენ ფართოდ უნდა მოვკიდოთ ხელი ასეთების შექმნას.

თვით კოლექტივებში გაირჩევიან მიწის საზიაროდ დამუშავების ამხანაგობები, არტელები და კომუნები. პირველი მათგანი, გასაგები მიზეზების გამო, ჯერჯერობით უფრო გავრცელებულია. აქ გლეხის სამეურნეო ცხოვრება მნიშვნელოვანად არ არის შეცვლილი, გაერთიანებულია მხოლოდ მიწის დამუშავება. ყველაფერ დანარჩენში კი გლეხი ძველებურად ეწევა დამოუკიდებელ მუშაობას და მეურნეობას. მიწის საზიაროდ დამუშავების ამხანაგობებს საკმაო ნიადაგი აქვთ ჩვენს სინამდვილეში.

არტელები კოლექტივების უფრო რთული ფორმაა. აქ განხორციელებულია მიწით და წარმოების საშუალებებით საერთო სარგებლობა; ამავე დროს არტელის წევრები ცალკე ცხოვრობენ და პირად მეურნეობას ასევე ცალკე ეწევიან.

კოლექტივების უმაღლეს ფორმად უნდა ჩაითვალოს კომუნები. აქ ბოლომდაა გატარებული შრომის, მისი პროდუქტების, საშუალებათა და თვით ცხოვრების კოლექტივიზაცია.

გაერთიანების ყველა ეს ტიპები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული კოლექტივების შესწავლისა და მშენებლობის დროს. კოლექტივების დაბალი ფორმებიდან თანდათან უნდა გადავიდეთ მათ მაღალ ფორმებზე. ამასთან ცხადია, ჩვენ ეხლავე უნდა ვცდილობდეთ უკანასკნელთა შექმნას, სადაც ეს მოსახერხებელია.

პირველი, რასაც უნდა მიექცეს ყურადღება კოლექტივების მშენებლობის დროს, არის ნებაყოფლობის პრინციპი. არავითარ იძულების ნასახს აქ ადგილი არ უნდა ექნეს. მხოლოდ დაჯერებითი მეთოდით უნდა დავარწმუნოთ გლეხობა კოლექტივებში შეკავშირების სარგებლიანობაში.

საჭიროა, რომ კოლექტივების მაღალ ფორმებში მოხდეს დაახლოვებით ერთი და იმავე შეძლების ხალხი, რომელნიც ერთმანეთს კარგათ იცნობს და ენდობა, რომ შემდეგში უზრუნველყოფილი იქნეს სოლიდარული მუშაობა საერთო კეთილდღეობისათვის.

კოლექტივები არ უნდა ჩაიკეტონ თავის ნაჭუჭში. მათ მჭიდრო კავშირი უნდა გააბან დანარჩენ გლეხობასთან და გავლენა მოახდინონ უკანასკნელზე მისი შეკავშირების მიზნით.

ცხადია, ამას კოლექტივები მხოლოდ მაშინ შესძლებენ, თუ მათი მეურნეობა მისაბაძი მაგალითი იქნება სოფლისათვის, თუ მეურნეობას ისინი დააყენებენ სათანადო სიმაღლეზე, შეიტანენ მასში თანამედროვე ტეხნიკას, რომლის დადებითი ნაყოფი აშკარა გახდება ყველასათვის. ამასთან კოლექტივებმა უნდა შეიტანონ მეურნეობაში საჭირო სამეურნეო ცოდნა, დაეხმარონ გლეხობას საწარმოო საშუალებებით და აგრიკულტურული ღონისძიებებით.

კოლექტივებს, რომ მათი მეურნეობა სათანადოთ იქნეს მოწყობილი, დახმარება უნდა აღმოუჩინოს შეღავათიან პირობებში ინვენტარით და სესხის მიწოდებით და სხ. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივები სხვის შემყურე არ უნდა იყვნენ და „სოციალურ უზრუნველყოფის დაწესებულებებად“ არ უნდა იქცენ. ასეთ ტენდენციას კი აქვს ადგილი. კოლექტივებს არა იშვიათად აარსებენ იმ განზრახვით, რომ დახმარება მიიღონ. კოლექტივები უნდა დადგნენ საკუთარ ფეხებზე. შრომის ნაყოფიერების აწევა, საქონლიანობის გადიდება, დაკვირვებით გამომუშავებულ გეგმის მიხედვით მუშაობა, მეურნეობის შეფარდება საბაზრო პირობებთან—აი რა ევალებათ კოლექტივებს.

აუცილებელია კოლექტივებზე ხელმძღვანელობის გაძლიერება, ერთი მხრივ მიწადმოქმედების კომისარიატის, მეორე მხრივ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მხრით. თავის თავად ცხადია, რომ პარტია, როგორც ყველა სხვა მშენებლობას, ამ საქმესაც უდგას სათავეში და გარკვეულ მიმართულებას აძლევს კოლექტივებს. ამ ხელმძღვანელობისათვის და დახმარების გასაწევად პირველ ყოვლისა უნდა იქნეს შესწავლილი კოლექტივების ეხლანდელი მდგომარეობა, მათი მიღწევები თუ უარყოფითი მხარეები. აქედან მიღებული გამოცდილება საკმაო მასალას მოგვცემს კოლექტივების სწორი მშენებლობისა და მათი გაუმჯობესებისათვის.

„რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ“...

ჟორდანია - რამიშვილის ბანდა უკან იხევს. მან უკვე იპოვა თავის შესაფერისი ვექილი მუშათა კლასის ნაცად მოღალატის, ცნობილ სოციალ-გამცემლის პიერ რენოდელის სახით.

თურმე ნუ იტყვით, ქართველი მენშევიკები „პრინციპიალურად წინააღმდეგი არიან ინდივიდუალურ ტერორის“; თურმე მერაბიშვილი არასოდეს ყოფილა მენშევიკურ პარტიაში. და ყველა ამ „პატივსადებ“ მოსაზრებათა გამო ქართველი მენშევიკების პარიზელ ბიუროს არავითარი კავშირი აქვს გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობასთან.

დაუშვათ, რომ ეს ასეა, ერთი წუთით. წარმოვიდგინოთ თავი გულუბრყვილო ბალღებათ და მენშევიკური წოლაბოდილა გულწრფელ მტკიცებათ მივიღოთ. მაგრამ მენშევიკურ პარტიას და კერძოთ ქართველ მენშევიკების „მოღვაწეობას“ საბედნიეროთ თუ საუბედუროთ მარტო ამ ერთი თავხედური გამოსვლით ხომ არ ვიცნობთ?

ჩვენ გუშინაც ვწერდით და დღესაც იძულებული ვართ ამ ცნობებთან დაკავშირებით ერთხელ კიდევ მოვიგონოთ ისეთი ფაქტი, რომელსაც უთუოდ დიდი მსგავსება აქვს გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობასთან. განსხვავება აქ მხოლოდ მოქმედების ასპარეზსა და პიროვნებების ვინაობაშია. ერთი მოხდა აქ, საქართველოში, ხოლო მეორე იქ, შორეულ პარიზის ქუჩებში. პირველ შემთხვევაში ტერორისტულ აქტის მსხვერპლათ დაეცნენ გიორგაძე და ქაიხოსროშვილი, ხოლო მეორე შემთხვევაში გრიგოლ ვეშაპელი.

კარგათ გვახსოვს, წლებზე როგორ იდგამდა ფეხს მენშევიკური არალეგალური ცეკა და ყოველ გზა-ჯვარედინზე ჰყვიროდა, რომ გიორგაძე-ქაიხოსროშვილის მკვლელობასთან მას არაფერი საერთო აქვს, რომ ის წინააღმდეგია ინდივიდუალურ ტერორის, რომ მენშევიკურ ცეკამ არაფერი იცის ამ საქმის.

რა გამოირკვა სინამდვილეში? ბანდიტ კოღუაშვილის გულწრფელ ჩვენებამ, რომელიც მან მისცა ხელისუფლების ორგანოებს, ყველა ამ უხეირო კუკუ-მალულიაობას საბოლოოთ ახადა ფარდა. კოღუაშვილმა მოჰკლა გიორგაძე და ქაიხოსროშვილი და მათთან ერთად ბევრი სხვაც მენშევიკურ ცეკას პირდაპირი დავალებით. ისე, როგორც მერაბიშვილი, არც კოღუაშვილი ყოფილა მენშევიკურ პარტიის წევრი.

მაგრამ ფაქტი ფაქტად დარჩა. შუბი ხალთაში არ დაიმალა. დღეს უკვე დოკუმენტალურად დამტკიცებულია, რომ ქართული მენშევიკური ბანდები ყოველგვარ სისაძაგლეს მიმართავენ, ოღონდ კი რაიმე ავნონ მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას საქართველოში.

ტყუილ ცდაა. თუ პარიზში მობინადრე მენშევიკურ ბანდებს ჰგონიათ, რომ ასეთი დაცრეცილ პირბადით დამალავენ თავიანთ ყაჩაღურ სახეს, დაე, თავი იკატუნონ „აბრამის კრავებათ“. მათ ფიცს, ფეხებითაც რომ ჩამოეკიდონ, დღეს ბალღიც კი არ დაიჯერებს.

ჩვენ გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ: გრიგოლ ვეშაპელი ვერაგულათ მოჰკლა პარიზში გადახვეწილ მენშევიკურ ბანდებმა, მათ კვლავ ამოაძვრეს ქარქაშიდან დაჟანგული იარაღი ქართველ მუშებისა და მშრომელ გლეხების გზით მავალ ემიგრანტების წინააღმდეგ და ამით, რასაკვირველია, თვით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგაც.

კარგი საქმეა, რაღა თქმა უნდა: ჯერ კაცი მოჰკლა, საშიშარი მტერი თავიდან მოიშოროს და შემდეგ ამოაძვრინოს დატრეტილ მენშევიკურ ტიბიკონიდან ურყევი „საბუთი“: „მე წინააღმდეგი ვარ ინდივიდუალურ ტერორის, კეთილინებეთ, უკან წაიღეთ თქვენი ბრალდებაო“.

ისეთი ბრიყვები, ვინც ამ ოლობოდიას დაიჯერებს, გრიგოლ ვეშაპელის იდეურ და ფიზიკურ მკვლელებმა ევროპის ბურჟუაზიის დერეფნებში ეძებონ, სადაც დაძრწიან მუშათა კლასის მოღალატეები მეორე ინტერნაციონალის სამწყსოდან.

სისხლის სამართლის პრაქტიკამ ორგვარი ბანდიტი იცის. არის ყაჩაღი—ბოროტმოქმედი, რომელსაც შესწევს მოქალაქეობრივი გამბედაობა გულახდილათ აღიაროს თავისი დანაშაული, არის ყაჩაღი, რომელიც სძარცვავს, გლეჯს და მაინც თავის თავს პატიოსან კაცად ასაღებს. პარიზში მობინადრე მენშევიკური ბანდები ყაჩაღთა ამ მეორე ტიპს ეკუთვნის. მათ დაჰკარგეს ის უკანასკნელი კეთილშობილებაც კი, რომელიც ანსხვავებს შემთხვევით ბანდიტს პროფესიონალ ბანდიტისაგან.

ისინი საქვეყნოთ აფურთხებენ მას, რასაც სჩადიან. გულში კი გესლიანათ იცინიან. მაგრამ ეს სიცილი ტირილის წინამორბედია. საქართველოს მუშებისა და გლეხების ხელისუფლება ამგვარ „ოხუნჯობას“ შარათ არავის შეარგებს.

მ. ლ—ძე.

გენერალურ საბჭოს დანაშაულება*)

სამთამადნო მუშებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ გენერალურ საბჭოს ქვე-კომისიასთან. ეს უკანასკნელი ამბობდა, რომ მაღაროების მეპატრონეებთან შეტაკების მოლოდინში ის იმავე პოზიციას იცავს, რომელიც მას გასული წლის ივლისში ეჭირა.

სხვადასხვა დროს პროფკავშირების სახელით მოლაპარაკების მწარმოებელი კომიტეტი არწმუნებდა სამთამადნო მუშების წარმომადგენლებს, რომ ის ყოველივე ძალ-ღონით ჩვენს ინტერესებს დაიცავდა. ჩვენი კავშირის თავმჯდომარე ჰერბერტ სმიტი ხშირად იმეორებდა, რომ ჩვენ არ შეგვიძლია მუშაობის გაგრძობა შრომის ასეთ აუტანელ პირობებში და ასე მცირე ხელფასის არსებობის დროს.

მუშათა მოძრაობის ბელადებმა ძალიან კარგად იცოდენ, რომ მაღაროების მეპატრონეებმა და მთავრობამ გადასწყვიტეს არა თუ სამუშაო ხელფასის შემცირება, არამედ აგრეთვე სამუშაო დღის გადიდებაც.

ტრედიუნიონების გენერალურმა საბჭომ, როგორც კი დაინახა, რომ გაფიცვა აუცილებელი იყო, მოიწვია 29 აპრილს ყველა კავშირების დელეგატთა კონფერენცია. ამ კონფერენციამ ორი მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა. ერთში ნათქვამი იყო, რომ არავითარი მოლაპარაკება არ შეიძლება დაწყებულ იქნეს მანამდი, სანამ არ მოხსნიან მეპატრონეთა მიერ გამოცხადებულ ლოკაუტს; მეორე კი—ეს იყო საპირველმაისო გადაწყვეტილება, რომელიც ამჟამად ისტორიულ გადაწყვეტილებათ იქცა.

ჩვენ ვფიქრობდით, რომ შეიძლებოდა ამ კონფერენციის უფრო ადრე მოწვევა და რომ საჭირო იყო მზადება გაფიცვისათვის. ჩვენ რამოდენიმეჯერ დაჟინებით მოვითხოვდით, რომ ეს მუშაობა გაწეული ყოფილიყო. მაგრამ არაფერი არ კეთდებოდა და ტომასი ირწმუნებოდა, რომ ჩვენი მზადება მხოლოდ საბაბს მისცემს მთავრობას, რომ თვითონ თავის მხრივ შეუდგეს მზადებასო. თუმცა ყველამ ვიცოდით, რომ მთავრობამ უკვე ყოველივე მოსამზადებელი ზომები მიიღო გაფიცვის მოლოდინში.

კავშირების რწმუნებულთა ამ საკვირველ დადგენილების შემდეგ, დელეგატები წავიდენ თავ-თავის სახლში იმ გადაწყვეტილებით, რომ განეხილათ მათი პოლიტიკა და რაიმე აზრი გამოეთქვათ მის შესახებ.

შაბათს საღამოს ჩემს განცვიფრებას და აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა **სრულიად შემთხვევით გავიგე**, რომ პროფკავშირების სახელით მოლაპარაკების მწარმოებელი კომიტეტი იმყოფებოდა პრემიერ მინისტრთან. მე, რასაკვირველია, აღშფოთებული ვიყავი მით, რომ ეს მე არ შემატყობინეს და რომ ისინი დამშვიდებულათ არჩევდენ სამთამადნო მუშების საქმეებს **სამთამადნო მუშების წარმომადგენლების დაუსწრებლად.**

ღამის 2 საათზე და 30 წუთ. მისტერ სიტრინთან (გენსაბჭოს ერთი მდივანთაგანი) ტელეფონით დალაპარაკების გზით მე ზოგი რამ გავიგე იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა იქ. ხოლო კვირა დილით ტრედიუნიონების გენერალურმა საბჭომ მთხოვა მე დაუყოვნებლივ მომეწვია სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომი, რაც მე შევასრულე.

ამ დღეს მე არასოდეს არ დავივიწყებ.

მოლაპარაკების მწარმოებელმა კომიტეტმა მიმიწვია მე და განმიცხადა, რომ მთავრობასთან მოლაპარაკების დროს მათ განიხილეს და მიიღეს შემდეგი ფორმულა:

„პრემიერ მინისტრი გენერალურ საბჭოს წარმომადგენლებთან მოლაპარაკების თანახმად ფიქრობს, რომ მოლაპარაკების გაგრძელებას მოჰყვება საყოველთაო გაფიცვის მოხსნა.

პროფკავშირების გენერალური საბჭო დარწმუნებულია, რომ ახლო მომავალში შეიძლება შეთანხმების მიღწევა“.

მე უნდა განვაცხადო, რომ ეს ფორმულა ნიშნავდა სამუშაო ხელფასის და საცხოვრებელ მინიმუმის შემცირებას, ის შეიცავდა ისეთ პირობებს, რომელთაც თვით პროფკავშირის გენსაბჭო ეწინააღმდეგებოდა.

მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებდი ჯერ ერთი იმის გამო, რომ პროფკავშირების სახელით მოლაპარაკების მწარმოებელმა კომიტეტმა ეს საკითხი განიხილა პრემიერ მინისტრთან ერთად **სამთამადნო მუშების წარმომადგენლების დაუსწრებლად**; გარდა ამისა მე სასტიკი პროტესტი განვაცხადე ამ ფორმულის წინააღმდეგ, **რადგან ის ეწინააღმდეგებოდა სამთამადნო მუშების მოთხოვნილებებს და პირველ მაისს შემდგარ საკავშირო კონფერენციის ინსტრუქციებს, რომელიც პროფკავშირის გენერალურ საბჭოს გაეგზავნა.**

ამავე კვირის საღამოს, როცა ქვე-კომისიას კვლავ თათბირი ჰქონდა პრემიერ-მინისტრთან და მის კოლეგებთან, გამომუშავებულ იქნა გენსაბჭოს წარმომადგენლებისათვის სავალდებულო შემდეგი ფორმულა:

„ჩვენ დავითანხმებთ სამთამადნო მუშებს, რომ მათ ჩვენ დაგვავალონ მოლაპარაკების წარმოება და მზად ვართ ვაწარმოოთ ეს მოლაპარაკება სამთამადნო მუშებთან. ჩვენ წინდაწინვე ვიცით, რომ მიზანი ამ მოლაპარაკების უნდა იყოს დავითანხმოთ სამთამადნო მუშები სამუშაო ხელფასის შემცირებაზე“.

გენერალურ საბჭოს არ შეუძლია უარჰყოს, რომ ასეთი ფორმულა წარმოდგენილი და მიღებული იყო ისეთი „ბელადების“ მიერ, როგორიცაა მისტერ ტომასი.

კავშირების რწმუნებულებმა გენერალურ საბჭოს გარკვეული ინსტრუქციები მისცეს. გენერალურმა საბჭომ დაიწყო მოქმედება, ხოლო რწმუნებულები დაბრუნდენ იმ მიზნით, რომ მომზადებული შეხვედროდენ ამ მოქმედების შედეგებს.

მოლაპარაკების მწარმოებელმა კომიტეტმა ორჯერ ფარულად ინახულა მთავრობა, მიუხედავათ თავისი დაპირებისა, რომ სამთამადნო მუშების წარმომადგენლების დაუსწრებლად მოლაპარაკებას არ გამართავდა. მან ორჯერ სცადა მიეღებინებია სამთამადნო მუშებისათვის ის ფორმულა, რომელიც ნიშნავდა სამუშაო ხელფასის შემცირებას, მიუხედავათ იმისა, რომ მას დავალებული ჰქონდა ბრძოლა ხელფასის შემცირების წინააღმდეგ.

ყველაფერი ეს ნათლად მოწმობს, თუ როგორ მოიქცა გენერალური საბჭო.

ა. ჯ. კუკ.

---

*) ეს წერილი წარმოადგენს ერთი თავის ნაწილს კუკის ახალი წიგნისას სათაურით: „ცხრა დღე („The nine days“), რომელშიც მოთხრობილია დიდი გაფიცვის ისტორია და რომელიც ამ დღეებში გამოვა ლონდონში. წერილი მოგვყავს ინგლისის კომპარტიის ორგანოდან: „ვორკერს ვიკლი“ (4 ივნისი, № 172). რედ.

ბრძოლა მომჭირნეობის რეჟიმისათვის

(„პრავდას“ მოწინავე)

ეხლა ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებამ მიაღწია ისეთ დონემდე, რომ შესაძლო იყოს მნიშვნელოვან შედეგების აღნუსხვა. მიუხედავათ ფართო კამპანიის წარმოებისა, ჩვენ ისევ გზის დასაწყისში ვართ.

მუშაობის სიძნელეს თავისი მიზეზები აქვს. მსგავს კამპანიებთან შედარებით, რომლებიც წინედ ჩავატარეთ, ეს კამპანია გაცილებით მეტის სიფართოვით და სიღრმითაა აღებული. პარტიის მიერ დასახული ამოცანები არ შეიძლება უკვე განხორციელებულად ჩაითვალოს იმით, რომ ხარჯების შემცირება მოვახდინეთ. აუცილებელია, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, მთელი სამეურნეო სახელმწიფო და საზოგადოებრივი მექანიზმის მუშაობის ღირებულების საერთო შემცირება. ცალკე შედეგები, რა დიდი მნიშვნელობისა და ღირებულებისაც არ უნდა იყვნენ თავისთავად, მხოლოდ დასახულ საერთო ამოცანათა თვალსაზრისის მიხედვით იქნებიან განხილულნი.

ობიექტიური მიზეზების გარდა, რომლებიც მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელების ტემპს ანელებენ, არსებობენ სუბიექტიურ მიზეზთა მთელი რიგი, რომლებიც არაფრით არ შეიძლება იქნან გამართლებული.

პირველი. ჩვენ ნელა ვმუშაობთ. ბევრი ხმაურობა და ლაპარაკია, შედეგები კი ცოტაა. საუკეთესო შემთხვევაში წარმოებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა რამდენადმე გასწორების [illegible] მმართველობის აპარატი, შე[illegible] ზოგიერთი გადაჭარბებული ხარჯები. ხელშეუხებლადაა დატოვებული სამეურნეო საქმიანობის მეთოდები, პროდუქციის ზრდის პირობები, წარმოების დაყენება, ერთი სიტყვით, უმთავრესი, რისგანაცაა დამოკიდებული დაგროვების პროცესის გაძლიერება.

უმნიშვნელოვანეს ამოცანებისათვის ყურადღების მიუქცევლობაში დამნაშავე არიან არა მარტო ხელმძღვანელები და სამეურნეო მუშაკები, პასუხისმგებლობა ეკისრება ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც და მათ რიცხვში პრესასაც. ისინი ხშირად დიდ ყურადღებას აქცევენ მხოლოდ წვრილმან ფაქტებს, ხანდახან შეუმოწმებელს და ყალბ ფაქტებს. ზედმიწევნითი აღრიცხვა არა ხდება წარმოების მუშაობის პირობებისა და მიღწევებისა. ზოგან კამპანია სამეურნეო მუშაკების ლანძღვას, სენსაციით გატაცებას და მამხილებელ ქრონიკას წარმოადგენს. წარმოებათა და დაწესებულებათა საკმაოდ მტკიცე ხელმძღვანელები მათ წინააღმდეგ გალაშქრებაზე, უცბათ შეხანხლილი გადაწყვეტილებების მიღებით უპასუხებენ. ყოველივე ამის შედეგათ სერიოზულ პრაქტიკულ ღონისძიებათა მაგივრად, ჩვენ ვიღებთ ბიუროკრატიულ საქმიანობას: კომისიების დატვირთვას, გეგმებს მხოლოდ ქაღალდზე, გაზვიადებულ რეკლამებს.

ჩვენ თვალ-წინ გვაქვს, პრაქტიკული საქმიანობის ბიუროკრატიული მოქმედებით შეცვლის საფრთხე, საფრთხე პარ[illegible] და ცხად დირექტივების [illegible]ები ამთავითვე უნდა იქმნას აღმოფხვრილი, სანამ ჯერ მხოლოდ ჩანასახს წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია მასსების ყურადღების შესუსტება მომჭირნეობის რეჟიმის გატარებისათვის.

უნდა ვაღიაროთ, რომ რა დიდიც არ უნდა იყოს ამ კამპანიის სიფართოვე, პირველის შეხედვით, ჩვენ ჯერ კიდევ არ შეგვიძლიან დავიკვეხოთ იმით, რომ ამ კამპანიაში ნამდვილად ჩაბმით ფართო მასსები. მხოლოდ სატახტო ქალაქის პრესამ შემოიღო გაზეთის ფურცლის ყველა განყოფილებებში სოციალისტური მომჭირნეობის იდეებისა და ფაქტების აღნიშვნა. ადგილობრივ, განსაკუთრებით განაპირა ადგილებში, მომჭირნეობის რეჟიმი საკმაოდ არაა გაშუქებული. მუშათა მასა, მცირეოდენის გამონაკლისით, მონაწილეობას არ იღებს კამპანიაში. სამეურნეო მუშაკების ანგარიშებში და საწარმოო თათბირებზე ამ კამპანიის საკითხებს პრაქტიკულად არ ეხებიან მთელი მასის სიფართოვით. არაა სათანადოთ გამოყენებული მუშების საქმიანი რჩევა წარმოების ორგანიზაციისა, სათბობის მომჭირნეობისა, მუშაობის გაცდენისა და სხ. საკითხების შესახებ.

უბრალო მუშამ ჯერ კიდევ კარგად ვერ შეიგნო, რომ მომჭირნეობის რეჟიმი უმაღლეს ინსტანციების მიერ ხარჯთ-აღრიცხვის შემოკლება კი არაა, არამედ კოლექტიური ბრძოლაა ყოველი წარმოების, და აქედან უკვე მთელი სახელმწიფოს ფაქტიური ხარჯების შემცირებისათვის.

დაბოლოს, ყველასათვის არაა გასაგები მომჭირნეობის მიზნები, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის აზრი და ამოცანები, მისი მნიშვნელობა პროლეტარულ საქმისათვის და სოციალიზმის შენობის წარმატებით აგებისათვის.

რაც შეეხება სოფელს, აქ მუშაობა ჯერ სრულიად არ დაწყებულა. გლეხური პრესა და სოფლად მომუშავე ორგანიზაციები მხოლოდ ეხლა იწყებენ კამპანიას. გლეხებმა არ იციან კამპანიის მიზნები; ქალაქში კი არ იციან, თუ როგორ უნდა გაატარონ ეს კამპანია სოფლად.

თუ სოფლად შესაძლოა კამპანიის დამახინჯებული გაგება რაიმე ცნობათა უქონლობის გამო, ქალაქად კი მომჭირნეობის რეჟიმის ამოცანების შესახებ შემცდარი და ყალბი წარმოდგენა შეიძლება გამოდინარეობდეს ფაქტებით გაუმტკიცებელ აგიტაციის წმინდა სიტყვიერი ხასიათიდან. აქა-იქ მუშები გამოსთქვამენ ეჭვს: მომჭირნეობა ხომ არ გააუარესებს შრომის პირობებს და არ შეამცირებს სამუშაო ხელფასს? შემცდარი წარმოდგენის გაფანტვა მხოლოდ კონკრეტიული ფაქტებით შეიძლება. თუ მოსახლეობა დღიდან-დღემდე დაინახავს, რომ სწარმოებს გადამჭრელი ბრძოლა უყაირათობასთან, თუ მასსები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ იმ ღონისძიებათა განსახორციელებლად, რომლებიც აპარატის გაუმჯობესებისა და გაიაფებისაკენ იქნება მიმართული, მაშინ თავის თავად შეიქმნება ნიადაგი ასეთივე გადამჭრელი ბრძოლისათვის იმ დეფექტების წინააღმდეგ, რომლებიც მუშების ჩამორჩენილობის გამო წარმოიშვენ,—სამუშაო დროის გაცდენის, მტაცებლობის, სპეცმოძულეობისა და სხ. წინააღმდეგ.

როგორც ქალაქად, ისე, განსაკუთრებით, სოფლად კამპანიის წარმატებით ჩატარება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ აგიტაცია გაჟღენთილი იქნება კონკრეტიული ფაქტებით და წინადადებებით. კამპანიის ჩამტარებელმა ორგანიზაციამ ყოველი აღძრული საკითხი უნდა გააცნოს თავის მასას, თავის აუდიტორიას.

მხოლოდ მითითება, რომ დღეს ესა და ეს ნაკლია შენიშნული და შემდეგ არაფრის თქმა იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა ამ ნაკლთა გამოსასწორებლად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად, თუ კი ეს საჭიროა, ნიშნავს იმას, რომ დაიღუპოს კამპანია და დაეკარგოს მას სერიოზული მნიშვნელობა დაინტერესებულ წრეების თვალში. მასის ყურადღება აქ საჭიროა არა მარტო ძველი დეფექტების გამომჟღავნებისათვის და ახლის თავიდან აცილებისათვის, არამედ გადაწყვეტილების შესრულების შესამოწმებლადაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი და ძველი დეფექტები მხოლოდ ქაღალდზე გაუქმდება.

შესრულების შემოწმების ჯეროვან ნიადაგზე დაყენება სათანადო საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციების უმთავრეს ყურადღების საგნად უნდა გახდეს —კამპანიაში ფართო მასსების ჩაბმის ამოცანასთან ერთად.

გადმოცემულია ტელეგრაფით

მოსკოვი, 17 ივნისი.

საკავშირო პროფსაბჭოს პროტესტი ინგლისის მთავრობის ნოტის წინააღმდეგ

საკავშირო პროფსაბჭო შემდეგშიც დაეხმარება ინგლისის გაფიცულ მუშებს

საფრანგეთის მუშები მხარს უჭერენ ინგლისის პროლეტარიატს

საფრანგეთი დაემებს პრემიერ-მინისტრს

საკავშირო პროფსაბჭოს მოწოდება

მოსკოვი, 17 ივნისი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ყველა ქვეყნების და საბჭოთა კავშირის მუშებს მიმართა შემდეგი მოწოდებით:

„ინგლისის კონსერვატიულმა მთავრობამ საბჭოთა მთავრობას მიმართა ნოტით იმ დახმარების გამო, რომელიც საბჭოთა პროფკავშირებმა გაუგზავნეს ინგლისის გაფიცულ მუშებს.

საბჭოთა კავშირის და ბრიტანეთის მუშების ურთიერთობაში ჩარევით ინგლისის მთავრობამ იერიში მიიტანა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის უფლებაზე გაუწიოს ძმური დახმარება სხვა ქვეყნის მუშებს იმ ფორმით და იმ რაოდენობით, რომელიც მას საჭიროდ მიაჩნია. **საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭო სასტიკ პროტესტს გამოსთქვამს ინგლისის მთავრობის ჩარევის გამო საბჭოთა კავშირის მშრომელთა საქმეში და აცხადებს, რომ ჩვენი შრომის რესპუბლიკის ორგანიზაციულად გაერთიანებული მასები არავის არ მისცემენ უფლებას უკარნახოს მათ მოქმედების ხაზი.**

საბჭოთა ხელისუფლებისაგან მოთხოვნა იმის, რომ მან აუკრძალოს საბჭოთა პროფკავშირებს თავის კლასობრივ ძმებისათვის დახმარების გაწევა, ეს ნიშნავს საბჭოთა ხელისუფლების ბუნების და შინაარსის სრულებით ვერ გაგებას. საბჭოთა პროფკავშირები აცხადებენ, **რომ ისინი ეხმარებიან, ეხმარებოდნენ და მომავალშიაც დაეხმარებიან ინგლისის გაფიცულ მუშებს. ვინაიდან ინგლისის სამთამადნო მუშების საქმე—ეს არის ჩვენი საქმე, როგორი აზრისაც არ უნდა იყვეს ამის შესახებ მაღაროს მეპატრონეთა დამცველი მთავრობა.**

არავითარი ჩარევა ჩვენს და ინგლისის მუშების ურთიერთობაში. ხელები შორს საბჭოთა პროფკავშირებისაგან“.

მუშათა პარტიის პოზიცია

ლონდონი, 16 ივნისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა მაკდონალდი, ერთხმად სცნო, რომ მთავრობის დეკლარაცია არღვევს მეფის კომისიის წინადადებას, **ოდნავადაც არ უწყობს ხელს ნახშირის მრეწველობის კრიზისის გადაჭრას, წარმოადგენს კაპიტულიაციას მაღაროს მეპატრონეთა მოთხოვნილების წინაშე და იწვევს ბრძოლის უაღრესად გამწვავებას.**

მუშათა პარტიამ გადასწყვიტა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოს მთავრობის წინადადებებს.

ინგლისის მთავრობის პოზიცია

ლონდონი, 16 ივნისი. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი იუწყება, რომ მთავრობა დღეს იხილავს საკითხს საბჭოთა კავშირიდან სამთამადნო მუშებისათვის დახმარების გადმოგზავნის შესახებ. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ავტორიტეტულ წრეების აზრით, **მთავრობა წინააღმდეგია საკითხის გამწვავების.**

უცხოეთის ნახშირი

ბერლინი, 16 ივნისი. გერმანიის ნახშირის გატანა გაძლიერდა. ნახშირი იგზავნება არა უშუალოდ ინგლისში, არამედ ინგლისის ნახშირის უწინდელ ბაზრებზე, სადაიდანაც ის ნაწილობრივ ინგლისში გადააქვთ. მიუხედავათ ტრანსპორტის მუშათა ბრიუსელის კონფერენციის დადგენილებისა, გერმანიაში, როგორც სჩანს, არ იქნება განახლებული ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი სოლიდარობის კამპანია. **რეფორმისტებს გადაწყვეტილი აქვთ ინგლისის გაფიცვა გამოიყენონ გერმანიის ნახშირის ექსპორტის გასაძლიერებლად. ისინი ინგლისის სამთამადნო მუშების ინტერესებს არავითარ ანგარიშს არ უწევენ.**

ნახშირის რაიონში

ლონდონი, 16 ივნისი. სამთამადნო მუშების დამხმარე ადგილობრივ კომიტეტების ცნობით, ნახშირის რაიონებში გაჭირვება თანდათან იზრდება. ზოგიერთ შემთხვევებში სამთამადნო მუშების ოჯახები უკანასკნელ საგნებს ჰყიდიან. ორიკვირში მუშების ზოგიერთი ოჯახები, რომელნიც 10-12 სულისაგან შესდგებიან, კვირაში 15 მანეთზე ცხოვრობენ.

ნახშირის სინდიკატი

ლონდონი, 16 ივნისი. შრომის მინისტრმა სტილ მაიტლენდმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობა ნიშნავს კომისიას, რომელიც განიხილავს ნახშირის გამსაღებელ სინდიკატის მოწყობის საკითხს.

ლიბერალები და ბალდუინი

ლონდონი, 16 ივნისი. ლიბერალურ წრეებში ბალდუინის სიტყვის გამო აღნიშნავენ, რომ მთავრობა უძლურია შექმნილი მდგომარეობის მოგვარების საქმეში.

ლიბერალებს გადაწყვეტილი აქვთ ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობის წინადადებებს. მათი აზრით, ყველა საკანონმდებლო ზომები შეთანხმებულ უნდა იქნეს მეფის კომისიის მოხსენებასთან.

კუკის განცხადება

ლონდონი, 16 ივნისი. სამთამადნო მუშების ფედერაციის აღმასკომის წევრები აღნიშნავენ, რომ ნახშირის მრეწველობაში 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, რომელიც წამოაყენა ბალდუინმა, უმუშევრად დასტოვებს 146.000 სამთამადნო მუშას.

სამთამადნო მუშების ფედერაციის სახელით კუკმა განაცხადა, რომ **ბალდუინის სურს შიმშილით აიძულოს მუშები დასთანხმდენ სამუშაო დღის გადიდებას.** კუკმა აღნიშნა, რომ **სამთამადნო მუშები ამ საკითხში მტკიცედ არიან** და განაცხადა, რომ მეფის კომისია წინააღმდეგი იყო სამუშაო დღის გადიდებისა. ამიტომ, დასძინა კუკმა, ბალდუინმა თავის წინადადებით დაამტკიცა, რომ **ის ვა[illegible]ის მხოლოდ და მხოლოდ მაღაროს მეპატრონეთა ინტერესებიდან.**

მუშები მტკიცედ არიან

ლონდონი, 16 ივნისი. ადგილებიდან მოსული ცნობები მოწმობენ, რომ ბალდუინის წინადადებამ მხოლოდ განამტკიცა სამთამადნო მუშების გადაწყვეტილება განაგრძონ წინააღმდეგობის გაწევა.

მუშათა სოლიდარობა

პარიზი, 6 ივნისი. მეთვალყურეობის კომიტეტმა, რომელიც საფრანგეთის პროფკავშირებმა დაარსეს ინგლისში ნახშირის გატანის შეწყვეტისათვის, **საფრანგეთის მშრომელთა მიმართა მოწოდებით**, რომელშიაც აცხადებს, რომ მშრომელებმა მთელი ძალღონით უნდა განახორციელონ ლოზუნგი **„არც ერთი კილოგრამი ნახშირის გადაგზავნა ინგლისში“.**

ატლანტის ნაპირებზე ლამანშის უმთავრეს ნავთსადგურებში დაარსდა ადგილობრივი მეთვალყურეობის კომიტეტები.

პროფკავშირების ყველა აქტიურ წევრებს ევალებათ აიღონ თავის თავზე მეთვალყურეობის კომიტეტების ორგანიზაციის ინიციატივა იმ ნავთსადგურებში, საიდანაც ჩვეულებრივათ იგზავნება ნახშირი ინგლისში. **ნავთსადგურის მეთვალყურეობის კომიტეტები არ უნდა შეჩერდენ თვით გაფიცვის წინაშეც**, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. იმ მუშებს, რომელნიც გაიფიცებიან ინგლისის სამთამადნო მუშებისადმი სოლიდარობის ნიშნად, მეთვალყურეობის ცენტრალური კომიტეტი დახმარებას მიაწვდის ინგლისის სამთამადნო მუშებისათვის შეკრებილ თანხებიდან.

მდგომარეობის გართულება

ლონდონი, 16 ივნისი. თემთა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა სამთამადნო მუშების წარმომადგენელმა ხარტსხორნმა, რომელმაც, სხვათაშორის, განაცხადა:

„ბალდუინის ყოველი განცხადება მხოლოდ აღრმავებს სიძნელეთა სერიოზულობას. თუ ნახშირის მრეწველობა არ იქნა გაერთიანებული და არ მოეწყო ფასების მომწესრიგებელი აპარატი, ჩვენს წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრა შეუძლებელი გახდება“.

ხარტსხორნმა აღნიშნა, რომ 1923 წელს სამი თვის ლოკაუტის შემდეგ სამთამადნო მუშების 90 პროცენტმა ხმა მისცა გაფიცვის განგრძობის სასარგებლოთ, მაგრამ კონფლიქტი გადასჭრეს პროფკავშირთა თანამდებობის პირებმა, სამთამადნო მუშების გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ხარტსხორნმა დასძინა, რომ ამჟამად შეუძლებელია ამის განმეორება.

ბალდუინი სტყუის

ლონდონი, 16 ივნისი. ესსექსში წარმოთქმულ სიტყვაში კუკი შეეხო ბალდუინის განცხადებას, რომ მთელი მისი ცდა მიმართულია იქითკენ, რომ ყველასთვის შენარჩუნებულ იქნეს არსებული მდგომარეობა. კუკმა **ბრალი დასდო ბალდუინს სიცრუეში ხალხის წინაშე** და დაამთავრა თავისი განცხადება სიტყვებით: „ბალდუინო, თქვენ სტყუით“.

ნახშირის შეტანა

ლონდონი, 16 ივნისი. ნახშირის მრეწველობის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ 5-დან 12 ივნისამდე **ინგლისში შემოზიდულ იქნა 132.000 ტონა ნახშირი.**

ნახშირის იმპორტის საკითხი

ლონდონი, 16 ივნისი. ინგლისის ფინანსისტების პრესა აღელვებულია ამერიკელ და ევროპელ ნახშირის მაღაროების მეპატრონეების საქციელით, რადგან უკანასკნელნი ინგლისელ მყიდველებისათვის ნახშირის მიწოდების დროს დაჟინებით მოითხოვენ მყიდველებისაგან პირობას, რომ ისინი შემდეგშიაც მათ დაუკვეთენ ნახშირს. **ასეთი ხელშეკრულების დადება ამჟამად დიდ ზიანს მიაყენებს ინგლისის ნახშირის ექსპორტს.**

„ლამპის დღე“

ლონდონი, 16 ივნისი. ლონდონში „მაღაროს მუშის ლამპის დღეს“ ნიშნების გაყიდვიდგან შემოვიდა 7.500 გირ. სტერლინგი. შემდეგ კვირაში ნიშნების გაყიდვა მოწყობილ იქნება 37 პროვინციალურ ქალაქში.

მემაღაროების დიდი ბრძოლა

(წერილი ინგლისიდან)

ადვილი არ არის დღეს ინგლისში მოგზაურობა. რკინისგზის საზოგადოებანი ოფიციალურად აცხადებენ, რომ მოძრაობა 50 პროც-ითაა შემცირებული. მაგრამ ნუ ენდობით ამ განცხადებას! მაგალითად, 7 თუ 8 ჩქარი მატარებლის მაგივრად, რომელიც წინად ყოველ დღე დადიოდა ლონდონსა და უელსის მთავარ ქალაქს, კარდიფს შუა, დღეს მხოლოდ ორი და დარჩა.

ლონდონის უდიდეს სადგურზე მოძრაობა შემცირებულია მინიმუმამდე. ადამიანს თავისი თავი რომელიმე პროვინციელი პატარა ქალაქის სადგურზე ეგონებოდა, ეს უზარმაზარი შენობები რომ არ ყოფილიყო. მთელს მანძილზე ლონდონსა და კარდიფს შუა ნათლად სჩანს საყოველთაო გაფიცვისა და ლოკაუტის გავლენა. ყველგან სადგურების ლიანდაგებზე ათასობით ცარიელი ვაგონებია ჩამწკრივებული; ეს თითქო რაღაც ზღაპრული წიგნის სტრიქონებია, სადაც ინგლისის მრეწველობის სასოწარკვეთილებაა ჩაწერილი. თვეზე მეტია კიდეც რაც ეს მასალა „მტკიცედ სდგას“ დაჟანგებულ ლიანდაგებზე.

ქვანახშირით დატვირთული ვაგონები, რომელნიც იშვიათად გხვდებიან გზაზე, წარმოების მოდუნებას მოწმობენ: მათ თითქო მუცელი ჩასცვინიათ, უსიცოცხლოდ მიიზლაზნებიან დანიშნული სადგურებისაკენ.

გზაზე სამრეწველო ცენტრები გხვდება, მაგრამ ღუმელები აღარ ბოლავენ, საქარხნო მილები ისე აშვერილან, თითქო ზეცას შებრალებას სთხოვდნენ, აჰა, კარდიფიც! ფართო სადგური არეულ-დარეულია, ლიანდაგები დაცარიელებულია. თითქო ყოველივე დარბეულია, მოშლილი, სიცოცხლის ნიშანწყალს მოკლებული. რკინისგზის საზოგადოება მომჭირნეობას ეწევა ყველაფერზე, უწინარეს ყოვლისა, მუშა-მოსამსახურეებზე, რომელსაც უკან ვერაგული აუჩქარებლობით ღებულობს.

ქალაქის ცენტრს ხელახლა მიუღია დიდი ბურჟუაზიული ქალაქის გარეგნობა. ავტომობილები მიჰქრიან, ტრამვაის ვაგონები მოძრაობენ... მაგრამ ნათლად სჩანს, რომ მოსახლეობას ჯერ კიდევ სავსებით თავი არ დაუღწევია საყოველთაო გაფიცვით გამოწვეულ დამბლისაგან. ცხოვრება არაა მოწესრიგებული. აქაც, ისევე როგორც სხვა ცენტრებში, პატრონებს უნდათ თავიანთი გამარჯვება გამოიყენონ, ისარგებლონ გენერალური საბჭოს მოღალატეობით, რათა თავიანთი დიდი ხნის მიზნები განახორციელონ.

განსაკუთრებით ნავთსადგურში სჩანს მემაღაროების გაფიცვის გამანადგურებელი გავლენა. ტრანსპორტის პროფკავშირში 70 პროცენტი უმუშევარი ითვლება.

მე დავათვალიერე კარდიფის დოკები. დამტვირთავი მუშები ათასობით მოსულან სამუშაოზე, მაგრამ ნავთსადგურში მხოლოდ სამი პატარა გემი სდგას. მდგომარეობა მეტად მძიმეა: კავშირის სალარო ჩქარა ამოიწურება. მარტო ერთი კვირის განმავლობაში კავშირის სალარომ 30.000 გირვ. სტერლინგი დაურიგა უმუშევრებს. ჩქარა მას ერთი გროშიც აღარ ექნება და უმუშევრები იძულებული იქნებიან მთავრობის მცირე დახმარებას დასჯერდნენ. მაგრამ ამ უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, ტრანსპორტის მუშები დახმარების ფონდის ნაწილს მემაღაროებს აწვდიან, მიტომ რომ ამ უკანასკნელთა მდგომარეობა კიდევ უფრო სასოწარკვეთილია. და თუმცა მემაღაროების გაფიცვის წყალობით ყველაზე მეტად ტრანსპორტელები იტანჯებიან, ისინი მხოლოდ გამხნევების სიტყვებს უგზავნიან თავიანთ გაფიცულ თანამოძმეებს: „მტკიცეთ იყავით, არ დასთმოთ“!

საბედნიეროდ ბავშვებს სკოლებში ჰკვებავენ, თვითმართველობის ხარჯზე. საბჭოების მუშა - წევრები თვალყურს ადევნებენ, რომ პატარებს ულუფა არ დააკლდეთ. დილით შემწვარი ხორცი ეძლევათ, პური, კარაქი, ნამცხვარი და ჩაი. ნაშუადღევის პირველ საათზე წვნიანი, კარტოფილი, ხორცი, ყველი და კაკაო. ვახშამს თვითმართველობა არ იძლევა; მაგრამ ბავშვების ვახშმისთვის საქველმოქმედო საზოგადოება ზრუნავს. გაფიცული მუშების ცოლებს „ქველმოქმედების ბიურო“ კვირაში 10 შილინგს აძლევს...

საყოველთაო გაფიცვამ აბსოლიუტური ხასიათი მიიღო კარდიფსა და მთელს მის რაიონში. არც ერთი მუშა არ გამოსულა ნავთსადგურში, დოკები აბსოლიუტურად ცარიელი იყო.

როცა ლონდონიდან გაფიცვის შეწყვეტის განკარგულება მოვიდა, ყველანი სახტად დარჩენ, არა მარტო უბრალო მუშები, არამედ მეთაურებიც. არავინ იცოდა რაში იყო საქმე. ეგონათ, რომ ეს ტელეგრაფის შეცდომა იყო, და რაიმე ხუმრობა. მაგრამ როცა ეს ცუდი ამბავი დადასტურდა, გაოცებამ ადგილი დაუთმო გულისწყრომას მოღალატე ბელადების წინააღმდეგ. „გენერალურმა საბჭომ გაგვყიდა!“—ესაა მუშების საერთო აზრი.

საყოველთაო გაფიცვის იდეა, როგორც მუშათა ინტერესების დამცველი იარაღისა, არაა განადგურებული. ის შეუბღალავი რჩება მუშების შეგნებაში. მართალია, უილაჯო ბელადები, მაკდონალდის მსგავსად, სცდილობენ წვრილი ბურჟუები და მუშათა პარტიის მოხელეები დაარწმუნონ, რომ საყოველთაო გაფიცვის პრინციპი საბოლოოდ დამარცხდა, მაგრამ მუშების სულში ისინი ვერასოდეს ვერ წაშლიან იმ აზრს, რომელიც მე რამდენჯერმე მომისმენია მათთან საუბრის დროს: „ჩვენ ახლა კარგად ვიცით რა შეგვძლებია. კიდევ ერთი კვირის ბრძოლა და გამარჯვება ჩვენი იყო“.

თვით კარდიფში მემაღაროები არ ცხოვრობენ. შეიძლება მხოლოდ რამდენიმე, ასი კაცი იყოს. საჭიროა რამდენიმე კილომეტრის გავლა, რათა უშუალოთ ინახულოთ მემაღაროების ოჯახები. მემაღაროებისთვის კარდიფი მხოლოდ ადმინისტრატიული ცენტრია. აქ არის სამხრეთ უელსის მემაღაროეთა კავშირის სამყოფი ადგილი, ამ კავშირს ტომ რიჩარდი ხელმძღვანელობს. ამ კავშირში 200.000 წევრი ითვლება. ის მეტად ღარიბია. სალარო დაცარიელებულია. ის ვერც ერთ გროშს ვეღარ აძლევს გაფიცულებს. მუშების მდგომარეობა სასოწარკვეთილია. კავშირის მდივანმა ევან ტომასმა, მაგალითად, ერთი ოჯახი დამისახელა, სადაც შვიდი ბავშვია. მამა არაფერს არ ღებულობს. დედა საქველმოქმედო საზოგადოებიდან ერთ გირვანქა სტერლინგს ღებულობს კვირაში. მარტო ბინის ქირა კი ორი გირვანქა სტერლინგს უდრის კვირაში.

უცხოეთის, განსაკუთრებით საბჭოთა კავშირის დახმარება, პროფკავშირს შესაძლებლობას აძლევს, რომ გაფიცულ მემაღაროებს ექვსი შილინგი მისცეს კვირაში. თუ ეს დახმარება არ შესწყდა, ბრძოლა შეიძლება ხანგრძლივი იქნას... სამ თვეს გაგრძელდეს, ექვსს, მეტსაც, თუ საჭირო იქნა.

ჯ. დავიდ.

ქ. კარდიფი.
3 ივნისი.

ემიგრაციაში



ემიგრანტების ახალი „ხელობა“
ბურჟუაზიის ყავახანებში
(„ლიუმანიტე“-დან)

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

რადიკალების პოზიცია

პარიზი, 17 ივნისი. რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების პარტიის კონფერენციამ მიიღო დადგენილება მხარი დაუჭიროს რესპუბლიკანურ გაერთიანების მთავრობას, რომლის შექმნა აუცილებელია ფინანსების აღდგენის მიზნით. კონფერენციამ უარჰყო „სამღვთო გაერთიანების“ მთავრობის შექმნა, ვინაიდან ეს ნიშნავს ძალაუფლების უმცირესობის ხელში გადასვლას.

შენიშვნა: ეს გადაწყვეტილება რადიკალებისა და რადიკალ-სოციალისტების პარტიის მემარცხენე ფრთის გამარჯვების შედეგია.

ერიოს კანდიდატურა

პარიზი, 17 ივნისი. „ეკო დე პარი“-ს ცნობით, ერიო, ალბათ უარს იტყვის ბრიანთან თანამშრომლობაზე, მაგრამ მიიღებს წინადადებას კაბინეტის შედგენის შესახებ.

როგორც ფიქრობს „ერ ნუველი“, რადიკალების კონგრესმა დაავალა ერიოს კაბინეტის შედგენა.

დემონსტრაციები

პარიზი, 16 ივნისი. სახელმწიფო მოსამსახურეთა ავტონომიურ პროფკავშირის ინიციატივით, 15.000-მა სახელმწიფო და მუნიციპალურ მოსამსახურეებმა გამართეს მანიფესტაცია. მანიფესტანტები ინტერნაციონალის სიმღერით მიადგნენ მუნიციპალიტეტს და მოითხოვეს ჯამაგირების გადიდება.

ბრიანი—პუანკარე

პარიზი, 17 ივნისი. პალატის კულუარებში ფიქრობენ, რომ ბრიანი შეადგენს კაბინეტს, რომელსაც განხრა ექნება პუანკარეს „მემარცხენე დემოკრატიულ ჯგუფის“ ორგანიზაციისაკენ; ხმები დადის, რომ ბრიანმა პუანკარეს ფინანსთა მინისტრის პორტფელი შესთავაზა.

იმავე ხმების მიხედვით, ვაჭრობის მინისტრის ადგილს შესთავაზებენ მთავრობის საფინანსო კომისიის მომხსენებელს—ბაკანოვსკის.

ერთფეროვან კაბინეტის შედგენა, მხოლოდ ეროვნული ბლოკის წევრთაგან, ალბად არ მოხდება.

ბრიანის განცხადება

პარიზი, 17 ივნისი. ბრიანმა განაცხადა: „მე ვთხოულობ ფრანკისთვის ბრძოლის დროს საკითხის პოლიტიკურ ნაწილის სრულიად შეჩერებას და მთავრობისთვის სრულ უფლების მინიჭებას ნაციონალური აღორძინების განსახორციელებლად“.

ბრიანი განაგრძობს მოლაპარაკებას: პუანკარემ მიიღო ფინანსთა მინისტრის პორტფელი იმ პირობით, თუ მას მისცემენ სრულ უფლებას და სხვადასხვა სამინისტროების ბიუჯეტის კონტროლის უფლებას. მემარცხენე ბლოკის კრებაზე რადიკალ-სოციალისტმა ბორამ განაცხადა, რომ უნდა შედგენილი იქნეს ერიოს კაბინეტი. საკითხი, დაუთმობს თუ არა ბრიანი მემარცხენე ბლოკს, თუ მოითხოვს კაბინეტის ერიოს გარეშე შედგენას.

ანტიფაშისტური მიტინგი

პარიზი, 16 ივნისი. სოციალისტურ პარტიის საოლქო ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის მუქარის მიუხედავად, ხუთიდან ოთხმა სექციამ მარსელში მიიღო კომუნისტების წინადადება—ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო მიტინგის მოწყობის შესახებ. მიტინგზე მუშები ხალისით ესწრებოდენ.

პრემიერს დაეძებენ

ბერლინი, 17 ივნისი. პარიზის პრესა ბრიანის ახალ კაბინეტს სკეპტიკურად უყურებს.

„ეკო დე პარი“ ამბობს, რომ საფრანგეთს აღარ სურს მოისმინოს ბრიანის დამაძინებელი „ნანა“, არამედ სურს განიკურნოს.

„კოტიდიენი“ ილაშქრებს პუანკარეს წინააღმდეგ. გაზეთი აცხადებს, რომ კაბინეტი, რომელშიაც შედიან ერიო და პუანკარე, გასოცარ რამეს წარმოადგენს.

გერმანიის კომპარტიაში

გერმანიის კომპარტიაში

ბერლინი, 16 ივნისი. კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომის ღია წერილის გამოქვეყნების და პარტიული ხელმძღვანელობის ფიშერ-მასლოვის ჯგუფიდან ტელმანის ჯგუფის ხელში გადასვლის შემდეგ, გერმანიის კომპარტია მნიშვნელოვნად განვითარდა.

პარტიაში შემოვიდა 19.404 ახალი წევრი.

კომუნისტური პრესის მკითხველთა რიცხვი 38.043-ით გაიზარდა. საგიტაციო ბროშურა „არც ერთი პფენინგი ყოფილ მონარქებს“ გავრცელდა 100.000 ეგზემპლიარი. კომპარტიის სასარგებლოთ შეკრებილ იქნა ნახევარი მილიონი ოქროს მარკა. მნიშვნელოვანი თანხები შეკრებილია აგრეთვე საპლებისციტო კამპანიისათვის.

გერმანიის კომპარტიის ცეკამ მიზნად დაისახა მახლობელ თვეებში 100.000 ახალი წევრის მიღება და კომუნისტური პრესის 100.000 მკითხველის შოვნა. საერთოდ გერმანიის კომპარტიაში კრიზისების და დაცემის პერიოდი უკვე განვლილია.

საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენცია

პარიზი, 16 ივნისი. შესდგა საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციის პლენარული სხდომა. კონფერენცია გაეცნო იურიდიულ კომისიის მუშაობის შედეგებს. ამის შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენება ეკონომიური კომისიის მუშაობის შესახებ.

50 ათასი კაცის დემონსტრაცია

პრაღა, 16 ივნისი. მიუხედავათ ცუდი ამინდებისა, 16 ივნისს პრაღაში გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია აგრარულ გადასახადების წინააღმდეგ. ნაშუადღევის ორ საათზე მუშაობა შესწყვიტეს მელითონეებმა, რომელთაც შეუერთდენ საამშენებლო დარგის მუშები და ფეიქრები. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 50.000 კაცმა.

ქუჩებს გარს შემოერტყენ პოლიციის და ჟანდარმების ძლიერი რაზმები. ჯარები მოამზადეს ბრძოლისათვის. მიტინგის დამთავრების შემდეგ ცხენოსან მილიციასა და დემონსტრანტებს შორის სერიოზული შეტაკება მოხდა. დაპატიმრებულ დემონსტრანტების განთავისუფლების ცდას პოლიციამ ხმლით უპასუხა.

ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკური მდგომარეობა მეტად გამწვავებულია.

პლებისციტის წინ

ბერლინი, 16 ივნისი. ცენტრის პარტიის მომხრეთა შორის იზრდება ყოფილ მეფის გვარეულობათა ქონების კონფისკაციის მომხრეთა რიცხვი. ამის გამო ცენტრის ორგანო „გერმანია“ აცხადებს, რომ პარტიას, რომელიც კონფისკაციის წინააღმდეგია, შესაძლებლად მიაჩნია თავისი წევრების მონაწილეობა საყოველთაო კენჭის ყრაში, მაგრამ იმ პირობით, რომ მათ ხმა მისცენ ან კონფისკაციის წინააღმდეგ, ან ყუთებში ჩააგდონ ცარიელი ფურცლები. ამრიგათ, ცენტრის პარტიის ორგანო იძულებული შეიქნა მიებაძა დემოკრატების მაგალითისათვის. დემოკრატებმა პარტიის წევრებს მოქმედების სრული თავისუფლება მისცეს.

თეთრი ტერორის წინააღმდეგ

ვენა, 16 ივნისი. ბალკანეთში თეთრი ტერორის მსხვერპლთა დაცვის პარიზის კომიტეტმა ავსტრიის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც იგი პროტესტს აცხადებს მთავრობის განზრახვის წინააღმდეგ, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობის განკარგულებაში გაგზავნოს მთაშაველთა რევოლიუციონერი—ვუკასიმ მარკოვიჩი.

პროტესტს ხელი მოაწერეს ბარბიუსმა, რომენ როლანმა, პანაიოტი ისტრადიმ, დიუამელმა, ვიქტორ მარგერიტმა, სევერიან ბრუნემ, მრავალმა დეპუტატმა, საოლქო და მუნიციპალურ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა და აგრეთვე კომუნისტმა-ვექილმა ტორესმა, რეფორმისტულ ფედერაციის მდივანმა კუკმა და მდივანმა ლანჟევენმა.

მოსულის საკითხის გარშემო

ანგორა, 16 ივნისი. ოსმალეთის პრესა დიდის ყურადღებით უკეთებს კომენტარიებს უცხოეთის პრესის გამოხმაურებას მოსულის შეთანხმების შესახებ.

გამოსთქვამს რა დიდ ეჭვს ინგლისის გაზეთების გულწრფელობის შესახებ, რომლებიც ოსმალეთ-ინგლისის მეგობრობის განახლებაზე ლაპარაკობენ და უპასუხებს რა „ტაიმსის“ მტკიცებას, რომ ხელშეკრულების პირობები თითქოს მეგობრულ ხასიათს ატარებდენ, „ენი-სეს“ სწერს: „მშვიდობიანს-კი, მეგობრულს-კი არა“.

„რესპუბლიკა“ კვლავ ჰბეჭდავს წერილებს მოსულის შესახებ და ისევ გამოსთქვამს იმედს ინგლისის იმპერიალიზმის ევოლიუციის შესახებ; ის მეტად მეგობრული კილოთი ლაპარაკობს „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ მოსულის შეთანხმების გამო გამოქვეყნებულ წერილებზე. გაზეთი კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ საბჭოთა პრესამ ჯეროვანად შეაფასა ხელშეკრულების ნამდვილი აზრი და მიიღო იგი დამშვიდებით.

„საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის განსაკუთრებულმა ღირსებამ და თავდაჭერილობამ, ფრიად დიდი კმაყოფილება გამოიწვია ოსმალეთის წრეებში“—სწერს გაზეთი.

მოსულის საკითხის ეხლანდელი გადაწყვეტა საბჭოთა კავშირისათვის მოულოდნელი არაა; იგი კარგად იცნობს იმ მიზეზებს და გარემოებებს, რომლებმაც ხელშეკრულების დადება გამოიწვიეს. საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება მოსულის შეთანხმების მიმართ, განამტკიცებს კავშირს ოსმალეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის, მით უმეტეს იმიტომ, რომ ინგლისის იმპერიალიზმის მომავალი მოქმედება მოსულში ეხება არა მარტო ოსმალეთს, არამედ საბჭოთა კავშირსაც.

კონსტანტინოპოლი, 16 ივნისი ირაქის წარმომადგენელი ნური-ფაშა, რომელიც მონაწილეობას იღებდა მოლაპარაკებაში მოსულის საკითხის გარშემო, გაიწვიეს ანგორიდან, რასაც ასაბუთებენ მით, რომ საჭიროა მისი დასწრება ბაღდადში ირაქის პარლამენტის მიერ მოსულის ხელშეკრულების განხილვის დროს.

ოსმალეთის პრესა აღნიშნავს ნამდვილ მოტივებს, რომელმაც აიძულა ინგლისის წარმომადგენელი ლინდსეი გაეწვია ოსმალეთიდან ირაქის წარმომადგენელი ნური-ფაშა. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ნური-ფაშა პირველად ინგლისელების სრული ნდობით სარგებლობდა, მაგრამ შემდეგ ეჭვი შეიტანეს, რომ მას კავშირი აქვს ირაქის პატრიოტების საპარლამენტო ჯგუფთან, რომელიც ოპოზიციაში უდგას ინგლისს და გამოხატავს ირაქის ნაციონალისტური წრეების აზრს და მისწრაფებებს.

ამბობენ, რომ ლინდსეი მოითხოვს უფრო „სანდო“ წარმომადგენლის დანიშვნას ირაქიდან.

საარჩევნო კომბინაციები

ვაშინგტონი, 16 ივნისი. სენატის კომისიამ, რომელმაც გამოიკვლია პანსილვანიის შტატში სენატორის რესპუბლიკანური კანდიდატის არჩევნები, აღმოაჩინა, რომ ფინანსისტებმა და მრეწველებმა 2 მილიონ დოლარზე მეტი გაიღეს იმისათვის, რომ ზეგავლენა მოეხდინათ არჩევნებზე.

ვერმა, რომელიც რესპუბლიკანური პარტიის აპარატს ხელმძღვანელობდა, გაიმარჯვა არჩევნებში; მან დაამარცხა სენატორი პეპერი და პროგრესიული რესპუბლიკანელი პინჩოტი.

გამოძიებამ გამოარკვია, რომ პინჩოტის მომხრეებმა არჩევნებზე დახარჯეს 195,000 დოლარი, ვერის მომხრეებმა—596,000 დოლარი, პეპერის მოხრეებმა—მილიონზე მეტი. ამასთან ერთად აღმოჩენილ იქნა ბოროტმოქმედებანი: ხმებს ყიდულობდენ, ადგენდენ ყალბ ბიულეტენებს, ყალბად ითვლიდენ ხმებს და სხვ.

უმუშევრობა ბერლინში

ბერლინი, 16 ივნისი. 5 ივნისს უმუშევრების რიცხვი ბერლინში 260,000 კაცამდე აღწევდა. ეს სარეკორდო ციფრია უკანასკნელი კრიზისის წარმოშობის შემდეგ.

დახმარებით სარგებლობს 193,000 უმუშევარი.

„რუსეთის ფულები“ თემთა პალატაში

ლონდონი, 17 ივნისი. შინაგან საქმეთა მინისტრი გამოვიდა თემთა პალატაში განცხადებით საბჭოთა კავშირიდან ინგლისში მიღებულ ფულის შესახებ.

მისი სიტყვით, ბრიტანეთის მთავრობა დარწმუნებულია, რომ საბჭოთა მთავრობამ გააუქმა ფულის გადაგზავნის მოწესრიგების წესები, რომ საშუალება მიეცა რუსეთის პროფკავშირებისათვის საერთო გაფიცვის დასახმარებლად ინგლისში ფული გადაეგზავნა. მთავრობა დარწმუნებულია აგრეთვე, რომ ამასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ მიზნების განსახორციელებლად საბჭოთა კავშირის მთავრობა და რუსეთის პროფკავშირთა ორგანიზაციები მთლიანი მმართველი ხელისუფლების იარაღია. ეს შეხედულება ეთანხმება მაკდონალდის განცხადებას, რომელიც მან გააკეთა საბჭოთა მთავრობის მიმართ ნოტაში გარეშე საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს 1924 წელში.

26.427 გირ. სტერლინგი შემოვიდა ერთ-ერთ ლონდონის ბანკში, რომელზედაც უარი სთქვა ტრედ-იუნიონების კონგრესმა. მეორე თანხა 200 ათასი გირვ. სტერლინგი გადმოგზავნილი იყო მოსკოვიდან ბერლინის „დეიტჩე ბანკის“ საშუალებით და 25 ათასი გირ. სტერლინგი ერთი ამერიკანული ბანკის საშუალებით; ამასთან ერთად რუსეთიდან ინსტრუქცია იყო დაუყოვნებლივ გადაგზავნოდა ტრედ-იუნიონის კონგრესს 100.000 მანეთი.

„ბრიტანეთის მთავრობა, განაგრძობს მინისტრი, ამ შემთხვევაში კაცთმოყვარეობის მოტივების ილიუზიებით არ ხელმძღვანელობდა და როგორც კი მიიღო ცნობა იმის შესახებ, მაშინვე ინსტრუქციები გასცა ლონდონის ბანკებს, რომ ეს გადმოგზავნილი ფული არ მიეღოთ და ჩემის თანხმობით იგი უკან დაუბრუნდა მოსკოვს.

ტრედ-იუნიონის კონგრესისათვის მიღებულ ფულის შესახებ თქმულის განმეორება შეიძლება მემაღაროეთა ფედერაციისათვის რუსეთიდან გადმოგზავნილ ფულების შესახებაც. მთავრობა არაა ბრმა და იგი ხედავს იმ მოტივების აზრს, რომელითაც ხელმძღვანელობენ ამ დახმარების აღმოჩენის დროს; ეს მტკიცდება აგრეთვე საბჭოთა ბელადების და საბჭოთა პრესის აუარაბელი განცხადებიდან“.

ამას მინისტრმა დაუმატა, რომ საბედნიეროდ საერთო გაფიცვა დიდხანს არ გაგრძელდა და ბრიტანეთის მთავრობამ ფორმალური სახით განაცხადა რა პროტესტი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ამჟამად იგი არა ფიქრობს ისეთი ნაბიჯების გადადგმას, რომლებზედაც თემთა პალატას მიგვითითებენ, სახელდობრ, უკან წავიღოთ საბჭოთა მთავრობის ცნობა. მაგრამ ბრიტანეთის მთავრობა მოვალეობად სთვლის განაცხადოს, რომ იგი განუწყვეტლივ ადევნებს თვალყურს საბჭოთა მთავრობას და მის ორგანიზაციებს, და თუ იგი ოდესმე დარწმუნდება, რომ მისი ინტერესები მოითხოვენ პოლიტიკის შეცვლას, იგი არ დაიწყებს რყევას საჭირო ნაბიჯების გადადგმის წინაშე.

კონსერვატორ ლოკერ-ლემპსონის შეკითხვაზე მინისტრმა განაცხადა, რომ დაინიშნება დღე, როცა ეს იქნება განხილული.

ლიბერალი კენვორტი შეეკითხა—რა ფულები იყო მემაღაროეთა დასახმარებლად საზღვარ გარეთიდან გამოგზავნილი, რუსეთის გარდა.

მინისტრმა უპასუხა, რომ მისი ცნობებით, მიღებულია 5.000 გირვ. სტერლინგი გერმანიის მემაღაროეთა პროფკავშირიდან, 6.000 გირ. სტერ. ჰოლანდიის პროფკავშირებიდან და 10.000 გირ. სტერ. შეერთებულ შტატებიდან. მას არ აქვს განზრახვა რაიმე ნაბიჯები გადასდგას ამ ფულის მიღების წინააღმდეგ.

კონსერვატორმა ფილიპ რიჩარდსონმა ჰკითხა შინ. საქმ. მინისტრს, რომ იცის თუ არა მან, რომ საბჭოთა მთავრობამ დღემდე არც ერთ კერძო პირს არ მისცა კომპენსაცია, როგორც ეს გათვალისწინებულია სავაჭრო ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო 1921 წ. 16 მარტს და თუ კომპენსაცია არაა მიცემული, ხომ არ ჰფიქრობს მინისტრი, რომ ეს შეთანხმება გაუქმდეს?

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ მას არ შეუძლიან გარკვეულად სთქვას, რომ არ იყო არც ერთი შემთხვევა კომპენსაციის მიცემისა, მაგრამ ფაქტია, რომ პრეტენზიათა დიდი ნაწილი დაუკმაყოფილებელია. ბრიტანეთის მთავრობა არა ჰფიქრობს, რომ ხელშეკრულების გაუქმებით შეიძლება იმ მიზნების მიღწევა, რომლებიც ამ შემთხვევაში გვაქვს მხედველობაში.

პოლონეთის კონსტიტუციის შეცვლა

დიქტატურის წინ

ვარშავა, 17 ივნისი. მინისტრთა საბჭომ სამშაბათს მიიღო კანონპროექტი, რომელიც სავსებით სცვლის 1921 წლის კონსტიტუციას. კანონპროექტის თანახმად, სეიმის და სენატის ჩვეულებრივი სესიები 4 თვეს გაგრძელდება. თუ ამ ხნის განმავლობაში ბიუჯეტი არ იქნება დამტკიცებული, მაშინ რესპუბლიკის პრეზიდენტი დეკრეტით დააკანონებს ბიუჯეტს, რომელსაც კანონის ხასიათი ექნება.

რესპუბლიკის პრეზიდენტს უფლება აქვს დაითხოვოს პალატა მინისტრთა საბჭოს წინადადებით. პრეზიდენტს ეძლევა უფლება თავისი ვეტო დაადოს სეიმის მიერ დამტკიცებულ კანონპროექტებს; იმ შემთხვევაში, თუ ამ კანონპროექტებს სეიმი მეორედ მიიღებს უცვლელად, პრეზიდენტი ვალდებულია ისინი დააკანონოს.

სეიმის დათხოვნის, მისი მუშაობის ვადის გადადების, ან სესიებს შორის დროის განმავლობაში, პრეზიდენტს აქვს უფლება გამოსცეს კანონის ძალის მქონე დეკრეტები, რომლებიც სეიმში უნდა იქნან შეტანილი 15 დღის განმავლობაში მისი მოწვევის შემდეგ.

სეიმის ეხლანდელი სესია დათხოვნილ იქნება ივლისში—1927 წლის 1 ივნისამდე და კანონები დაწესდება პრეზიდენტის დეკრეტების გამოცემით.

საგანგებო წესები

ვარშავა, 17 ივნისი. მინისტრთა საბჭომ გააუქმა საგანგებო წესები პომერანიაში, რომლებიც მაისის ამბების შემდეგ იყო შემოღებული.

რუმინია-პოლონეთი

ვარშავა, 17 ივნისი. ოთხშაბათს მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა საგარანტიო ხელშეკრულება პოლონეთსა და რუმინიას შორის.

ეროვნული უმცირესობანი

ვარშავა, 17 ივნისი. ბარტელს თათბირი ჰქონდა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან, მათ შორის ებრაელების წარმომადგენლებთანაც და შეჰპირდა გააუქმოს ყველა ის კანონები და დეკრეტები, რომლებიც კონსტიტუციონურ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

სხვადასხვა

შეთქმულება ტრანსიორდანიის არმიაში. ტრანსიორდანიის არმიაში აღმოაჩინეს სამხედრო-რევოლიუციონური შეთქმულება. ამის გამო პრემიერმა რიკაბი-ფაშამ დაითხოვა მთელი უფროსთა შემადგენლობა, რომელსაც არაბები წარმოადგენდენ და შესცვალა ის ჩერქეზებით.

ფაშისტების თავდასხმა. რომში ფაშისტები თავს დაესხენ რესპუბლიკანურ დეპუტატს კონტის და დეპუტატ კომუნისტს გშიელის. კონტი მძიმედაა დაჭრილი თავში.

კომუნისტების დევნა. ტიურინგიის ლანდტაგმა დეპუტატის ხელშეუხებლობის უფლება წაართვა 5 დეპუტატ-კომუნისტს, რომლებსაც ბრალს სდებენ სახელმწიფო გადატრიალებისათვის მზადებაში.

საფრანგეთის კომისარის უფლებები. საფრანგეთის კომისარმა ლივანში, ლივანის რესპუბლიკის გამოცხადების გამო განაცხადა, რომ მას უფლება აქვს დაითხოვოს პარლამენტი და გააუქმოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები და განკარგულებები. პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონები საფრანგეთის კომისარის მიერ უნდა დამტკიცდეს.

პოლიციის შეტაკება მოსახლეობასთან. მთელს პალესტინაში ხდება პოლიციის შეტაკებები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

ამასთან დაკავშირებით ინგლისის კომისარმა გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმად მცხოვრებლები კოლექტიურ პასუხისმგებლობას აგებენ უწესოებისათვის. დაახლოებითი გამოანგარიშებით, პალესტინაში უკვე ადგილი ჰქონდა 150 შეტაკებას პოლიციასთან.

— **პროტესტი ფრანგული ცენზურის წინააღმდეგ.** არაბულმა პრესამ სირიაში ფრანგული ცენზურის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად გამოაცხადა 7 დღის გაფიცვა.

სარეკორდო გადაფრენა. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, კენისბერგ—ბერლინის ხაზის მფრინავმა მიაღწია სარეკორდო შედეგს; ის 40 წუთის განმავლობაში გადაფრინდა კენისბერგიდან დანციგში და ორ საათის და 5 წუთის განმავლობაში დანციგიდან ბერლინში. ამრიგათ მოსკოვიდან დილით გაგზავნილი საჰაერო ფოსტა ბერლინში ჩავიდა იმავე დღეს.

ფილმის აკრძალვა. გერმანიის ხელისუფლებამ აკრძალა ჩვენება საპროპაგანდო სურათის „არც ერთი პფენინგი ყოფილ მონარქებს„.

ტრანსიორდანიის ემირი აბდულა. ინგლისის მთავრობამ იკისრა ტრანსიორდანიის ემირს აბდულას და მის მემკვიდრეობას ყოველ წლიურად აძლიოს 24.000 გირვანქა სტერლინგი იმ პირობით, თუ ის თავს დაანებებს ქვეყნის მართვა-გამგეობას.

კომუნალურ მუშების გაფიცვა ოსლოში. ოსლოში (ნორვეგია) კომუნალურმა მუშებმა და ტრამვაის მოსამსახურეებმა გაფიცვა გამოაცხადეს. გაფიცულია 4.000 კაცი.

სასწრაფოდ თავს უყრიან შტრეიკბრეხერებს.

ღამის ცნობები

კომკავშირის ცეკას პლენუმი

მოსკოვი, 17 ივნისი. გაიხსნა საკავშირო კომკავშირის ცეკას მორიგი პლენუმი. მთელი დღე 16 ივნისს მოუნდა სააგიტაციო-საპროპაგანდო საკითხის გარჩევას. 17 ივნისის დილის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ზავიალოვმა კომკავშირისა და პროფკავშირების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. 17 ივნისის საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება ფიზკულტურის შესახებ.

ხიქსის განცხადება

ლონდონი, 17 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„უპასუხებდა რა თემთა პალატაში საბჭოთა კავშირიდან ფულის გადმოგზავნის საკითხის შესახებ, ხიქსმა განაცხადა, რომ ამჟამად მთავრობას არა აქვს განზრახვა გაიზიაროს წინადადება საბჭოთა მთავრობასთან დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ.

„დეილი ტელეგრაფის“ კომენტარიები

ლონდონი, 17 ივნისი. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომ გაზეთ „დეილი ტელეგრაფის“ განცხადებით, მოსკოვში გაგზავნილი ულტიმატუმი უნდა იქნეს განხილული როგორც „გარკვეული მითითება იმაზე, რომ თუ ბოლშევიკური ფულები კვლავ გადაიგზავნება ინგლისელ მემაღაროეებს, მაშინ მოსკოვს წარედგინება უფრო მეტად სასტიკი პროტესტი, რომელსაც ულტიმატუმის ხასიათი ექნება და რომელსაც შეიძლება გამოიწვიოს დიპლომატიური ურთიერთობათა შეწყვეტა. [illegible]თი მომენტი ჯერ არ დამდგარა და იმედი [illegible], რომ საკმარისი იქნება გაგზავნილი მემორანდუმის საშუალებით წინასწარი გაფრთხილება“.

გაზეთი ასეთ შენიშვნას ჰბეჭდავს:

„მემორანდუმი გაიგზავნა დიპლომატიური შიკრიკით; როდესაც აღშფოთება გაძლიერდა მოსკოვიდან ახალი თანხების გადმოგზავნის გამო, მემორანდუმის შინაარსი განმეორებულ იქნა ტელეგრაფით და ამასთანავე იყო წინადადება ამ მემორანდუმის საბჭოთა მთავრობისათვის დაუყოვნებლივ გადაცემის შესახებ“.

ბრიანის თათბირი ერიოსთან და პუანკარესთან

პარიზი, 17 ივნისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ბრიანს თათბირი ჰქონდა ერიოსთან და პუანკარესთან, რომლებსაც გაუზიარა თავისი შეხედულება ახალი კაბინეტის შედგენის შესახებ და ჩამოსთვალა ის აუცილებელი ზომები, რომლებიც, მისი აზრით, საჭიროა სახელმწიფო ფინანსების აღსადგენად.

„საბჭოთა კავშირთან გვინდა საქმის დაჭერა“

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. კომპანია „ბალდუინ-ვოკლენტ“-ის ორთქლმავალთა აღმშენებელ ქარხნის დირექტორი, რომელიც ამას წინად საბჭოთა კავშირს ეწვია, უკვე დაბრუნდა ნიუ-იორკში და საექსპორტო წარმოებათა მუშაკების კლუბში განაცხადა: „ჩვენ გვსურს საქმე დავიჭიროთ საბჭოთა კავშირთან და გზასაც გამოვნახავთ ამისათვის, მაგრამ ამისათვის საჭიროა დრო. შეერთებულმა შტატებმა ფინანსები უნდა მიაწოდონ საბჭოთა შეკვეთებს. ვინმე უნდა იკისროს ამ მიმართულებით მოქმედება და მეც შევეცდები ჩემი წვლილი შევიტანო ამ საქმეში.

ტყავეულობის შესყიდვა არგენტინაში

ნიუ-იორკი, 17 ივნისი. არგენტინიდან საბჭოთა კავშირში წამოვიდა გემი, რომელსაც მოაქვს საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის მიერ შესყიდული ტყავეული, რომელიც 1.275.000 დოლარი ღირს.

პუანკარე მოითხოვს

პარიზი, 17 ივნისი. რადიკალ-სოციალისტები და მემარჯვენეთა უმრავლესობა ილაშქრებენ ერიოსა და პუანკარეს კაბინეტში ერთდროულად მონაწილეობის წინააღმდეგ. პუანკარე, რომელსაც ფინანსთა მინისტრად ასახელებენ, მოითხოვს, რომ ულაპარაკოდ იქნას მიღებული მისი ფინანსიური პროგრამა და მიეცის უფლება ფინანსიურ დეკრეტების პარლამენტის გარეშე გამოცემისა.

დიდი დემონსტრაცია მოსკოვში

მოსკოვი, 17 ივნისი. 17 ივნისს მოსკოვში შესდგა მუშათა დიდი დემონსტრაცია ინგლისის მთავრობის მემორანდუმის წინააღმდეგ.

მუშაობის გათავების შემდეგ მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში შესდგა მრავალი მიტინგები, რის შემდეგ დიდძალი მუშათა რაზმები დაიძრენ განაპირა უბნებიდან ქალაქის ცენტრისკენ. დემონსტრანტებს თან ჰქონდა პლაკატები შემდეგი წარწერით: „ჩვენ ვერ მოვითმენთ ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევას“. „არც ერთი დათმობა ინგლისის მთავრობას—ასეთია საბჭოთა კავშირის მუშების სურვილი“. „ვეხმარებოდით, ვეხმარებით და შემდეგშიაც დავეხმარებით“.

მოსკოვის საბჭოს შენობიდან სიტყვა წარმოსთქვეს ლოზოვსკიმ, უხანოვმა და სხვ.

„მემორანდუმი, სთქვა ლოზოვსკიმ, ეს არის ჩვენ შინაურ საქმეებში ჩარევა და ინგლისელ ამხანაგებისადმი დახმარების შეწყვეტა“.

საღამომდი მოსკოვის ყველა ქუჩები გაჭედილი იყო დემონსტრანტებით. დემონსტრაციაში მონაწილეობდა 300.000 კაცზე მეტი.

დემონსტრანტები ცდილობდენ ვოროვსკის ქუჩაზე გადასვლას, სადაც მოთავსებულია ინგლისის საელჩო, მაგრამ მილიციის გაძლიერებული რაზმებმა არ დაუშვა ისინი.

რა ხდება ქართულ ემიგრაციაში

რატომ მოკლეს ვეშაპელი?

პარიზი, 16 ივნისი. მრავალი ქართველი ემიგრანტის საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლამ დიდი გაბოროტება გამოიწვია ქართველ თეთრგვარდიელთა პარიზის კოლონიაში. მათი სიძულვილი განსაკუთრებით დიდი იყო ვეშაპელის მიმართ.

ვეშაპელი აღაშფოთა ქართველი ემიგრაციის თეთრგვარდიელ ელემენტების მოქმედებამ, რომელნიც საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში აშკარად ეყრდნობოდენ უცხოელებს. მან შეიგნო, რომ საქართველოს მხოლოდ საბჭოთა კავშირის შემწეობით შეუძლია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მიღება. იგი არ გამხდარა კომუნისტი, მაგრამ სასტიკი ბრძოლის წარმოება დაიწყო საბჭოთა საქართველოს მტრების წინააღმდეგ.

თეთრგვარდიელები არავითარ საშუალებას არ ერიდებოდენ, რომ ჩაეშალათ ვეშაპელის მუშაობა, რომელიც მიმართული იყო მენშევიკ-თეთრგვარდიელთა ზედაფენების მიერ მოტყუებულ ქართველ ემიგრანტთა მასების გამოფხიზლებისაკენ. ისინი ყოველთვის იმუქრებოდენ. მათ გაიტაცეს და ბნელ ჯურღმულში ჩაამწყვდიეს მხეიძე, როგორც კი გაიგეს, რომ იგი მზად იყო საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას შერიგებოდა. ისინი თავს ესხმოდენ იმ ქართველების კრებებს, რომელთაც საბჭოთა მოქალაქეობა მიიღეს.

წარსული წლის 9 აგვისტოს ქართველმა თეთრგვარდიელებმა შეიარაღებული თავდასხმა მოახდინეს საბჭოთა პლატფორმაზე მდგომ ქართველთა კრებაზე, რის გამოც კრების მონაწილეებმა სასამართლოში მისცეს თეთრგვარდიელები. ვეშაპელი წარმომადგენელი იყო სამოქალაქო სარჩელისა და 10 ივნისს გაბედულად გამოვიდა სასამართლოში.

ბრალდებულები ყოველგვარი ლანძღვის სიტყვებით უმასპინძლდებოდენ ვეშაპელს და მას გამცემელს უძახოდენ. როცა ბრალდებულმა წარმოსთქვა სიტყვა: „ის გამცემია“, სასამართლოს თავმჯდომარეს ის არ მოუწოდებია წესრიგისაკენ, მხოლოდ რბილად შენიშნა: „მაშასადამე, თქვენს შორის იყო განხეთქილება და ამიტომ დაარღვიეთ თქვენს მოწინააღმდეგეებთან არსებული ურთიერთობა“. პროკურორი აგრეთვე რბილად მოითხოვდა ბრალდებულთა დასჯას პრინციპიალური მოსაზრებით.

მკვლელმა დაკითხვაზე განაცხადა, რომ მან ვეშაპელის მოკვლა 1924 წლის დეკემბერში გადასწყვიტა; ვეშაპელის რედაქტორობით გამოსულ „ახალი საქართველოს“ დეკემბრის ნომერზე მან წააწერა ვეშაპელის სასიკვდილო განაჩენი. მერაბიშვილის ბინის გაჩხრეკის დროს გაზეთის ეს ნომერი ასეთი წარწერით მართლაც ნახეს.

ეს ეპიზოდები, გაზეთის წარწერა და აგრეთვე ქართველ სტუდენტთა ორგანიზაციის განცხადება, რომ მერაბიშვილი ჯერ კიდევ იანვარში იყო განრიცხული ორგანიზაციიდან „ბოლშევიკებთან კავშირის შესახებ იჭვის გამო“, ჩვენ გვიჩვენებს, რომ თეთრგვარდიელებს სურთ ეს მკვლელობა ინდივიდუალურ აქტად გამოაცხადონ.

ჩხეიძის თვითმკვლელობის გარშემო

პარიზი, 16 ივნისი. რენოდელი გაზ. „კოტიდიენ“-ში უპასუხებს კომუნისტურ „იუმანიტე“-ს შეკითხვას, რატომ ფარავდენ ჩხეიძის თვითმკვლელობას, რასაც „იუმანიტე“ „ახალი საქართველოს“-ს რედაქტორის ვეშაპელის მოკვლას უკავშირებს.

რენოდელი აქვეყნებს საქართველოს მენშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზღვარ-გარეთელი ბიუროსაგან მიღებულ წერილს, 12 ივნისის თარიღით. ამ წერილში საზღვარგარეთელი ბიურო აცხადებს, რომ ვეშაპელის მკვლელი მერაბიშვილი არასოდეს არ ეკუთვნოდა მენშევიკურ პარტიას, რომელიც ინდივიდუალური ტერორის წინააღმდეგია.

კ. ჩხეიძის თვითმკვლელობის გამო

დეპეშა გვაცნობებს, რომ კარლო ჩხეიძემ 8 ივნისს დანით ყელი გამოიჭრა, ხოლო 12 ივნისს გარდაიცვალა. ეს ცნობა მეტად მშრალათ არის გადმოცემული და, რასაკვირველია, არ გვაძლევს საშუალებას გავერკვეთ საქმის ვითარებაში. ეს მდგომარეობა კი დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს საზოგადოებაში. ვისაც არ უნდა შეხვდე, ყველა ერთსა და იმავეს გეკითხება: „როგორ, თვითმკვლელობა და კარლო ჩხეიძე? სულით დაცემა, სასოწარკვეთილების მორევში გადავარდნა და სიცოცხლის ასე ტრაგიკულათ დაბოლავება? არა, ამას ვერ დავიჯერებთ, რაღაც უცნაურობაა!“ ამგვარად, კ. ჩხეიძის თვითმკვლელობა დაუჯერებელი ამბავი შეიქნა. ერთის შეხედვით ეს ბუნებრივია, აქ საკვირველი არაფერია. კარლო ჩხეიძე იშვიათი მტკიცე და იმედით სავსე იყო მუდამ. მისი პესიმიზმი არავის ახსოვს! ყოველგვარ ქარტეხილის დროს ის თავის გზაზე ყოველთვის ურყევათ იდგა. და თუ ამ დროს რომელიმე თანამებრძოლის პესიმიზმი დაეუფლებოდა, ჩხეიძე ცდილობდა მის გამხნევებას და ამ დროისთვის უხვად ამოალაგებდა თავის ჩვეულებრივ მოხდენილ ჰიუმორს.

ასეთი ადამიანი დანით იჭრის ყელს. თუ ჩვენ მოკლე ისტორიულ მიმოხილვას გავაკეთებთ ჩხეიძის მოღვაწეობისას, არც ისე გაგვიძნელდება მისი სიცოცხლის ასე ტრაგიკულად დამთავრების მიზეზის გამონახვა და არც ისე საკვირველი იქნება ჩვენთვის ეს მოვლენა. კარლო ჩხეიძე იყო მესამე დასელთა პირველი ჯგუფის ერთი აქტიური წევრი, შეიძლება ითქვას, ერთი მისი დამაარსებელთაგანიც. 1905 წ. რევოლიუციამდე, ის ბრძოლას აწარმოებს საქართველოს მასშტაბით, როგორც მონარქიულ რეჟიმის, ისე ქართულ შოვინისტურ თავად-აზნაურულ ინტელიგენციის წინააღმდეგ, რომლებმაც თავისი მესაფლავე, სრულიად სამართლიანად, მარქსიზმში დაინახეს.

1905 წ. [illegible] შემდეგ კ. ჩხეიძის [illegible] მოღვაწე[illegible] ფართოვდება. მე-3 და 4 სათათბიროში ის სოც.-დემ. ფრაქციის ბელადია და თავისი მჭერმეტყველობით და გონება-მახვილობით არა მარტო რუსეთის, არამედ საზღვარ-გარეთის ყურადღებასაც კი იპყრობს. განსვენებულს თავისი ვესლიანი ენით ტრიბუნიდან საამკაროზე გამოჰქონდა ყველა ის საშინელებანი და საზიზღროებანი, რომლებითაც მაშინდელი ხელისუფლება უხვად აჯილდოებდა მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას. 1917 წლის თებერვლის რევოლიუციას ჩხეიძე სათავეში უდგება. ის სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების თავმჯდომარეა. მას აქ შეეძლო დიდი საქმის გაკეთება, მაგრამ „შეთანხმების პოლიტიკამ“, ის ბურჟუაზიის წუმპეში გადაისროლა. რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა ის გარიყა და რევოლიუციის ბედი ღირსეულ ბელადებს ჩააბარა. აქედან იწყება მისი ტრაგედია. გამოქცეული ოქტომბრის რევოლიუციიდან, ის ჯერ ა.-კ. სეიმის თავმჯდომარე ხდება. მალე ის ა.-კ. სეიმის თავმჯდ. სავარძლიდან საქ. დამფ. კრების სავარძელში ჯდება. აქ ის იძულებულია ხელიხელ ჩაკიდებული და შეხმატკბილებული იაროს იმათთან ერთად, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაჭაღარავდა, ე. ი. ქართულ შოვინისტურ პარტიებთან. საქართველოს „დამოუკიდებლობის“ ცნობისათვის მას მოუწია მოგზაურობა ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მთავრობათა კაბინეტებში. მისი სიტყვები რომ ვისმაროთ, დიდი მტკიცება დასჭირდა, რომ ის ქართველი იყო და არა რუსი, ვინაიდან მას იცნობდენ, როგორც თებერვლის რევოლიუციის ხელმძღვანელს. არა ნაკლები შრომა დასჭირდა, რათა ევროპის ბურჟუაზიისათვის დაემტკიცებინა, რომ საქართველო მდებარეობს კასპიისა და შავი ზღვის შორის და არა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ასე გაგრძელდა მისი მოღვაწეობა ოქტომბრის რევოლიუციის სამი წლ. თავამდე; ამ ხნის განმავლობაში არც ერთი მისი და მის უახლოეს მეგობართა მიერ დასმული დიაგნოზი ოქტომბრის რევოლიუციის დაჩქარებით სიკვდილის აუცილებლობის შესახებ ცხოვრებამ არ გაამართლა. აქ მას უსწრებს ოქტომბრის ტალღები და მისი სამოღვაწეო ვიწრო წრეც სავსებით ქრება. აქედან იწყება ისევ ხვეწნა-მუდარა ბურჟუაზიულ კაბინეტების წინაშე საქართველოს „განსათავისუფლებლად“, მეორე ინტერნაციონალს ხომ ულტიმატუმებს უყენებენ, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე მისთვის ვერ „იცლის“ და ემიგრანტთა ხმა რჩება „ხმათ მღაღადებლისა, უდაბნოსა შინა“. ამგვარად დაბნეული, უპერსპექტივო, ის ეძლევა მწარე ფიქრებს. მიმოიხედავს უკან, გადახედავს თავის წარსულს და მის თვალწინ შემდეგი სურათი წამოიშლება: ჩხეიძე დასელთა ერთი ხელმძღვანელთაგანი. სახელ. სათათბიროს სოც.-დემოკრატიული ფრაქციის ბელადი, თებერვლის რევოლიუციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და რუს. მუშათა საბჭ. თავმჯდომარე, შემდეგ დაქანებული ხაზით ა.-კ. სეიმის თავმჯდომარე, საქ. დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე, ევროპაში გახიზნულ „დამფუძნებელ კრების“ თავმჯდომარე ხოლო დღეს? პარიზის მიდამოლევილში, ნოე რამიშვილის ჯოჯოხეთურ ყუთში მომწყვდეული, მას არავითარ ანგარიშს არ უწევენ და ხშირად მწარე სინამდვილის მიერ ნაკარნახევ სიმართლის თქმისთვის „გამოჩერჩეტებულ“-საც კი უწოდებენ რამიშვილის ავანტიურისტი აგენტები.

უსათუოდ საშინელი სურათი. და ბოლოს 30—35 წლის ბრძოლის შემდეგ, მოხუც ჩხეიძეს იმის თქმის უფლებაც აღარ აქვს, რომ ნოე რამიშვილის ავანტიურისტულმა პოლიტიკამ ქართველ ხალხს არაფერი არ შესძინა.

კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობა ბევრის მეტყველია, და ვისაც არ დაკარგვია უნარი გაგებისა, ის შესაფერ დასკვნას გამოიტანს. კ. ჩხეიძე პარტიის ბელადი იყო და მისი ყელის გამოჭრა, ეს პარტიის საბოლოო მოსპობას უდრის. შემცდარი გზით მოსიარულე მენშევიზმის ბედი ასეც უნდა დაბოლავებულიყო.

ჩვენ გვჯერა, რომ ყველა ის, ვინც დღეს ნოე რამიშვილის ტყვეობაშია, ამ ფაქტის შემდეგ მაინც გამოერკვევა და დაუბრუნდება თავის სოციალისტურ სამშობლოს, საბჭოთა საქართველოს.

მ. ძამანაშვილი.

საბჭოთა კავშირში

რ უ ს ე თ ი

საქონლის გაცემა კრედიტში

მოსკოვი, 17 ივნისი. საკავშირო პროფსაბჭოსთან შესდგა თათბირი მუშათა და მოსამსახურეთათვის საქონლის მიცემის შესახებ კრედიტში. თათბირმა აუცილებლად სცნო წვრილი კრედიტის დატოვება. გრძელვადიან კრედიტის შესახებ საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა.

სასოფლო გადასახადის კამპანია

მოსკოვი, 17 ივნისი. ს. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის სააგიტაციო-საპროპ. განყ. სპეციალურ წერილით მიმართა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ მოწყობილ იქნას კამპანია გლეხებს შორის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონის განსამარტებლად.

წერილში აღნიშნულია, რომ უნდა შეიქმნეს ადგილობრივი სპეციალური კომისიები კამპანიის ჩასატარებლათ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ საკითხი უნდა ისმებოდეს სამაზრო და სათემო ყრილობებსა, კონფერენციებსა და სოფლის ყრილობებზე. სათემო აღმასკომებსა, ქოხ-სამკითხველოებსა და გლეხთა სახლებში უნდა მოეწყოს საინფორმაციო მუშაობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

ჩრდილოეთის შესწავლა

არხანგელსკი, 17 ივნისი. ჩრდილოეთის შემსწავლელი ინსტიტუტის მეცნიერული ექსპედიცია მატორიანი გემით ზღვაში გავიდა. ექსპედიციას მიზნად აქვს დასახული შეისწავლოს თეთრ ზღვაში ცხოველთა და მცენარეთა სამეფო.

არმიაში სამუშაოდ

მოსკოვი, 17 ივნისი. მიმდინარე წლის შემოდგომაზე 1904 წელში დაბადებულთა არმიაში გაწვევის გამო, საკავშირო ახკომკავშირის ცენტრ. კომიტეტმა ადგილობრივ ორგანიზაციებს აცნობა, რომ აუცილებლათ უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი მუშაობა 1904 წელში დაბადებულ კომკავშირელ აქტივის შესაცვლელათ ახალი აქტივით. ც. კომ. წინადადებას იძლევა აგრეთვე, პოლიტორგანოებთან ერთად მოხდეს მომავალი აქტივის სპეციალური მომზადება არმიაში სამუშაოთ.

დიდი გამოგონება

ლენინგრადი, 17 ივნისი. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის პროფესორმა როზინგმა გააკეთა ახალი ხელსაწყო „ეპტოფონი“, რის საშუალებითაც ბრმებს შეუძლიათ წაიკითხონ ჩვეულებრივი წიგნები.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკების დელეგაცია

მოსკოვი, 17 ივნისი. ბელგიაში ჩავიდა ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკების ცეკას დელეგაცია, ფოსტა-ტელეგრაფის მუშების ინტერნაციონალის აღმასკომის მორიგ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. სხდომაზე სხვა საკითხთა შორის განხილულ იქნება აგრეთვე საკითხი ინტერნაციონალში ს. ს. რ. კ.-ის ქსელის მუშათა კავშირის მისაღებად.

უმუშევართა ფონდისთვის

მოსკოვი, 17 ივნისი. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ნება დართო მბეჭდავთა ცეკას, დიდი უმუშევრობის გამო უმუშევართა ფონდში გადარიცხოს 50 პროც. საგაფიცვო ფონდის თანხიდან.

ოსმალეთის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 17 ივნისი. მოსკოვში ჩამოვიდნენ ოსმალეთის სახალხო განათლების კომისარი ნაფი-ატუფ-ბეი და ოსმალეთის სახ. განათლების სამინისტროს გენერალური ინსპექტორი რიდვან-ნაფიზ-ბეი.

დელეგაციის მიზანია შეისწავლოს ჩვენი სახალხო განათლების მდგომარეობა და მეთოდები, განსაკუთრებით სასკოლო საქმის სფეროში.

მაღაროს აფეთქება

ნოვო-სიბირსკი, 17 ივნისი. კუზნეცის ბასეინის კემეროვის მადანში გაზების აფეთქება მოხდა მაღაროში. აფეთქება მოხდა მიწის ქვეშე იმ რაიონში, სადაც ხანძარი 8 წელია მძვინვარებს. მშველელ რაზმის მუშაობის დროს გაზით მოიწამლა 4 კაცი, რომელთაგან ერთი მოკვდა და დანარჩენი გადარჩა.

ა.-კ. ფედერაციაში

ს ო მ ხ ე თ ი

გლეხკაცობის თაოსნობა

ლენინაკანი, 17 ივნისი. მიმდინარე წელს ლენინაკანის მაზრის მეშვიდე რაიონში გამოყენებულ იქნა მთელი სახნავი მიწა.

მოსავალს კარგი პირი უჩანს.

გასული წლის კარგი მოსავლის გამო აღსანიშნავია ენერგიული მშენებლობა სოფლებში. გლეხები თვითონვე წმენდავენ არხებს, აკეთებენ შკოლებს და სხ.

ტანაგირმასის და ხააჯი-ხალილის სოფლის საზოგადოებამ დაადგინა გამოიყვანონ სასმელი წყალი წყაროებიდან.

ვაჭრობის გაფართოება

ლენინაკანი, 17 ივნისი. სომხეთის ვაჭრობის ადგილობრივი განყოფილება, საზრუნავ კაპიტალის გადიდების გამო აფართოებს თავის საბითუმო ვაჭრობას და ადიდებს მაღაზიების ქსელს ცალობით ვაჭრობისათვის.

ციკლონი ბათუმში

ბათუმი, 17 ივნისი. 16 ივნისს, 23 საათზე, ბათუმზე გადაიარა ციკლონმა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით 11 ბალის ძალით (12 ბალოვან სისტემით).

ქალაქის მრავალ ადგილას სახლებზე აგლიჯა სახურავები, დაზიანებულია ელექტრონისა და ტელეფონის მავთული. ამოგლეჯილია და დამტვრეულია ხეები.

ციკლონი 50 წუთს გაგრძელდა.

საბჭოთა დაკვეთები გერმანიაში

ბერლინი, 16 ივნისი. გერმანიის პრესა ვრცლად იხილავს რიკოვის განცხადებას საბჭოთა დაკვეთების გერმანიიდან სხვა ქვეყნებში გადატანის შესახებ. სამრეწველო წრეების გაზეთი „ინდუსტრი უნდ ჰანდელსცეიტუნგ“ აღნიშნავს, რომ საბჭოთა დაკვეთებისათვის კრედიტის მიწოდება გერმანიაში სრულიადაც არ ისახავდა მიზნად გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირში გასატან საქონლის გაიაფებას.

„კელნიშე ცეიტუნგი“ სთვლის, რომ საბჭოთა კავშირი სარგებლობს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიით საქონლის მეტად დაბალ ფასებში შესაძენად.

„რეინიშე ვესტფალიშე ცეიტუნგი“ აღნიშნავს, რომ გერმანიამ ვერ გამოიჩინა შორსმჭვრეტელობა [illegible] თან მოლაპარაკების დროს. გაზეთის აზრით, გერმანიამ არ უნდა დაჰკარგოს საბჭოთა დაკვეთები, რომელნიც აუცილებელი არიან გერმანიის მრეწველობისა და გერმანიის მუშებისათვის.

„ფოსიშე ცეიტუნგი“ უმთავრესად საკითხის პოლიტიკურ მხარეს ეხება. გაზეთი სთვლის, რომ გერმანია-საბჭოთა ხელშეკრულების საერთო ხაზს ეწინააღმდეგება გერმანიის მთავრობის განცხადება, რომ საბჭოთა მთავრობა უგერმანიოთ ვერ დააღწევს თავს გაჭირვებას. სწორი პოლიტიკა, გაზეთის აზრით, უფრო ხელსაყრელია, ვინემ ზედმეტი პროცენტის ჩამორჩენა. გაზეთი სვამს კითხვას, სურს თუ არა გერმანიას საფრთხეში ჩააგდოს მის მიერ აღმოსავლეთში [illegible]ბები.

უცხოეთში

შეერთებული შტატები და ევროპა

ლონდონის ყოველკვირეულ ჟურნალში „სპექტატორ“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიაც პრეზიდენტ კულიჯს მოუწოდებდენ გამოეცხადებია შეერთებული შტატები „საყოველთაო მშვიდობიანობის დარაჯათ“. ვინაიდან შეერთებული შტატები უარს ამბობს ერთა ლიგაში შესვლაზე, ლონდონელი ჟურნალი ამტკიცებდა, რომ შეერთებულ შტატებს ლიგის გარეშეც შეუძლია და უნდა ჩაერიოს მსოფლიო პოლიტიკაში. ამისათვის, ჟურნალის აზრით, საკმაო არის, რათა კულიჯმა გამოაცხადოს, რომ „ამერიკა კაცობრიობის დაუძინარ მტრათ სთვლის ყველას, ვინც უპატივცემლოდ არაფრად აგდებს სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებებს“.

ამერიკელ პოლიტიკოსებისათვის(რომლებმაც დიდი ყურადღება მიაქციეს ამ წერილს, ნათელი შეიქნა სამი რამ: 1) წერილი დაწერილია ინგლისის მთავრობის წრეების კარნახით, 2) ასეთი მხურვალე მოწოდება აიხსნება იმით, რომ პოლიტიკა, რომელსაც ინგლისი აწარმოებდა ლოკარნოში გაკოტრდა, 3) „მშვიდობიანობის დამრღვევთა და ხელშეკრულებებისადმი უპატივცემლოთა“ ქვეშ ინგლისი პირველყოვლისა გულისხმობს საბჭოთა კავშირს. სხვა სიტყვებით, რომ ვქთვათ, ინგლისი სცდილობდა გამოერკვია, ხომ არ შეიძლება ამერიკის დათანხმება იმაზე, რომ მან მხარი დაუჭიროს ინგლისის პოლიტიკას ევროპაში, კერძოთ კი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თითქოს, ოფიციალურ პასუხს ამ მოწოდებაზე წარმოადგენდა ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრის კელლოგის სიტყვა ფილადელფიაში, სადაც მან განაცხადა: „პრინციპს, რომელიც მოითხოვს, რომ ჩვენ უნდა ვერიდოთ ჩარევას უცხოეთის საქმეებში, ეხლაც, როცა შეერთებული შტატები წარმოადგენენ დიდ და ძლიერ სახელმწიფოს, ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ჰქონდა მაშინ, როცა შეერთ. შტატები 13 შტატის პატარა და სუსტ კავშირს წარმოადგენდა. ეს პრინციპი ჩვენი პოლიტიკის ქვა-კუთხედია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ინტერესს არ შეადგენს რაიმე თავდაცვითი ან შეტევითი, პოლიტიკური ან სამხედრო კავშირის შეკვრა“.

კელლოგის სიტყვით, ერთხელ კიდევ იქნა დადასტურებული ტრადიციული ამერიკული „გახსნილი ხელების“ პოლიტიკა. ეს პოლიტიკა ამჟამად განსაკუთრებული პოპულიარობით სარგებლობს შეერთებულ შტატებში, რადგან არასოდეს ასე ძლიერი არ ყოფილა იქ მთელი დანარჩენი მსოფლიოსადმი შეერთებული შტატების დაპირისპირების იდეა, როგორც დღეს.

შეერთებული შტატების პოლიტიკოსები და საქმიანი წრეები მოელიან გააფთრებულ ბრძოლას დანარჩენ კაპიტალისტურ ქვეყნებთან მსოფლიო ბატონობისათვის და ამიტომ ხელშეკრულებების დადებით არ სურთ მათი საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება.

პირიქით, ამერიკის მთელი გულისყური მიპყრობილია ევროპის მშვიდობიან გზით დაპყრობისაკენ.

სწორედ ამაში მდგომარეობს შეერთებული შტატების ლონდონელი ელჩის ხაუტონის წინადადებათა დედა-აზრი. ხაუტონი მოითხოვს ევროპის დამორჩილებას, მასზე ეკონომიური და ფინანსიური ზეგავლენის მოხდენის გზით.

მაგრამ, ხაუტონის პოზიცია არ იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი შეერთებული შტატების თავისებური დაპყრობითი პოლიტიკის თვალსაზრისით. ხაუტონი არის წარმომადგენელი ფინანსიური კაპიტალის, რომელიც დაინტერესებულია არა მარტო შეერთებული შტატების იმპერიალიზმის გამარჯვებაში, არამედ იმაშიც, რომ ევროპიული მთელი სახელმწიფოების ეკონომიური მდგომარეობა რამოდენიმეთ გაუმჯობესდეს, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკელი ბანკირები ვერც პროცენტებს მიიღებენ და ვერც გასესხებულ ფულს დაიბრუნებენ.

ამიტომ იყო, რომ ხაუტონის წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრეს სამრეწველო კაპიტალის ისეთმა გავლენიანმა წარმომადგენლებმა, როგორც არიან ფინანსთა მინისტრი მელონი და ვაჭრობის მინისტრი ჰუვერი.

ჰუვერის თვალსაზრისი ერთგვარ კომპრომისს წარმოადგენდა კელლოგისა და ხაუტონის პოზიციას შორის. ჰუვერის აზრით, საჭიროა ევროპის გაჯანსაღება, რადგან ამერიკამ ვალები უნდა აიღოს, მაგრამ ეს გაჯანსაღება უნდა მოხდეს ამერიკის კაპიტალის ხელმძღვანელობითა და კონტროლის ქვეშ. ევროპის გაჯანსაღებამ ამერიკის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა გააძლიეროს არა ადგილობრივი კაპიტალი, არამედ შეერთებული შტატების კაპიტალის პოზიციები ევროპაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაჯანსაღება“ მდგომარეობს ევროპის სიმდიდრეთა გადასვლაში შეერთებულ შტატების ხელში.

ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ამერიკის სამრეწველო კაპიტალი და პრესის აზრით მოსალოდნელია, რომ ახლო ხანში შეერთებული შტატების მთავრობაში მოხდება შესაფერი ცვლილებები, ჰუვერის გეგმის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

პარტიული ცხოვრება

ა. ლ. კომკავშირის საოლქო კომიტეტის პლენუმის შედეგები

ეხლახან დამთავრდა საკავშირო ლენინურ კომკავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მეორე პლენუმი:

პლენუმმა კომკავშირის ორგანიზაციების მიღწევებთან ერთად აღნიშნა ნაკლულოვანებანიც და მიუთითა პრაქტიკულ ღონისძიებებზე ამ ნაკლულოვანებათა აღმოსაფხვრელად. პლენუმი აღნიშნავს ამიერ-კავკასიის კომკავშირის ორგანიზაციების დიდ ზრდას (20.000 წევრით) 4 თვის განმავლობაში და საჭიროდ სთვლის გაგრძელდეს ეს ზრდა. კომკავშირის ორგანიზაციებმა უფრო ფართოდ უნდა მიიზიდონ ახალგაზრდა მოჯამაგირეები და მუშა-ახალგაზრდობა.

პლენუმმა აღნიშნა საგრძნობი მიღწევები პოლიტიკურ-განმანათლებელ მუშაობის დარგში. ამასთან ერთად პლენუმი აღნიშნავს, რომ საჭიროა მიმდინარე ზაფხული გამოყენებულ იქნეს პოლიტსკოლების, პოლიტ-სამკითხველოების და წრეების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად და გადასამზადებლად მომავალი სამოსწავლო წლისათვის. სასკოლო მშენებლობის დარგში კომკავშირის ორგანიზაციებს ყოველმხრივი დახმარება უნდა გაეწიოთ მუშაობის თვისების გაუმჯობესების საქმეში; მათ უნდა გააფართოვონ გლეხურ ახალგაზრდობის სკოლები სოფლად და საქარხნო შეგირდობის სკოლები ქალაქში; უნდა დაუახლოვონ ეს სკოლები მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის მოთხოვნილებებს.

საზაფხულო მუშაობის შესახებ პლენუმმა აღნიშნა, რომ აუცილებელია უჯრედების მუშაობის გადახალისება, მისი ფორმის და მეთოდების შეცვლა საზაფხულო პერიოდის პირობებთან შეფარდებით.

აღნიშნავს რა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობის გაუმჯობესებას, რაც განსაკუთრებით საბჭოების უკანასკნელ არჩევნებზე გამოირკვა, პლენუმი ამასთანავე ერთად მიუთითებს, რომ საჭიროა, რათა კომკავშირის ორგანიზაციებმა გააძლიერონ ყურადღება ამ მიმართულებით.

კავშირის მთელ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს საკავშირო კომპარტიის ცეკას გადაწყვეტილებები და საკავშირო ლენინურ კომკავშირის ცეკას დირექტივები.

საზაფხულო პერიოდში კომკავშირის აქტივი მაქსიმალურად განტვირთული უნდა იქნეს მუშაობიდან იმ მიზნით, რომ მას შესაძლებლობა ჰქონდეს ხელი მოჰკიდოს ფიზიკურ გაჯანსაღებას.

აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას ნაციონალურ უმცირესობათა შორის მუშაობის და კომკავშირის ინტერნაციონალურ აღზრდის საკითხს, პლენუმმა დეტალურად განიხილა ეს საკითხი. მან დიდი ყურადღება გამოიწვია პლენუმის დამსწრეების მხრივ. პლენუმმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა ეროვნების ახალგაზრდობის რიცხვობრივ დარაზმვის მხრივ ამიერ-კავკასიის კომკავშირმა დიდ შედეგებს მიაღწია.

მომავალში საჭიროა, რათა ნაციონალურ უმცირესობათა მოჯამაგირე ახალგაზრდობის, ღარიბ გლეხობის და საშუალო გლეხურ ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილის დარაზმვასთან ერთად ყურადღება მიექცეს უფრო მცირერიცხოვან და კულტურულად ჩამორჩენილ ეროვნებათა (ქურთები, ხევსურები და სხვ.) მშრომელ ახალგაზრდობას, რომელიც აქამდის არ არის საკმაოდ ჩაბმული კავშირში.

პლენუმმა მნიშვნელოვან გადაუდებელ ამოცანად წამოაყენა წერა-კითხვის უცოდინარობის საბოლოო ლიკვიდაცია ნაცუმცირესობათა ახალგაზრდობას შორის. გარდა ამისა პლენუმმა კომკავშირის ორგანიზაციების ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ საჭიროა დაწყებულ იქნეს სერიოზული პროპაგანდა რუსული ენის შესასწავლად კომკავშირის მასას შორის და, პირველ რიგში, ლენინურ კომკავშირის აქტივს შორის.

რუსული ენის შესწავლა ხელს შეუწყობს ლენინიზმის შეთვისების და კომკავშირის ახალგაზრდობას გაუადვილებს კომკავშირის და კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალურ ამოცანების გაცნობას.

პლენუმმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში კომკავშირის ხელმძღვანელობით დაწყებული საბავშვო კომუნისტური მოძრაობა კიდევ მეტ ყურადღებას მოითხოვს. საჭიროა, რათა პიონერთა კოლექტივებში გაძლიერებულ იქნეს აღმზრდელობითი მუშაობა.

პრესის შესახებ პლენუმი აღნიშნავს, რომ კომკავშირის პერიოდული პრესის მიზანი უნდა იყვეს მასიურად გახდომა.

მიიღო რა მხედველობაში, რომ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს პოპულიარული ლიტერატურა, პლენუმმა დაადგინა აღებულ იქნეს კურსი მასიურ მუშურ, განსაკუთრებით გლეხურ წიგნზე. ახკორების მუშაობის შესუსტების გამო, პლენუმმა აღნიშნა ახკორების მუშაობის გაძლიერების აუცილებლობა.

პიონერთა ნაბეჭდი გაზეთების არსებობა პლენუმმა აუცილებლად სცნო. პლენუმმა დაადგინა გამოცემულ იქნეს ყველა რესპუბლიკებში პიონერთა ჟურნალები.

ჩვენი საქმიანობა

(ქართული სამხ. პოლიტ. სკოლის კომუჯრედი)

მე-3-მე წელია, რაც ჩვენი სკოლის უჯრედი არსებობს. ამ ხნის განმავლობაში სკოლამ უკვე გამოუშვა წით. ჯარის ნაწილებისათვის პოლიტიკურათ მომზადებული ამხანაგები, და სამაგიეროთ მიღებულ იქნა ახალი კადრი კურსანტებისა. დღეს ჩვენს უჯრედში ირიცხება 33 წევრი და 23 კანდიდატი. მუშაობა ნაყოფიერათ მიმდინარეობს, ხშირათ იმართება როგორც დახურული აგრეთვე გაერთიანებული კრებები, კრებებზე ისმება ყოველთვის სხვადასხვა საინტერესო საკითხები, უჯრედის წევრები ყველანი აქტიური არიან და მოხსენებები თვითეულ მათგანს ხშირათ ევალებათ.

უჯრედს მჭიდრო კავშირი აქვს, როგორც სამხ. ისე სამოქალაქო ორგანიზაციებზე, წერილობითი კავშირი გვაქვს აზერბეიჯანის და სომხეთის სამხ. პოლიტ-სკოლის კომუჯრედებთან. დღეს ბანაკში ყველანი ერთად ვიმყოფებით. თუმცა დიდი ხანი არ არის რაც ჩამოვედით ბანაკათ მანგლისში, მაგრამ მაინც შევსძელით ზოგიერთი საკითხების მოგვარება. რაიკომთან შეთანხმებით მიმაგრებულ იქნენ ჩვენი უჯრედის წევრები სხვადასხვა მეტად ჩამორჩენილ სოფლებზე. ჩვენი უჯრედის წევრები სათანადოთ მომზადებული არიან და გარდა ამისა, რადგან უმრავლესობა გლეხის შვილებია კარგათ ესმით თუ, როგორ უნდა მიუდგენ გლეხობას, და როგორ უნდა სწარმოებდეს მათთან მასიური მუშაობა. თუმცა სოფლათ მუშაობა იწარმოებს სულ სამი თვის განმავლობაში, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ვფიქრობთ მეტი გაკეთდება. ამას ამტკიცებს ჩვენი შარშანდელი მუშაობა.

ა. ცხადაძე.

ცეკას სტამბის კომუჯრედში

9 ივნისს, ცეკას სტამბის კომუჯრედთან არსებულ პოლსკოლის მსმენელების გამოცდა იყო დანიშნული.

გამოცდებზე გამოცხადდა სულ 10 ამხანაგი. გამომცდელი კომისიის წევრები იძლეოდენ კითხვებს, რომლებზედაც მსმენელები დამაკმაყოფილებლად უპასუხებდენ. გამოცდები ყველა მსმენელებმა ჩააბარა.

მადლობის ღირსია სკოლის ხელმძღვანელი, რომელმაც მუყაითი მუშაობით დაეხმარა მსმენელებს პოლიტცოდნის შეძენაში. ვფიქრობთ, რომ ამხანაგები არ დაკმაყოფილდებიან მიღებულ ცოდნით და ამიერიდან თვითგანვითარების გზით კიდევ მეტად გააფართოვებენ მას.

გ. ჯაბადარი.

პოლიტწრე ნაყოფიერად მუშაობდა

რკინის-გზის მთავარ სახელოსნოს სარონოდო საამქროს უჯრედთან არსებობდა პოლიტწრე, რომელშიც მეცადინეობდა 17 ამხანაგი. მეცადინეობას ამხანაგები წესიერათ ესწრებოდენ, ხელმძღვანელიც პირნათლად ასრულებდა თავის საქმეს.

ამას წინად მოხდა გამოცდები, რომელიც ყველა ამხანაგმა გაიარა და დამაკმაყოფილებელი ცოდნაც გამოიჩინეს.

მესხეთელი.

პატარა ფელეტონი

„ფრანკის კურსი ეცემა".
„პერემ აკრძალა ტკბილეულობა"
„საფრანგეთის ფინანსთა მინის-
ტრი პერე გადადგა".
(დეპეშებიდან)

ერთხელ ერიომ, მემარცხენე ბლოკის განთქმულმა გმირმა,
ნამინისტრალმა, საყოველთაოდ ცნობილმა პირმა,
როდესაც იგი ჟამსა მოცლილსა ლაპარაკობდა
და მჭერმეტყველად „ტანჯულ" სამშობლოს ქებით ამკობდა
სთქვა: საფრანგეთი მარიანაა, ის მშვენიერი,
რომელსაც ეტრფის, რომელს თაყვანს სცემს სულგრძელი ერი.
ჩვენც ვეთანხმებით, რომ მარიანა არის შავთვალა,
მაგრამ, შავთვალამ ათიოდ ქმარი გამოიცვალა.

. . .

დღეს მარიანა მოწყენილია.
ან კი რა არის აქ გასაკვირი?!
ერთი ხანია, რაც არ სცილდება
მას ხან ხიფათი, ხან გასაჭირი.
დღეს მარიანას ავად ჰყავს შვილი
ფრანკია, იცით მისი სახელი
ფეხს ისე ადგამს ვით ბავშვი ჩვილი,
სულ მოეკვეთა მუხლები, წელი.
შემოეჩვია ციებ-ცხელება,
აუტყდა კვნესა და მალარია,
ხან მოკუტულა, სიცივით კვდება,
ხან სიცხემ სულ მთლად არივ-დარია.
და მარიანა ბევრი ეწვალა
პროფესორები თავს დაიხვია,
იყო პენლევე, გამოიცვალა,
მერე კაიო მოანახვია,
შემდეგ დუმერი და ახლა პერეს
აქებენ, მისთვის დაუძახნია.
ყველა მათგანმა რეცეპტი სწერეს,
შველა კი ვერც ერთს მოუნახია.
ამბობენ, პერეს გეგმა ახალი
მკურნალობისა შეუდგენია,
ხწადია ასვას სნეულს წამალი,
რაც დიდი შრომით შეუქნია.
თურმე მიზეზი ავადმყოფობის,
მარიანაა ეს მშვენიერი;
საგანი „ერი"-ს უზომოდ ტრფობის,
თურმე, ყოფილა მეტად ცბიერი.
მას უყვარს, თურმე ზომაზე მეტად,
საკანდიტერო ტკბილეულობა,
(რომელ მშვენიერს, მითხარით, ნეტავ
კბილს მოჰკვეთს ტკბილი ხილეულობა)
მოგეხსენებათ, თუ დედის რძეში,
გამოერია რამ უვარგისი,
ვერ გაიხარებს ის თავის დღეში
ავად იქნება სულ შვილი მისი.
მარიანა კი, თურმე ფუთობით
ანადგურებდა ტორტებს, პიროჟნებს,
სჭამდა შოკოლადს თურმე ყუთობით,
და არიგებდა საჩუქრად კოცნებს.
პერემ გაიგო ყველა ეს როცა,
განკარგულება მყისვე გამოსცა:
აკრძალა ტორტი, აკრძალა ტკბილი,
არ გაეკაროს, სთქვა, არვის კბილი.
თანაც აკრძალა პასკა, ვიჩინა,
პონჩიკს დარაჯი მყის მიუჩინა,
ხოლო თეთრ პურზე და კარტოფილზე,
კვლავ ბარათები გამოაჩინა.
მაგრამ ის ფრანკი ვერც მკურნალ პერემ,
ავადმყოფობას გადაარჩინა.
გადააბრუნეს პერეც, როგორც სხვა,
მასაც დაატყდა იმ ფრანკის რისხვა
იყო კაიო, იყო დუმერი,
ახლა კი პერეც იმათ გზას გაჰყვა.
და ამბობენ, რომ მოწყენილია კვლავ მარიანა,
საკანდიტეროს შევიწროება მას არ ემა,
ფრანკს ისიც მოჰყვა, ავად გახდა, რომ ველარ სჭამა:
ტორტი, პიროჟნი, სხვა შაქარლამა.
ალბად, ერიო, მემარცხენე ბლოკის ერთგული გმირი,
ნამინისტრალი, საყოველთაოდ ცნობილი პირი,
კვლავ მარიანას მიუსამძიმრებს (თავს ადგას ჭირი).
ჩვენც თანაუგრძნობთ: დღეს მარიანას შეურცხვა პირი.

ხოზიკა.

საგლეხო სესხი

სახელმწიფო სესხების უკანასკნელ გათამაშებათა შედეგები

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა მთავარ ქალაქებში სახელმწიფო მომგებიანი სესხის გათამაშება ხდება იმ მიზნით, რომ შეაგნებინონ მშრომელ მასსებს საშინაო სახელმწიფო სესხის მნიშვნელობა სახელმწიფო სამეურნეო მშენებლობის და თვით მოსახლეობისათვის.

მეორე მომგებიანი საგლეხო სესხის მეორე გათამაშება ჩატარდა დონის როსტოვში, ხოლო იმავე სესხის მეხუთე გათამაშება კიევში. 14 დღის განმავლობაში როსტოვში მოწყობილ გათამაშებას და გათამაშების დროს გამართულ საბჭ. კავშირის ფინ. სახ. კომისარიატის გამოფენას დაესწრო 105 ათასზე მეტი კაცი. გათამაშებასა და გამოფენაზე მოსულთ მიეცათ 4363-ზე მეტი ცნობა, ამ რიცხვში 2256 ცნობა შეეხებოდა მოგებას, 1605 ცნობა—სესხის ხასიათს და თავისებურებას, დანარჩენი 502 ცნობა ფინანსიური მეურნეობის სხვა საკითხებს. გარდა ამისა გაიმართა 72 საუბარი სახელმწიფო სესხის შესახებ. გათამაშებაზე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილ ექსკურსიების რიცხვი უდრიდა 38, ხოლო სოფლიდან ჩამოსული გლეხების დელეგატების რიცხვი 45.

მოსახლეობის ასეთ დაინტერესებას სესხით თან სდევდა მეორე საგლეხო სესხის ობლიგაციების მასსიური გასაღება. მეორე საგლეხო სესხის გათამაშების დროს ჩრდილოეთ კავკასიაში გასაღებულ იქნა 1.600.000 მანეთის ობლიგაციები. ასეთ მცირე ხნის განმავლობაში ჯერ არსად არ ყოფილა გასაღებული ობლიგაციები ამ რაოდენობით.

არა ნაკლები გაცხოველებით ჩატარდა საგლეხო სესხის მეხუთე გათამაშება კიევში, სადაც გათამაშების ხანგრძლივობა როსტოვის გათამაშებებზე თითქმის სამჯერ ნაკლები იყო. 5 დღის განმავლობაში კიევში მოწყობილ გათამაშებას დაესწრო 60 ათასი კაცი, იქვე მოწყობილ ფინ. სახ. კომისარიატის გამოფენას—22 ათასი—სულ 72 ათასი მოქალაქე. სესხის შესახებ გაცემულ იქნა 260 ცნობა, ექსკურსიების რიცხვი უდრიდა—32, ჩატარებულ იქნა 30 საუბარი და ადგილობრივ გაიმართა 2 მიტინგი.

მოყვანილ ცნობებში არ შედის ის მრავალი შეკითხვები, რომელიც სატირაჟო კომისიას მისცეს სხდომების დროს.

ზემოდ მოყვანილი ცნობები ვვიჩვენებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გათამაშების მოწყობას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილას. იგივე ცნობები მოწმობენ, რომ მოსახლეობის ფართე წრეები ხალისით ათავსებენ თავიანთ შემონახულ თანხებს სესხის ობლიგაციებში იმ შემთხვევაში, თუ მათ სესხის შესახებ აქვთ სრული ინფორმაცია.

დამხმარე კომიტეტის სხდომა

გუშინ საქართველოს ფინსახკომში შესდგა მეორე საგლეხო სესხის რეალიზაციის დამხმარე რესპუბლიკანური კომიტეტის სხდომა.

სხდომაზე გამოირკვა, რომ მაისის განმავლობაში საქართველოში გასაღებული იქნა 2335 მანეთის ობლიგაციები. ობლიგაციების გასაღების საქმე უკეთესადაა დაყენებული რაჭის და ქუთაისის მაზრებში; დანარჩენ მაზრებში გასაღების საქმე მოიკოჭლებს.

ამის მიზეზია ის, რომ სათანადო ინსტრუქტორების უყოლობის გამო დამხმარე კომიტეტს საშუალება არა აქვს უშუალო და ცოცხალი კავშირი იქონიოს ადგილებთან; ამ საქმის მოგვარებას ხელს უშლის თანხების უქონლობა.

ამის გამო კომიტეტმა საჭიროდ სცნო შუამდგომლობა აღძრას ამიერ-კავკასიის ფინ. სახკომის წინაშე, რათა საგლეხო სესხის პოპულიარიზაციის მიზნით გადადებული იქნეს საჭირო თანხები და, ამას გარდა, საქართველოს ფინსახკომთან გამოყოფილი იქნეს სპეციალური ინსტრუქტორი, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს საგლეხო სესხის ობლიგაციების გავრცელებას ადგილებზე.

შემდეგ კომიტეტმა მოისმინა მოხსენება შემნახველ კასების მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წარმოებებთან დაარსდა 8 შემნახველი სალარო, ამას გარდა, სალაროები იხსნება საკურორტო სამმართველოსთან; განზრახულია აბასთუმნის და ბორჯომის სანატორიუმებთან და დასასვენებელ სახლებთან გაიხსნას 7 შემნახველი სალარო.

ამჟამად საქართველოში ითვლება 193 სალარო 5833 კლიენტით. პირველი ივნისისათვის ამ სალაროებში ანაბარების თანხა უდრიდა 300.662 მანეთს 49 კაპ.

სამაზრო კომისიები

საგლეხო სესხის ობლიგაციების ფართოდ გავრცელების მიზნით სოფლად, მაზრებში ეწყობა სესხის დამხმარე სამაზრო კომისიები.

ბევრ მაზრებში ასეთმა კომისიებმა უკვე დაიწყეს კამპანიების ჩატარება გლეხობაში.

ვინაიდან ჩვენი გლეხობის ფართო მასა ჯერ კიდევ არ იცნობს საგლეხო სესხის დანიშნულებას, მის მიზნებს და ამოცანებს, ამიტომ გადაწყვეტილია თვითეულ სოფელში მოეწყოს გლეხებთან საუბარი სესხის გარშემო.

სახელმწიფო სესხი და სახელმწიფო ბიუჯეტი

ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფო სესხმა მეტის მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. სახალხო მეურნეობის ძირითადი კაპიტალის აღდგენა და განახლება, რომელიც ჩვენი სამეურნეო საქმიანობის მიმდინარე ამოცანას წარმოადგენს, ორგანიულად დაკავშირებულია შინაური კრედიტის განვითარებასთან, რადგან ამ საკრედიტო ოპერაციების საშუალებით შემოსულმა თანხებმა უნდა ასაზრდოონ სახალხო მეურნეობის აღდგენის, მისი კაპიტალური მოწყობის პროცესი.

უკვე ამჟამადაც სახელმწიფო სესხიდან შემოსული თანხები ხმარდება სახელმწიფო ბიუჯეტის გაფართოებას. გასულ წელში კი სესხი უმთავრესად ხმარდებოდა საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვას. სახელმწიფო ბიუჯეტის გაფართოების დაჩქარება, როგორც ეს აღნიშნა საბჭოთა კავშირის საბჭოთა მესამე ყრილობამ, ნაწილობრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაჩქარებული იქნება საშინაო სახელმწიფო კრედიტის განვითარება.

საბჭოთა კავშირის ცაკის უკანასკნელი სესია, რომელმაც მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტი დაამტკიცა, დაწვრილებით შეჩერდა სახელმწიფო სესხების სისტემაზე. ხანგრძლივი საქმიანი კამათის შემდეგ სესიამ დაადგინა: გადიდებულ იქნეს შემოსავალი სახელმწიფო სესხებიდან 100 მილიონი მანეთიდან 120 მილიონამდ. ცვლილება შეეხო 8 პროცენტიან საშინაო სესხს და მეორე მომგებიან საგლეხო სესხს.

სახალხო კომისართა საბჭოს პროექტით მეორე მომგებიანმა საგლეხო სესხმა სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა შეიტანოს 60 მილიონი მანეთი. უკანასკნელ სესიამ ეს ჯამი 10 მილიონით გაადიდა. ამდენათვე გადიდდა 8 პროცენტიანი საშინაო სესხის შემოსავალიც. ამგვარად უკანასკნელმა სესიამ კონკრეტიული შინაარსი მისცა მესამე ყრილობის დირექტივას.

სასოფლო მეურნეობის შეუჩერებელი ზრდის გამო ეს დირექტივა სავსებით ადვილად განსახორციელებელი საქმეა.

ვ. რ.

* * *

პოლიტგანათლების მთავარმართველობის მუშაობა

1923 წელში მოხდენილ სტატისტიკურ აღწერით, საქართველოში (ავტონომიურ რესპუბლიკების გამოკლებით) 15—40 წლამდე მოსახლეობის საერთო 2.062—688 რიცხვიდან აღმოჩნდა წ.-კ. უცოდ. 369.248 კაცი. 1923—24 სამოსწავლო წლის განმავლობაში პოლიტგანათლების და წერკუმსის მიერ ლიკსკოლებიდან გამოშვებული იქნა სულ 12.571. ასე, რომ 1924—26 სამოსწავლო წლისათვის დარჩა 356—677. 1924—25 სამოსწ. წელს გამოშვებული იქნა 40.222, აქედან მამაკაცები 32.852, ქალები 7.360. 1925—26 სამოსწავლო წლისათვის განზარხვა გვაქვს, რომ წერაკითხვა შევასწავლოთ დაახლოებით 60.000 კაცს. მომავლისათვის დარჩება 256—55 ათასი. წერა-კითხვის უცოდინარი, რომლებსაც წერა-კითხვა უნდა შევასწავლოთ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავისათვის.

წელს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სწარმოებს სულ 1917 ლიკ-სკოლაში, რომლებიც მაზრობრივად დანაწილებულია შემდეგნაირათ: 1) ახალქალაქის მაზრაში—96 ლიკსკოლა, 2) ახალციხის—35, 3) ბორჩალოს—83, 4) გორის—219, 5) დუშეთის—94. 6) ქუთაისის—237, 7) შორაპნის—300, 8) რაჭის—27, 9) ლეჩხუმის—10, 10) ზემო-სვანეთის—1, 11) ზუგდიდის—107, 12) სენაკის—50, 13) ოზურგეთის—70, 14) თელავის—150, 15) სიღნაღის—139, 16) ფოთის—4, 17) თბილისის—261, ლიკსკოლაზე ნაანგარიშევია 30 კაცი. ასე, რომ წელს მოხდება განზრახულ რიცხვის შემცირება, რაც გამოიწვია ბიუჯეტის შემცირებამ; 60.000 მაგივრათ მოსალოდნელია 55—58.000 გამოშვება.

აღნიშნულ ლიკსკოლებიდან მაზრებში ნაწილი იმყოფება ადგილობრივ ბიუჯეტის ხარჯზე, ნაწილი პოლიტგანათლების მთავარმართველობის და ნაწილი კი „წერკუმს"-ის ცენტრალურ გამგეობის ხარჯზე.

სახელმძღვანელოების და საკანცელარიო ნივთების მიწოდების საქმე წელს მოწესრიგებულ იქნა—გაგზავნილია 30.000 სახელმძღვანელო, 60.000 ფანქარი, 90 რვეული. რაც შეეხება მასწავლებლებზე ხელფასის გაცემას, ეს ძალზე მოიკოჭლებს. გარდა ამისა, ძალიან ნაკლებ არიან სოფლად გამოცდილი ხელმძღვანელები, რაც ძლიერ აფერხებს მუშაობას. ამას თან ერთვის ხშირად შენობების შეუფერებლობა, მსმენელთა გულგრილობა,—კერძოთ მამაკაცების მხრივ, და სხვა.

წელს გახსნილია მაღალი ტიპის სკოლა 19 ჯგუფით. მსმენელთა რიცხვი საერთოდ შეადგენს 600-მდე კურსანტს. ვინაიდან მაღალი ტიპის სკოლები მეორე წელია არსებობენ, ხდება მესამე ჯგუფის გამოშვება.

1924-25 სამოსწავლო წელს ქოხ-სამკითხველოების რიცხვი მაზრობრივ უდრიდა შემდეგს:

	მაზრები:	ქოხ-სამკითხვ.	წიგნ. საც.	სანიმუშ. ქოხ-სამკ.
1.	გორის	25	7	5
2.	დუშეთის	15	2	1
3.	ახალქალაქის	12	1	3
4.	თელავის	25	2	3
5.	შორაპნის	45	5	3
6.	რაჭის	15	2	6
7.	ზუგდიდის	30	2	3
8.	ახალციხის	18	3	3
9.	სიღნაღის	30	7	3
10.	ზემო-სვანეთის	2	2	2
11.	სენაკის	31	4	4
12.	ლეჩხუმის	15	1	5
13.	ფოთის	10	4	—
14.	ქუთაისის	30	10	8
15.	ბორჩალოს	20	3	3
16.	ოზურგეთის	40	15	5
17.	თბილისის მაზ.	50	10	—
	სულ.	413	80	58

1925-26 სამოსწავლო წლისათვის კი:

	მაზრები:	ქოხ-სამკითხვ.	წიგნ. საც.	მოძრ. კინო
1.	ახალქალაქის	29	1	—
2.	ახალციხის	9	2	1
3.	ბორჩალოს	12	2	—
4.	გორის	40	1	—
5.	დუშეთის	15	—	—
6.	ქუთაისის	45	6	1
7.	შორაპნის	37	2	1
8.	რაჭის	30	1	1
9.	ლეჩხუმის	14	1	1
10.	ზემო-სვანეთის	5	1	1
11.	ზუგდიდის	30	1	1
12.	სენაკის	20	1	1
13.	ოზურგეთის	41	16	—
14.	თელავის	23	1	—
15.	სიღნაღის	32	3	1
16.	ფოთის	3	2	—
17.	თბილისის	34	12	1
	სულ.	419	53	9

როგორც სჩანს, 1925-26 სამოსწავლო წელში პოლიტგანათლების მთავარ-მმართველობა პოლიტგანდაწესებულების ხარისხობრივ გაუმჯობესებას უფრო მეტი ყურადღებას აქცევდა, ვიდრე რიცხობრივ ზრდას.

ვ. ხ—ა.

ბრძოლა მომჭირნეობისათვის

ყოველწლიურად 24.000 მან. იკარგება

ალბათ ბევრი იცნობს თბილისში „პტიშკოს", ლოტოს, კაზინოს და სხვათა დაწესებულებებს. აღნიშნულ „დაწესებულებებს" ხელმძღვანელობს სოც. უზრ. სახალხო კომისარიატთან არსებული საკლუბო კომისია. ეს ხელმძღვანელობა გამოიხატება შუამავლობაში კონტრაგენტთა და კომისარიატს შორის, რისთვისაც ის იღებს სულ მცირე „საკომისიოს"—დაახლოვებით არა უმეტეს 20 პროცენტისა, რაც შეადგენს 2.000-3.000 მანეთამდე. თვით კომისიის აპარატი ასეთია: 2 დირექტორი—სპეცები, 5-მდე კონტროლიორი, ბუხჰალტერი, მოლარე რწმუნებული და ტეხნიკური პერსონალი. გასამრჯელოს დირექტორი „სპეცი" იღებს თვეში 450 მანეთამდე, მისი მოადგილე 300-დან 350-მანეთამდე, კონტროლიორები 150 მ. თვითეული, მოლარე 150 მან. და ასე შემდეგ... ამას უნდა დაემატოს სხვა და სხვა სამეურნეო ხარჯები.

რაც შეხება თვით კონტრ-აგენტებს, მათი ინტერესები სრულიად დაცულია და პირობები უზრუნველყოფილია. ერთ-ერთ კონტრ-აგენტს დარჩა 5 თვის მოგებათ 15.0000 მანეთი. მას, სხვა რომ ვერაფერი უნახავს, ამ ფულით რადიო-აპარატიც კი შეუძენია.

სოც. უზრ. სახ. კომისარიატმა აღნიშნული საკლუბო კომისია უნდა გათქვიფოს ცენტრალურ აპარატში, მისი ერთ-ერთ განყოფილებასთან მიმაგრებით. პტიშვო, ლოტო, კაზინო და სხვა არავითარ სპეციალურ ცოდნას არ მოითხოვს, რომ მისთვის სპეც-განაკვეთები გაიცეს.

სახელმწიფოს ინტერესი სოც. უზრ. სახ. კომისარიატში უშუამავლოდ მოვა კონტრ-აგენტი ხელშეკრულების დასადებად. კომისარიატი უშუამავლოდ და საკომისიოს გაუცემლად აიღებს კუთვნილ პროცენტებს ორი კონტროლიორის საშუალებით. ამ ღონისძიების გატარებით ჩვენ შეგვიძლია დავზოგოთ წელიწადში 24.000 მანეთი.

ოსკარი.

პრესა მომჭირნეობის შესახებ

მეტი ყურადღება გახვევა-ჩალაგებას

გარდა ნაწარმოების თვისებაზე ზრუნვისა, საწარმოო დაწესებულების მოვალეობას შეადგენს ბაზარზე გასატან საქონლის გახვევა-დაცვაზე ზრუნვაც. ხშირია შემთხვევები, როცა უმანკოთ დამზადებული საქონელი გადატანის დროს დიდათ ზიანდება ან კლებულობს თავის რაოდენობით. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ყოველგვარ ცდას, რომელიც მიმართული იქნება საქონლის თვისობრივ გაუმჯობესებისაკენ ბევრათ ეკარგება აზრი.

მოსკოვის „იზვესტია"-ში (№ 131) მოყვანილია ამის დასახასიათებლათ რამდენიმე საყურადღებო ცნობები:

— ჩვენს წინაშე, სწერს გაზეთი, ძევს მასალები „საგანგებო თათბირის" საქონლის თვისობრივ გაუმჯობესების შესახებ. ეს მასალები მოწმობენ, თუ რა მდგომარეობაშია საქონლის გახვევა-ჩალაგება სახმედვაჭრობის წარმოებაში.

აი მაგალითად, ცნობები საქონლის ჩალაგება-გახვევის შესახებ „მოსხიმოსნოვის" ქარხნებიდან. ყოველგვარ სიმჟავის სითხეებს „მოსხიმოსნოვა" ჰზავნის ძველ კალათებში. ამასთანავე უმეტეს შემთხვევაში შუშეული ჭურჭლეულობა შეუხვეველია და ბოთლებს არა აქვთ თავი სათანადოთ დაცული. მხოლოდ მიმდინარე წლის იანვრის განმავლობაში „მოსხიმოსნოვიდან" გაცემულია 296 თავი საქონელი სრულიად უვარგისი ჭურჭელით.

მეორე მაგალითი: „კუზბარის" ტრესტი გზავნის ნავტალინს სრულიად უვარგის ყუთებში, რომელნიც მალე ფუჭდება ან გზაში. ასეთ ჩალაგებას შედეგათ მოსდევს ის, რომ 10.000 კილოგრ. ნავტალინიდან გზაში იკარგება 500—600 კილოგრამი.

გაზეთს მთელი რიგი ასეთი შემთხვევები მოჰყავს კიდევ და დასასრულ ასკვნის, რომ ვიანგარიშოთ ყველა ეს დანაკლისები საერთოდ, მივიღებთ ვეებერთელა თანხას, რომელიც ტყუილ-უბრალოთ იყრება ქარზე. ამ თანხის შენახვა სავსებით შესაძლებელია და ის წარმატებითაც იქნება გამოყენებული, თუ ჩვენი წარმოებები მიაქცევენ ყურადღებას თავიანთ პროდუქციის გახვევა-ჩალაგების საქმეს.

* * *

სვანეთის ბუნებრივი სიმდიდრენი

სვანეთი თავის ბუნებრივი მინერალური სიმდიდრეებით დიდი ხანია იქცევდა და დღესაც იქცევს მკვლევართა ყურადღებას, მაგრამ აქამდე ამ სიმდიდრეთა გამოკვლევა უგზოობის გამო შეუძლებელი იყო.

სვანეთის მიდამოებიდან განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს თავის მინერალებით ბეჩოს დაბლობი. აქ, უშბას მთის ფერდობზე მთელი კლდეებია მთის კაჟისა, რომლის დნობის წერტილი 400 გრადუსით დაბალია, ვინემ დანარჩენ კაჟებისა, რომელთაც ხმარობენ მინის ჩამოსხმის დროს.

უშბას ქვევით მოიპოვება მჟავე წყალთაგან ყველაზე უკეთესი თვისების ცივი წყალი.

სოფ. დოლასკვირთან ახლო ძლიერ რადიოაქტიური [illegible] ძლიერია, რომ ცხვრებს და თხებს, რომლებიც ღამის განმავლობაში მოხვდებიან იქ, მეორე დილით მკვდრებს ნახულობენ.

თვით ბეჩოს დაბლობის ჰავა თავისი სიწმინდით და სიმშრალით უეჭველად მიიქცევს [illegible] ყურადღებას.

დღეს სვანეთში [illegible] გზის გაყვანის საკითხი უკვე გადაწყვეტილია და იქ საქართველოს [illegible] სამმართველოს ხელმძღვანელობით და თვით გლეხების აქტიური მონაწილეობით უკვე სწარმოებს მუშაობა სვანეთის გზატკეცილის ასაგებად.

გზატკეცილის დამთავრება საშუალებას მისცემს დაინტერესებულ მკვლევარ მეცნიერს მიუდგეს სვანეთის მდიდარ ბუნებას და შეისწავლოს იგი. ამასთანავე ეს გზატკეცილი საშუალებას მისცემს ჩვენს ჯანმრთელ. ორგანოებს მდიდარი ბეჩოს დაბლობი, სადაც შეიძლება სამაგალითო კურორტის მოწყობა.

* * *

წითელ ჯარში

სამხედრო კორესპონდენტთა მუშაობა მეორე ქართულ ლეგიონში

მთელ იმ პოლიტიკურ მუშაობაში, რომელიც ლეგიონში სწარმოებს, სამხკორთა მუშაობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სულ სამხკორთა მუშაობაში ლეგიონში ჩაბმულია 206 კაცი, მათში 150 კაცი თანამშრომლობს ნაწილის კედლის გაზეთებში, დანარჩენები კი— „წითელ არმიელ"-ში, „კომუნისტ"-ში, „ფუხარა"-ში და სხვა გაზეთებში.

საყურადღებოა სამხკორთა სოციალური შემადგენლობა: გლეხები 85 პროც., მუშები 12 პროც. როგორც ვხედავთ სამხკორების უმრავლესობა გლეხები არიან.

თანამდებობის მიხედვით სამხკორთა უმეტესი ნაწილი რიგის წითელარმიელები არიან. ეს უკანასკნელნი 82 პროც. შეადგენენ. უფროსთა შემადგენლობიდან კი 18 პროც. დიდი ყურადღება ექცევა სამხკორთა მუშაობაში პარტიის და კომკავშირის წევრების ჩაბმას. სამხკორთა 15 პროც. კომპარტიის წევრები და კანდიდატებია, კომკავშირის წევრნი—24 პროც. შეადგენენ, უპარტიონი კი 61 პროც.

ლეგიონის პარტიულ ბიუროდან გამოყოფილია ერთი წევრი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მთელ ამ მუშაობას.

სულ ლეგიონში გამოდის 11 კედლის გაზეთი. კედლის გაზეთის ფორმა შეძლებისდაგვარად კარგია, წერილების შინაარსი დამაკმაყოფილებელია. გაზეთები გამოდის თვეში ორჯერ. ნაწილის—კედლის გაზეთები ხშირად იგზავნება გამოფენებზე, საშეფო სოფლებში და სამოქალაქო ორგანიზაციებში.

სამხკორების მზადება სწარმოებს ასეულებში არსებულ სამხკორთა წრეებში, სადაც მეცადინეობას ესწრება ყველა მსურველი წითელარმიელი. მეცადინეობა წრეებში სწარმოებს კვირაში ერთხელ წინასწარ შემუშავებული პროგრამით.

მუშაობის გამოცდილების აღრიცხვისათვის ლეგიონის ფარგლებში თვეში ერთხელ ტარდება ასეულებში არსებულ რედკოლეგიების შემადგენლობის გაერთიანებული თათბირი. იმართება აგრეთვე თათბირები, წრეების ხელმძღვანელობისა და სამხკორთა გაერთიანებული კრებები.

საბანაკო პერიოდის განმავლობაში დიდი ყურადღება მიექცევა სამხკორების მომზადებას სოფლად მუშაობისათვის და ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ წითელ ჯარიდან განთავისუფლებული სამხკორი არა ნაკლებ წარჩინებით მოიხმარს კალამს სოფელში, ვიდრე წითელ ჯარის რიგებში ყოფნის დროს.

ი. რუდოვსკი.

ზაფხული სარგებლიანად გამოვიყენოთ

წითელ არმიას ესაჭიროება ფიზიკურად განვითარებული და გაწვრთნილი მეომარი. წითელი არმიის რიგებში მოქალაქე იძენს სამხედრო ცოდნას და სწავლობს იარაღის ხმარებას, მის ფიზიკურად განვითარებასაც ექცევა სათანადო ყურადღება. მაგრამ, საჭიროა, რომ წითელ ყაზარმაში მოდიოდნენ უკვე ფიზიკურად ყოველ მხრივ განვითარებული ახალგაზრდები. ეს გაადვილებს სწავლებას და აამაღლებს წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობას.

წითელი არმიისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველ გაწვევის დროს მისი რიგები ივსებოდეს ისეთი მოქალაქეებით, რომლებსაც აქვთ მებრძოლისათვის საჭირო ფიზიკური თვისებები.

საზაფხულო პერიოდი სავსებით უნდა გამოვიყენოთ ფიზკულტურისათვის წითელი ჯარის ინტერესების მიხედვით. თუ ის ორგანოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ფიზკულტურის საქმეს, სერიოზულად მოეპყრობიან აღნიშნულ საკითხს, ჩვენ მივიღებთ სამხედრო ვალდებულ ახალგაზრდებიდან და პირველ რიგში კი წვევამდელებიდან მომზადებულ და ჯანმრთელ მეომრებს.

ქალაქად ფიზკულტურის საქმე მტკიცე ნიადაგზე სდგას და დიდი მიღწევებიც აქვს. ეს არ ითქმის სოფელზე, აქ ფიზკულტურას არა აქვს მიქცეული ყურადღება.

მიმდინარე ზაფხულს მიღებულ უნდა იქნეს ზომები ფიზკულტურის გასავრცელებლად სოფლად. კომკავშირის, ფიზკულტურის საბჭოს და სოფლის საზოგადოებრივ და საბჭოთა დაწესებულებების ყურადღების ცენტრი აქეთკენ უნდა იქნეს მიქცეული.

წითელი არმიის ვალია მიიღოს ამ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა და ხელი შეუწყოს ფიზკულტურის განმტკიცებას სოფლად. ყოველმა მეთაურმა და პოლიტმუშაკმა უნდა შეიგნოს, რომ ფიზკულტურა სოფლად წარმოადგენს ისეთ საშუალებას, რომლის წყალობით საძირკველი ეყრება სოფლის ახალგაზრდობის სამხედრო მომზადებას.

ნიადაგი სოფლად ფიზკულტურის განვითარებისათვის არის. ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა ეტანება და უყვარს ყოველგვარი ვარჯიშობა. აქ საჭიროა ერთგვარი ხელმძღვანელობა და შეტანა სპორტის ისეთი სახეების, რომელნიც საინტერესო და გამოსადეგნი იქნებოდენ სამხედრო—აღმზრდელობითი მხრივ. ფართედ უნდა იქნენ გამოყენებული მასიური სპორტიული თამაშობანი, რომლებსაც საფუძვლად უნდა დაედოს სამხედრო-ტაქტიკური ელემენტები.

ასეთ თამაშობათა მოწყობით შეიძლება სოფლის ახალგაზრდობაში აღზრდა და განვითარება ისეთი ჩვეულებების და თვისებების, რომლებიც საჭიროა მებრძოლისათვის სხვადასხვა სამხედრო დავალებების შესრულების დროს.

ზაფხულის პერიოდში ყოველ სამხედრო კუთხესთან სოფლად დაკვრითი წესით უნდა შევქნათ სამხედრო-სპორტიული წრეები და მივაწოდოთ ზომები ამ წრეების უზრუნველსაყოფად საჭირო მასალით, ხელსაწყოებით და რაც მთავარია—ხელმძღვანელებით.

ე. ხ—ი.

* * *

გზები

სასოფლო გზები გურიაში.

სურების სასოფლო საბჭო მაისის დამლევიდან შეუდგა კლდის სამუშაოების წარმოებას მთის ფერდობზე გაყვანილი სასოფლო გზატკეცილის გასაფართოებლად, ეს გზატკეცილი სურების რაიონს აკავშირებს სამაზრო ცენტრის ბაზრებთან და შავი ზღვის ნაპირად მდებარე რაიონებთან. გზის გასაფართოებლად მუშაობას უსასყიდლოთ აწარმოებენ ადგილობრივი გლეხები. გზის გაყვანას ხელმძღვანელობს ტეხნიკოსი. მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში განზრახულია აგრეთვე სხვა სასოფლო-საურმე გზების გაყვანა. საამისო წინასწარი მუშაობა უკვე დამთავრებულია.

სასოფლო საბჭოებმა მოახდინეს სასოფლო-საურმე გზების გასაყვანი ადგილების ტეხნიკური გამოკვლევა. სხვათა შორის, განზრახულია გაყვანილი იქნეს ათსაჟენიანი ნორმალური სიგანის საურმე გზა 18 ვერსის მანძილზე, ბახვ—ასკანა—ხიდისთავს შუა. ეს გზა შეაერთებს ამ რაიონის მთავარ თემებს. ხიდისთავი, რომელიც ამ საურმე გზით შეუერთდება ზემოხსენებულ თემებს, წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გასასაღებელ ბაზარს, რომელსაც გლეხები აწვდიან თამბაქოს, აბრეშუმის პარკს, თხილს, ნიგოზს და მრავალ სხვა სანოვაგეს და ხილს. გზა გაყვანილი იქნება დაინტერესებულ სასოფლო საბჭოების ხარჯზე.

სასოფლო გზები სურამის რაიონში.

საგზაო მშენებლობას ყველაზე მეტად აწარმოებს სურამის სათემო აღმასკომი, რომლის მიერ უკანასკნელი თვეების განმავლობაში შემდეგი მუშაობაა შესრულებული: სურამის თემში შემავალ ყველა 23 სოფელში მოწყობილია საამშენებლო კომისიები, რომელნიც, სხვათა შორის გზების გაყვანასაც ხელმძღვანელობენ. სოფელ გვერდისუბანში რკინისგზის ლიანდაგიდან სოფლამდე გაყვანილია ახალი საურმე გზა. სოფელ ტეზერში სწარმოებს მუშაობა გზების გასაფართოებლად. სოფელ ბეკამში რემონტი უკეთდება ძველ ხიდს და კიდევ შენდება ახალი ხიდი; ახალი ხიდი აგებულია სოფელ ბიჯნისში. თვით ქ. სურამში საფუძვლიანად შეკეთებულია მთავარი [illegible] ოქტომბრის და ფ. მახარაძის ქუჩები.

საბინაო კოოპერაცია

საქართველოს საბინაო კავშირმა ს. ს. ს. რ. შრომის კომისარიატთან არსებულ საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტში წარადგინა თავის საადგილ-მამულო პოლიტიკის პროექტი. საბინაო კავშირი აღნიშნავს, რომ საქართველოში საჭიროა ყველა საქალაქო და სოფლის მიწის ფონდების სწორათ გამორკვევა მუშათა საბინაო საამშენებლო ამხანაგობათა შორის გასანაწილებლად. საბინაო კავშირი ითხოვს ამ მიზნით შექმნას სპეციალური კომისია პროფსაბჭოს, ქალაქის აღმასკომის უძრავ ქონებათა სამართველოს, საბინაო კოოპერაციის ხელშემწყობ კომიტეტის და საბინაო კოოპერაციის წარმომადგენელთაგან.

მუშათა სახლების ძირითადი ტიპი უნდა იყოს ორსართულიანი და 4—8 ბინიანი სახლი. საბინაო კავშირი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისში შემჩნეული იყო მოვლენა ადგილების თვითნებურად ხელში ჩაგდებისა, რაც მუშათა საბინაო აღმშენებლობის გეგმიანობას არღვევს. საბინაო კავშირი ითხოვს კოოპერატიულ საკუთრების პროექტის საჩქაროთ ცხოვრებაში გატარებას, რაც ძლიერი სტიმული იქნებოდა საბინაო აღმშენებლობაში მცხოვრებთა ჩასაბმელად. საბინაო კავშირი მიზანშეწონილად სთვლის თავისუფალ მიწის ნაჭრები თბილისში, განაწილდეს შემდეგნაირად: სტამბის მუშებს კოოპერატიულ ბინების ასაშენებლად მიწა მიეცეს ვაკეს რაიონში, მელითონეებს—ნაძალადევში, დიდუბეში და მილიუტინის ქუჩის მიდამოებში, ტრამვაის მუშებს და რკინისგზელებს—დიდუბეში და ნაძალადევში.

თბილისის ბირჟაში

დასამზადებელი ფასები მატყლზე

თბილისის საქონლის ბირჟის ნედლეულთა სექციის უკანასკნელ სხდომაზე გაირჩა საკითხი მატყლის დასამზადებელ ფასების და მასთან დაკავშირებულ ზედნადებ ხარჯების კალკულიაციის შესახებ.

ვინაიდან დამამზადებელ ორგანიზაციებს არ მოეპოვებათ ამომწურავი მასალები ზედნადებ ხარჯების შესახებ, სექციამ აღნიშნულ საკითხის საბოლოო განხილვა გადასდო 16 ივნისისათვის (დღეისთვის), ყველა დამამზადებელ ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ დაწვრილებითი მასალები.

ბირჟათა შორის გარიგებები

საბირჟო კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა, ბირჟათა შორის გარიგებების დადების საქმე [illegible] საბირჟო განყოფილების ყველა [illegible]

სახალხო კომისართა საბჭოში

მუშათა სახლების აგება

სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო, იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სახელმწიფო საწარმოოთათვის მუშათა-სახლების აგების საქმეში შეღავათების მინიჭების შესახებ.

დამატებითი სტატ. მუშაობის ჩატარება 1926 წელში

სახკომსაბჭომ მოიწონა ა.-კ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს წინადადება მიმდინარე წლის განმავლობაში დამატებითი სტატისტიკური მუშაობის წარმოების შესახებ.

წინადადება მიეცა საქ. სტატისტიკის ცენტრ. სამმართველოს ჩაატაროს ზემოაღნიშნული დამატებითი სტატისტიკური მუშაობა.

სას.-სამ. გადასახადის კომისია

სას.-სამ. გადასახადის რესპუბლიკანური კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. მგალობლიშვილი, ხოლო მის მოადგილეთ ამხ. ფანცხავა.

განსაკუთრებული უფლებების მინიჭება კინო-მრეწველობისათვის

სახკომსაბჭომ მიიღო იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი, საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობისათვის კინო სურათებისა და კინო-ქრონიკის ვადაღების განსაკუთრებული უფლების მინიჭების შესახებ.

მიზნობრივი საბინაო გადასახადი

1925 წლის დეკემბრის 3-ს დადგენილება ქალ. ბორჯომის, ახალქალაქის, ხაშურის, სიღნაღის, ოზურგეთის, ხონის, ზუგდიდის, ცხინვალის, სამტრედიის, ზესტაფონის, ლიუქსენბურგის, შაუმიანის, ონისა და დუშეთის მიზნობრივი საბინაო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, გაუქმებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ.

ნება მიეცა ზემოხსენებულ ქალაქთა აღმასკომებს შემოიღონ მიზნობრივი საბინაო გადასახადი მუშათა ბინების კოოპერატიული მშენებლობის ფონდის გასაძლიერებლად.

ბორჯომის წყლის რეალიზაცია

ბორჯომის წყლის გავრცელებისა და რეალიზაციის საქმე გადაეცა ბორჯომის კომბინატს.

ბორჯომის კომბინატის გამგებლობა დაეკისრა წარმოკავშირის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ბუაჩიძეს.

სპეციალურ ფონდის დაარსება სამეცნიერო დაწესებულებებთან

სახკომსაბჭომ მიიღო მიწსახკომის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი სამეცნიერო გამოკვლევის, საცდელ და საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებებთან ფულის სპეციალური ფონდის დაარსების შესახებ.

მიწსახკომის კოლეგია

საქართველოს მიწსახკომის კოლეგიის წევრად დამტკიცებულ იქნა საქ. მებაღეობის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გიგინეიშვილი.

ამხ. ა. დოლიძის დანიშვნა

საქართველოს სამეურნეო ორგანოთა ბალანსების განმხილველი კომისიის თავმჯდომარედ ამხ. ჟღენტიშვილის ნაცვლად დაინიშნა ამხ. ა. დოლიძე.

შინამრეწველობის დებულების დამტკიცება

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის ს. მ. უ. ს. მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი. ს. მ. უ. საბჭოსთან არსებული შინა მრეწველობის საბჭოსა და განყოფილების შესახებ, დამტკიცებულ იქნა სახკომსაბჭოს მიერ.

ტელეფონიზაცია

სამხრეთ-ოსეთი

ამ მოკლე ხანში სახალხო შეერთების საოლქო კავშირი შეუდგება მუშაობას სამხრეთ-ოსეთის სატელეფონიზაციოთ. საჭირო მასალები უკვე გაიგზავნა სამხრეთ-ოსეთში.

აჭარისტანი

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა ა.-კ. სახალხო შეერთების საოლქო კავშირის მიერ აჭარისტანის სატელეფონიზაციოდ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა. ახლო მომავალში,—ცენტრიდან აჭარისტანის სატელეფონიზაციოთ კრედიტების მიღებისთანავე დაიწყება მუშაობა აჭარაში ტელეფონების გასაყვანად.

ტელეფონები გაყვანილი იქნება აჭარისტანის ყველა მაზრებში.

თავის მხრივ აჭარისტანის სახ. კომ. საბჭომ ამ საქმისათვის გადასდო 24 ათასი მანეთი, ხოლო სამაზრო აღმასკომებმა დაამზადეს სატელეფონო ბოძები და დაამთავრეს ყოველგვარი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა.

აჭარისტანის სატელეფონიზაციო გეგმაში შედის აგრეთვე ბათუმის სატელეფონო ქსელის ხელახალი მოწყობა.

ღვინის გასაღება

სახალხო მამულების ტრესტსა და საქ. სახელმწიფო საპაიო ამხანაგობას შორის მარტში მოხდა შეთანხმება რუსეთის ბაზარზე ღვინის გასაღების საქმეში შეთანხმებულათ გამოსვლის შესახებ.

აპრილის პირველ რიცხვებში მოსკოვში დაარსდა ქართული ღვინის გამსაღებელი ცენტრალური განყოფილება სახელწოდებით „ქართული ღვინო" ამ ფირმისთვის გამოშვებულია განსაკუთრებული ეტიკეტი, დაბეჭდილია პრეისკურანტები და გამონახულია შესაფერი შენობა მოსკოვის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე.

ახლო მომავალში განზრახულია ფირმა „ქართული ღვინის" წარმომადგენლობა (მაღაზიებით)—მოეწყოს ლენინგრადში, ხარკოვში, როსტოვში, ოდესაში, ბაქოში და სხვა ქალაქებში.

ქართული ღვინო რუსეთში ამჟამად ითვლება საუკეთესოთ და მასზე დიდი მოთხოვნილებაა. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ბუნებრივ ტკბილ ღვინოებზე.

ხორცის ბაზარზე

უკანასკნელ ხანებში თბილისის ბაზარზე ხორცის კრიზისმა იჩინა თავი. ეს გარემოება იმით აიხსნება რომ უკანასკნელ წვიმების შემდეგ სოფლად ბალახი ბევრია და გლეხი აღარ ყიდის საქონელს, სანამ მისთვის უფრო ხელსაყრელი პირობები არ შეიქმნება. გარდა ამისა თბილისი უმთავრესად იკვებებოდა აზერბეიჯანის, ყარსის და ბორჩალოს საქონლით. ამ კუთხეებში კი ძლიერ გავრცელდა საქონლის ჭირი და საქონლის შემორეკა შეწყდა.

ნიაღვრების დროს დიდძალი ცხვარი დაიღუპა და ამან ძლიერ გააძვირა ცხვრის ხორცი. ახლო ხანში წამოიზრდება ახალი ცხვარი და ჭედილები, ისე რომ ორი კვირის შემდეგ თბილისის ბაზარზე ცხვრის ხორცი საკმაოდ იქნება.

თბილისის ბაზრის საქონლის მოთხოვნილების 40 პროც. აკმაყოფილებს ამხ-ბა „მწყემსი" და დანარჩენს „მიასტორგი" და კერძო ვაჭრობა.

არტელები

უკანასკნელი გამოანგარიშებით რესპუბლიკაში სულ მოწყობილი ყოფილა 38 საინვალიდო არტელი.

აღნიშნული არტელების მიზანია ინვალიდებისათვის სამუშაოს გამონახვა და მათი სახელმწიფო მზრუნველობიდან მოხსნა.

სულ არტელებში ამჟამად ჩაბმულია 366 ინვალიდი, 42 არა ინვალიდი და 14 დაქირავებული. არა ინვალიდების ჩაბმა არტელების მუშაობაში იმითაა გამოწვეული, რომ მიმოსვლისათვის აუცილებელი არიან.

ყველა არტელებში უძლიერეს არტელათ ითვლება თბილისში არსებული არტელი „გამარჯვება", მასში შედის 197 წევრი, რომლებიც პაპიროსებით ვაჭრობენ ქალაქში.

სასაკლაოების მოწყობა

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საბეითლო განყოფილებას განზრახვა აქვს გამოიმუშაოს სამაზრო ქალაქებში და სოფლებში სასაკლაოების მოწყობის წესი.

ამ წესის მიხედვით სასაკლაო უნდა მოეწყოს დასახლებულ ადგილებიდან მოშორებით და გზის ახლო, ისე რომ მორეკილი საქონელი პირდაპირ შედიოდეს ე. წ. იზოლიატორში. უნდა იქნეს მიღებული ზომები, რათა დასაკლავი საქონელი არ ერეოდეს ადგილობრივ ჯოგში. ამ მიზნით უნდა გაიხსნას საკარანტინო ეზო, თივის საწყობი, ვეტ.-სანიტარული ბიურო, რომელიც შეამოწმებს მორეკილ საქონლის ჯანმრთელობას. სოფლებში მოწყობილ სასაკლაობთან უნდა დაარსდეს ბეითალ-ფერშალთა პუნქტები.

შემოღებულ უნდა იქნეს აგრეთვე სასაკლაოდან გასატანი ხორცის ღირსების შემოწმება. იმ ადგილას [illegible] სასაკლაო, აკრძა-[illegible]

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

გამასწორებელი სახლის ქარხანაში

ქუთაისი, 17 ივნისი. დღეს სახერხ და საპარკეტო ქარხანაში 20 პატიმარი მუშაობს. ყოველი მომუშავე პატიმარი ქარხანაში იღებს მომატებულ ულუფას და 80 კაპ. დღეში. ქარხანაში მომუშავე პატიმრები სარგებლობენ კვირაში ერთი დღის შვებულებით ქალაქში წასასვლელად, მათ მუშაობის ყოველი ორი დღე სამათ ეთვლებათ.

ქარხანამ მიიღო შეკვეთა „აბრეშუმის" საზოგადოებისაგან პარკის საშრობ 400 ფიცრის გასაკეთებლად. ქარხანაში მზადდება აგრეთვე უბრალო ავეჯი და პარკეტი.

ნავარაუდევია პატიმარ მომუშავეების გადიდება 50-მდე. მომუშავე პატიმრები ქარხანაში სცხოვრობენ.

გზების გაყვანა

ქუთაისი, 17 ივნისი. რაჭის აღმასკომი შეუდგა ორი ახალი გზის გაყვანას: საკაიოსი 6 ვერსის მანძილზე და ღებისას 10 ვერსის მანძილზე.

ნათესების მდგომარეობა

ქუთაისი, 17 ივნისი. ნათესების მდგომარეობა ქუთაისის მაზრაში 15 ივნისამდის შემდეგია: ხორბალი 3 ნიშანი, სიმინდი—3 ნიშანი, ბაღები 3,5 ნიშანი, ვენახი—4; ბამბა—2.8; კაკალი—3,5; ბახჩები—3,5; ბოსტანი—3,5 ნიშანი, შენიშნულია გაუმჯობესება სიმინდის და ბამბის ნათესებისა.

მინდვრის თაგვი

ქუთაისი, 17 ივნისი. უხუთის და ზეკარის თემში მინდვრის თაგვის გამოჩენასთან ერთად, რაზეც ცნობა უკვე გამოქვეყნებული იყო, მინდვრის თაგვები გამოჩნდენ ბაღდადის რაიონშიც, სადაც ვაფუჭებულია სიმინდიანი ადგილების 20 პროცენტი.

მავნებლები

ქუთაისი, 17 ივნისი. კუხის თემში, ხონის რაიონში სიმინდს გაუჩნდა მახრა, რომელიც ძლიერ აფუჭებს ნათესებს. მახრასთან ბრძოლა სწარმოებს.

შავი ქვის გაზიდვა

ფოთი, 17 ივნისი. პირველიდან 15 ივნისამდე შავი ქვით დატვირთული სამი გემი გავიდა, რომელთაც 22.930 ტონი წაიღეს.

შავი ქვა ჭიათურიდან

ფოთი, 17 ივნისი. 1-დან 15 ივნისამდე ჭიათურიდან ფოთში ჩამოვიდა 2.417 ვაგონი, რომელთაც 31.187 ტონი მარგანეცი მოიტანეს.

ხმამაღლა მოლაპარაკე

ფოთი, 17 ივნისი. ქალაქ ფოთის ახლო 12 ვერსის მანძილზე მდებარე სოფელ ყულევში გლეხებისათვის მოეწყო ხმამაღლა მოლაპარაკე.

გლეხკომების ხელახალი არჩევნები

ოზურგეთი, 17 ივნისი. თემთა გლეხკომების მოღვაწეობის განხილვასთან და მათი რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით, გლეხთა ურთიერთ დახმარების სოფლის კომიტეტების ხელახალი არჩევის კომპანია მაზრის ტერიტორიაზე გადატანილია 1 აგვისტოსათვის.

მომჭირნეობის რეჟიმისთვის

ოზურგეთი, 17 ივნისი. შეიქმნა სამაზრო კომისია გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტებში მომჭირნეობის რეჟიმის გასატარებლათ. კომისია შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას.

მილიციის უფშემადგენლობა

თელავი, 17 ივნისი. ინსპექტორების რევიზიამ გამოარკვია მილიციის უფშემადგენლობის სუსტი მომზადება. ამიტომ მილიციასთან დაარსებულია მოსამზადებელი კურსები, სადაც მილიციონერები ეცნობიან სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსებს, ინსტრუქციებს, ბრძანებებს და სხვ.

საძოვრების დაცვა

თელავი, 17 ივნისი. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან გაცემულ იმ კრედიტის დაკავების გამო, რომელიც უნდა მოხმარებოდა ორგანიზაციულ ხარჯებს და საძოვრების ყარაულის შენახვას, ეს უკანასკნელი ეხლაც თელავში, იმყოფება. მეცხვარეები უკვე საძოვრებზე ავიდენ და ყოველ დღე მოსალოდნელია მეჯოგეებზე თავდასხმა.

წერილებიდან

გურია

სასჯელი მიწის ყიდვა-გაყიდვისათვის. ამ დღეებში სასამართლომ გაარჩია რამდენიმე საქმე მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ყოფილ აზნაურს, ექიმ შაქარიშვილს, მიწის ყიდვისათვის მიუსაჯა 6 თვით გამასწორებელ სახლში ჯდომა და ჩამოერთვა ნაყიდი მიწა. ასეთივე სასჯელი მიიღეს ყ. აზნაურ რაფიელ ჩხიკვიშვილმა და არხიპო დარჩიამ; პირველმა გაჰყიდა, ხოლო მეორემ იყიდა მისგან მიწა. გლეხები ამ განაჩენს კმაყოფილებით შეხვდენ.

ქ. უ—ძე.

ს. კაკაბეთი (სიღნ. მ.)

რით უნდა ავხსნათ? 1924 წლის სას.-სამ. გადასახადი ჩვენმა სოფელმა სრულიად გადაიხადა. მიუხედავათ ამისა, დღესაც კიდევ ედავებიან ზოგიერთებს, რომ შეიტანონ მათზე დარჩენილი გადასახადი. ვერ გავიგია, რაშია საქმე?

მოკეთები.

ს. შუხუთი (გურია)

მანდარინების ქურდი. შუხუთელ გლეხებს სული შეხუთული ჰქონდათ ქურდბაცაცებისაგან, რომელნიც იპარავდენ მანდარინის ნერგებს და ამრიგათ ხელს უშლიდენ ამ ძვირფას მცენარის მოშენებას. მაისის დამლევს ერთ ღარიბ გლეხს მოჰპარეს ორი წლის მოშენებული მანდარინები. ქურდი შეიპყრეს, რომელიც აღმოჩნდა გრიშა გოგიბერიძე. მოპარული მანდარინები მას აჭარისტანში მიჰქონდა. ლანჩხუთის სახალხო სასამართლომ გოგიბერიძეს ექვსი თვის გამასახლში ჯდომა მიუსაჯა.

ლ. ქ.

ზესტაფონი

ქურდობა გახშირდა. ამ ბოლო ხანს ძალიან გახშირდა ჩვენს ქალაქში ქურდობა. ბოროტმოქმედნი იმდენათ გათამამდენ, რომ თითქმის ღამეს არ უშვებენ, რომ ქურდობა არ მოახდინონ. მილიციას მეტი სიფხიზლე მართებს.

ქალაქელი.

ს. გუგეული (რაჭა)

— **მდივანს ღვინო უყვარს.** აღმასკომის მდივანი ხშირად სტოვებს სამუშაოს და დუქანში გარბის კუჭის მოსამაგრებლად. 10 ივნისიდან 12 ივნისამდი ის სრულიად არ გამოცხადებულა სამსახურში, რადგან ქეიფში იყო გართული. ბოლოს თემაღმასკომის განკარგულებით მილიციონერმა ძალით მიიყვანა ნამგალაძე სამუშაოზე.

თვალი.

წერილები

ჩამუში მოღერილი ხელი

(ავლევის თემი, გორის მ.)

„კომუნისტი"-ს 25 მაისის ნომერში ავლევის თემიდან (გორის მაზრა) დაიბეჭდა საყურადღებო კორესპონდენცია, სადაც ჩამოთვლილი იყო მთელი რიგი ფაქტები მკითხაობისა და ცრუმორწმუნეობის შესახებ, რომელსაც ადგილი აქვს ამ თემში. წინდახედული და საქმის გულშემატკივარი თემაღმასკომის ხელმძღვანელი შეეცდებოდა ამ ფაქტების შემოწმებას და, თუ მართლაც აღმოჩნდა კორესპონდენციაში აღნიშნულ ბოროტმოქმედების ჩამდენი, შესაფერ ზომებს მიიღებდა მათ წინააღმდეგ.

ასე არ მოიქცა ამ შემთხვევაში ავლევის თემაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კოლა კოკუაშვილი. თავისი ისარი მან პირველყოვლისა გლეხკორის ვინაობის გამორკვევისაკენ მიმართა. ეტყობა კორესპონდენციამ ის იმდენად გააბრაზა, რომ სიბრაზისაგან ბაგეებს იტკვრის. რა ქნას, რომ გლეხკორი ვერ აღმოუჩენია, თორემ შავ დღეს დააყენებდა ალბათ მას მრისხანე თავმჯდომარე.

როგორ გაჰბედა ვიღაც არამკითხემ და ავლევის შინაურ საქმეებში ჩაერია, როგორ შეურაცხყო მან პარტიის ცენტრალურ ორგანოს ფურცლებზე კომუნისტ თემაღმასკომის თავმჯდომარის პატივმოყვარეობა? აი, რა აღელვებს ამხ. კოკუაშვილს. აბა დახედეთ, როგორი ბრაზმორეული წერილი გაუგზავნა მან რედაქციას:

„ის ვიღაცა „ნადალა" არის (ნადალა გლეხკორის ფსევდონიმია) შერეული არ იქნება. გამოვიდეს ადგილობრივ ავლევის თემში, გამცეს პასუხი. ვიღაც გაიძვერა იქნება... გთხოვთ გაგვაგებინოთ თითონ ის ვინ არის და რის გამკეთებელია?.. მე თუმცა ეჭვი მაქვს ერთ პიროვნებაზე, მაგრამ ჯერ ასე დარჩეს, სანამ თქვენგან გავიგებ. გთხოვთ ეს წერილი გაუშვათ თქვენს გაზეთში და ან ისე მაცნობოთ, ვინ არის „ნადალა"... გთხოვთ არ დასტოვოთ ჩემი თხოვნა უყურადღებოთ".

თხოვნას არ ვტოვებთ, როგორც ვხედავთ, უყურადღებოთ. კოკუაშვილის სამარცხვინო წერილს, რომელიც გლეხკორთა დევნის საუკეთესო მაჩვენებელია, ვაფენთ ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, ხოლო რაც შეეხება „ნადალას" ვინაობას, აქ ცნობისმოყვარე თავმჯდომარეს კარგა ხნის ლოდინი შეუხვდება.

ეჭვის მიტანა ვისმეზე რაიმეში სისხლის სამართლის კოდექსის ძალით არავის ეკრძალება. დაე, იეჭვოს მრისხანე თავმჯდომარემ რამდენიც უნდა და ეძებოს „ვიღაც გაიძვერა" „ნადალა". მხოლოდ ერთის თქმა შეგვიძლია ჩვენ ამხ. კოკუაშვილის ცნობისმოყვარეობის რამდენადმე დასაკმაყოფილებლათ: მის მიერ გათვალისწინებული გლეხკორი არც პასუხისმგებობით, არც პარტიულობით (რითაც ასე მოაქვს თავი კოკუაშვილს) და არც საზოგადო საქმისადმი გულშემატკივრობით უმიზეზოდ განრისხებულ თავმჯდომარეს არ ჩამორჩება.

ჩამოუშვი, ამხანაგო კოკუაშვილო, გლეხკორის წინააღმდეგ მოღერილი ხელი, წადი თემის საქმეებს მიხედე და შეებრძოლე იმ ბოროტებას, რომელზედაც „ნადალა" მოგვითხრობს, დაგვიჯერეთ ეს უმჯობესი იქნება საქმისათვის და შენი პარტიული მდგომარეობისათვის.

ა. ბ—ლი.

სოფლის ქრონიკა

— **კეთილმოწყობა.** ახალქალაქის აღმასკომი შეუდგა ქალაქის კეთილმოწყობას.

— **სკოლის აგება.** სათეის თემში (ახალციხის მაზრა) შეუდგენ სკოლის აგებას.

— **სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე** ახალქალაქიდან იგზავნება 64 კაცი.

— **კონდოლის თემის აღმასკომმა** აკრძალა კარტის და ნარდის ფულზე თამაში.

— **ტელეფონის ქსელის გასაყვანად** სიღნაღის აღმასკომმა გადასდო შესაფერი თანხა.

— **თემაღმასკომების თავმჯდომარეთა** მოსამზადებლად სიღნაღში იხსნება მოკლევადიანი კურსები.

— **ხაშურის აღმასკომმა** გადასწყვიტა გააფართოოს ქალაქში ნაშენობათა დაზღვევის საქმე.

— **მოატანის თემის აღმასკომმა** სთხოვა სამაზრო აღმასკომს მიიღოს ზომები მოატანში გახშირებულ ბოროტმოქმედებათა აღმოსაფხვრელად.

— **კოოპერატიულ სავაჭროებს** სიღნაღის აღმასკომმა ნება დართო ივაჭრონ საღამოს 8 საათამდე.

სოფლის ფოსტა

— **ჩაფიქრებულს** (ლანჩხუთი) წერილი ზოგადი ხასიათისაა, ფაქტები არაა მოყვანილი, არ მიდის.

ბიკ. დ—ს. თქვენი წერილი ბარეულში მომხდარ ერთი შემთხვევის შესახებ გადაუგზავნეთ სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატს.

მუშათა ცხოვრება

ბოლო უნდა მოეღოს პროსტიტუციას

პროსტიტუციას, რომ დიდი ზარალი და მავნებლობა მოაქვს მშრომელი ხალხის და საზოგადოებისათვის, ეს არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. პროსტიტუცია პირველ ყოვლისა ძირს უთხრის და ანადგურებს მუშის ოჯახს, სწამლავს ხალხს, ასნეულებს ადამიანის ორგანიზმს და ბოლოს ხელში გვრჩება ჯან-გატეხილი, შრომის უნარ-დაკარგული და დაავადებული და, თუ შეიძლება ასე ითქვას, სულიერად და ფიზიკურად მკვდარ-ცოცხალი ადამიანი. პროსტიტუცია ამ ბოლო ხანებში ძალიან გახშირდა და მასთან ერთად გახშირდა ხალხში ვენერიული ავადმყოფობაც.

„დისპანსერ"-ის (ვენერიული ავადმყოფობასთან მებრძოლი საზოგადოება) წარმომადგენელი ექიმი ამხ. კობალაძის გადმოცემით ამჟამად თბილისში ყოფილა 9.000 ვენერიული ავადმყოფობით დასნეულებული მამაკაცი და დედაკაცი.

ეს ხომ დიდი უბედურებაა, ცხრა ათასი ცოცხალი ძალა დღეს არარაობას წარმოადგენს.

გარდა ამისა ამ ცხრა ათასმა შეიძლება სხვა მრავალი ათასები იმსხვერპლოს, ვინაიდან ვენერიული ავადმყოფობა ყველაზე უფრო განუკურნებელი და გადამდები სენია. ამ სენით მეტწილად მუშებია დაავადმყოფებული. ძალიან ხშირად რომელიმე მთვრალი მუშა გამოდის ქუჩაში და სადღაც ბნელ კუთხეში წააწყდება მეძავ ქალს, ხდება ავათ; ავათმყოფობა მიაქვს ოჯახში და ამრიგად წამლავს ცოლშვილს; იღუპება ოჯახი...

ხშირად სოფლიდან ჩამოსული გლეხებიც ხდებიან მეძავე ქალების მსხვერპლი და გლეხებსაც იგივე ემართება, რაც მუშებს.

გარდა ამისა, სოფლად მკურნალობა ნაკლებია და მთელი სოფელი იწამლება ამ სენით. მაგალითად წალკის რაიონში არის ერთი სოფელი, რომელსაც მეტ სახელად „სიფილისტიან სოფელს" ეძახიან.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ მუშებისა და გლეხების ისე დაზღვევა, რომ მათ ავაცდინოთ ეს უბედურება?—შეგვიძლია. თუ ჩვენ ენერგიულ ზომებს მივიღებთ, როგორც პროსტიტუციის, ისე მეძავე ქალების წინააღმდეგ. თუმცა ზოგიერთი ამხანაგების აზრია ვებრძოლოთ მხოლოდ პროსტიტუციას და არა პროსტიტუტკებს, მაგრამ მე ვამბობ, რომ დაუზოგავათ უნდა ვებრძოლოთ ერთსაც და მეორესაც.

პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით საჭიროა ქალთა განყოფილებებმა მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ ქალებზე. აწარმოონ გაძლიერებული აგიტაცია ქალთა შორის და აუხსნან ქალებს, თუ რა დიდ უბედურებას უქადის ქალს პროსტიტუცია. მასთან ქალთა განყოფილებებმა, რაც შეიძლება მეტი რიცხვი ქალებისა უნდა გაზავნონ სამუშაოზე; ეცადონ, რომ შტატების შემცირების დროს შეძლებისდაგვარად ქალები არ მოაყოლონ შემცირებაში და ამით ქალი არ გახადონ ქუჩ. მსხვერპლ. ხელის. თავის მხრივ ქალთა განყოფილებებს უნდა აღმოუჩინონ შესაფერი დახმარება, როგორც მორალურად, ისე მატერიალურად. რაც შეეხება „პროსტიტუტკებს" (ე.ი. ვისაც სხეულით ვაჭრობა ხელობათ გაუხდია) უნდა ვებრძოლოთ შემდეგნაირად: სამილიციო რაიონების საშუალებით უნდა მოხდეს მათი აღრიცხვა, გასინჯულ იქნენ ექიმების მიერ და ავადმყოფები მოთავსდეს საავადმყოფოებში. დანარჩენები კი ე. ი. ჯანმრთელებისათვის უნდა მოეწყოს რაიმე არტელები მაგ. სამრეცხაოები და ისეთი დარგის სამუშაოები, რომელიც ქალებს მისცემს არსებობის საშუალებას.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამას არ შეურიგდებიან ზოგიერთი მეძავი ქალები, მაგრამ ეს უნდა მოხდეს სწორედ იძულებით, ადმინისტრატიულად.

თავის თავად ცხადია ეს საქმე ხარჯებს ითხოვს, მაგრამ ამ საქმეზე ხარჯებს არ უნდა მოვერიდოთ. საქმე დავიწყოთ და მერე წყაროები, თავისთავად გამოჩნდებიან.

რაც შეეხება მეძავ ქალების ქუჩებში ხეტიალს, მას საზღვარი უნდა დაედვას, თორემ დღეს ცხრა ათასი ვენერი. გვყავს, ხვალ კი თვრამეტი ათასი გვეყოლება.

მუშკორი—დ. გორდაძე.

ბორჯომის სატყეოში

ბორჯომში არსებობს ბორჯომისა და ბაკურიანის სატყეოები, რომელსაც განაგებს მთავარი საკურორტო სამმართველო, აქ 100 მუშა-მოსამსახურე მუშაობს და ხშირია, რომ შრომის ხელშეკრულებას არღვევენ. მაგალითად—ჯამაგირის თანახმად ხელშეკრულებისა უნდა აძლევდენ მუშებს 20 რიცხვში, მაგრამ დანიშნულ დროს მისი გაცემა სცილდება ხანდისხან 11 ან 12 დღით. მუშა-მოსამსახურეებს ძალიან აწუხებს ეს გარემოება.

შემფასებელ-საკონფლიქტო კომისია არ მუშაობს, მიზეზი არის ის, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენელი ადგილობრივად არ არის. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში ადგილობრივი ტყის გამგე დაინიშნოს ადმინისტრაციის წარმომადგენლად.

თანახმად დებულებისა, მუშა-მოსამსახურეებს ძველი ვალი უნდა დაუკავონ ყოველთვიურად ჯამაგირის 1/3 რაოდენობით. ამას არ უნდა აღემატებოდეს ხელფასის დაჭერა, მაგრამ მთავარ საკურორტო სამმართველოს, როგორც ეტყობა, ეს დადგენილება განზე გადაუდვია და ჯამაგირს უკავებენ 1/3-ზე მეტს, ზოგ შემთხვევაში ნახევარსაც მთელის ხელფასისას, რაც უკმაყოფილებას იწვევს მუშებში.

საჭიროა ეს დეფექტები გამოსწორებული იქნეს სასწრაფოდ.

მუშკორი ჟაბა მიქ—ლაძე.

მადლი ჰქენით, მარილიც მოაყარეთ

თბილისში, ვერაზე, სადაც უწინ მემამულე ბეჟთაბეგის უზარმაზარი სახლი იყო თავის კომიდამო-ბაღით, დღეს საქართველოს ბავშვთა სკოლა-ბაღია.

ამ საერთო „კერაში" სწავლა-განათლებას, ფიზკულტურას და ხელობას ითვისებს პანსიონერი მოიჯენი: ქართველები, ქისტები, ოსები და სხვა მეზობელ თემების ბავშვები. სულ აქ იქნება ასამდე ბავშვი. სუფთად ჩაცმულნი ჯანმრთელად გამოიყურებიან ბავშვები. ამჟამათ, აქ მოწყობილია მხოლოდ ჩექმის სახელოსნო და მომავალში გაიხსნება სახარატო, სადურგლო და სხვა სახელოსნოები.

აქედან მალე გამოვლენ მომზადებული ქართველები ოსტატები და სოფლად მოეფინებიან სპეც-მუშაკები, რომელთა რიცხვი ჩვენში დღეს დღეობით ძალიან მცირეა.

სასურველი, ამნაირი სახელოსნოები ზოგიერთ სავარდნილ და ქალაქ გარეშე უბნებშიც მოეწყოს, მით უფრო რომ სკოლის გარეშე ბევრი ახალგაზრდაა დარჩენილი და უსაქმიანობის გამო იღუპებიან.

ფადარა.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ს. საგარეჯოში** (გარე-კახეთი) დიდი ზეიმ ზარით გაიხსნა კლუბი, მაგრამ მან ვლეხების და მუშების ფართე მასები ვერ მიიზიდა, რის გამო კლუბი თითქმის არავითარ კულტმუშაობას არ აწარმოებს. ლოტოს თამაში მოსპეს, დარჩა მხოლოდ ნარდი, მისი თამაში ბევრმა არც იცის. ეხლა კიდევ გამგეობამ შემოიღო შესავლელი ფასი 5 კაპ. ეს გარემოება უფრო აფრთხობს მუშა-მოსამსახურეებს. ტყუილად სწვამენ ნავთს და შენობასაც ტყუილად აბნძებენ. ასეთი კლუბი მასების სურვილებს ვერ დააკმაყოფილებს. აქ ლექციები და წარმოდგენები იშვიათი ხილია.

საყვირი.

— **შრომის დისციპლინისაკენ.** მუშათა კლასის კეთილდღეობის და მისი საბოლოო გამარჯვებისათვის აუცილებლად საჭიროა ჩვენი სოფლის და ქალაქის მეურნეობის აღდგენა-გაჯანსაღება; ქვეყნის სიმდიდრის და დოვლათის დაგროვება, მისი მოვლა-პატრონობა, მიზანშეწონილად და ნაყოფიერად გამოყენება. ყველაფერ ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა ჩვენი ქვეყნის ყველა სამუშაო ძალების დაჭიმვა; სამუშაო დროის მთლიანად გამოყენება წარმოებისათვის. წარმოებაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიმულიაციას, შრომაში ზარმაცობას, ცუღლუტობას, შრომის დისციპლინის დარღვევას. ასე კი არ უყურებს ამას მთავარ სახელოსნოს ზოგიერთი შეგნებელი მუშა—ის მუშაობის დროს სახელოსნოს წინ მდგომ „ზაკტპო"-ს დუქნისკენ მიიჩქარება და აქ დუქანში საუბარში და ლაყბობაში ჰკარგავს სამუშაო საათებს.

განა ასეთი მოვლენა დასაშვებია.

მუშა—მესხეთელი.

ვენახები

მიმდინარე წლის გაზაფხულზე დიდი წარმატებით ჩატარდა მუშაობა კახეთის ვენახების აღსადგენათ. თუ მუშაობა ვენახების გასაჯანსაღებლად ასეთი ტემპით განვითარდა, კახეთის ვენახები სავსებით იქნება აღდგენილი 20 წლ. განმავლობაში და არა 100 წლისა, როგორც გეგმით იყო ვათვალისწინებული.

მიმდინარე გაზაფხულზე კახეთის ვენახების აღსადგენად დამზადებული იქნა 8 მილიონი ცალი ნამყენი ვაზი.

წინანდალის სახალხო მამულებმა თავის სათბობ სადგურებზე გამოიყვანეს წელს 660 ათასი ცალი დამყნილი ვაზი. ნაფარეულის სახალხო მამულში—500.000 ცალი ნამყენი, ჩუმლაყის სახალხო მამულის სანერგეში—200.000 ცალი. ამგვარად კახეთის სახალხო მამულებისაგან წელს დამზადებული იქნა სულ 2.660.000 ცალი ნამყენი. დამყნილი ვაზების ამ რაოდენობიდან 550.000 ცალი დამყნილი ვაზი წინანდალის და კონდოლის სათბური სადგურებიდან ვლეხებს დაურიგდათ 550 ცალი ნამყენი, ცალი 6 კაპეიკათ; 120 ათასი ცალი დარგულ იქნა ადგილობრივ სანერგეში, დანარჩენი გადეცა ადგილობრივ სკოლას. წელს თავისი საკუთარი სათბური მააოწყო წარმოკავშირმა მუკუზანში, სადაც ნამყენის გამოყვანა სწარმოებდა რიხტერის წესით. მუკუზანის სადგურში დამზადებულ იქნა 800 ათასი ცალი ნამყენი. ამხანაგობა „კახეთმა" თავისი საჭიროებისათვის დაამზადა 100 ათასი ცალი და ადგილობრივ აღმასკომისათვის 75.000 ცალი ნამყენი; ამხანაგობა „ვაზის მევაზობამ" დაამზადა 100 ათასი ცალი, ახმეტის მევენახეთა არტელმა—25 ათასი ცალი, წინანდალის—120 ათასი ცალი, წინანდალის გლეხკომმა—30 ათასი ნამყენი; ველისციხის მევენახემ ბირანაშვილმა დაამზადა 200 ათასი ცალი. სულ ზემოხსენებულ ორგანიზაციებმა მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაამზადეს 1.750.000 ცალი ნამყენი ვაზი. გარდა ამისა, საბჭოთა მეურნეობებმა გლეხებს დაურიგეს საფრანგეთიდან გამოწერილი და [illegible] ეულული 2 [illegible]

პროფკავშირებში

გემო-კვების კავშირში

ჭიათურაში „ქართული მარგანეცი"-ს საზოგადოებას აქვს ორი სასადილო. გემო-კვების დარგის მუშათა რიცხვი აღწევს 70 კაცამდე. მუშები ჯამაგირებს ღებულობენ ტარიფიკაციის გარეშე. არ არის დაცული თანრიგები, ერთ და იმავე თანამდებობაზე მომუშავე ორ სასადილოში იღებენ სხვადასხვა ხელფასს. გატარებული არ არის კავშირის წევრთა აღრიცხვა. საკავშირო ანარიცხების გადაუხდელობას მასიური ხასიათი აქვს.

ბევრგან არ არის არჩეული ადგილკომები და პროფრწმუნებულები.

არ სწარმოებს კულტურულ - განმანათლებელი, ქალთა და ახალგაზრდათა შორის მუშაობა.

სარევიზიო კომისიის მუშაობაც მოისუსტებს. არ არის დადებული კოლექტიური ხელშეკრულება.

სამაზრო პროფბიურომ მოახდინა გამოკვლევა და მისცა დირექტივები დეფექტების გამოსასწორებლად. მაგრამ გამოცდილი მუშაკის უყოლობის გამო, ასეთები დარჩა ცხოვრებაში გაუტარებელი.

აღნიშნული მდგომარეობა გამოარკვია აგრეთვე გემო-კვების კავშირის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. უნგიაძემ, რომლის მოხსენების შემდეგ კავშირის გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაავალა საორგანიზაციო განყოფილებას პრაქტიკული წინადადებების გამომუშავება, აგრეთვე მაზრაში მუშაობის გაჯანსაღების და გამოცოცხლების მიზნით გაგზავნა ამხ. კაშია.

კავშირის გამგეობის დადგენილებით გემო-კვების კავშირში ადგილკომების საარჩევნო კამპანია დასრულდება 25 ივნისს.

პროფკორი ნ.—ა.

პროფმუშაობის ქრონიკა

ა.-ქ. პროფსაბჭოში

— **მუშებისათვის კრედიტის მიცემა.** ა.-კ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შესაძლებლად სცნო მუშებისათვის კრედიტის მიცემა 4-დან 6 თვის ვადით. დაბალი თანრიგის მუშებს პრეზიდიუმის დადგენილებით შეიძლება მიეცეს ნისია თვეანნახევრის ხელფასის რაოდენობით.

— **პროფსაბჭოს წარმომადგენლები.** პროფსაბჭომ გამოჰყო წარმომადგენლები სხვადასხვა ორგანოებში.

ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიის სავაჭრო-სამრეწველო სექციაში, ამავე კომისიის საფინანსო-საბიუჯეტო სექციაში, შინავაჭრობის კომისარიატის ფასების შემამცირებელ კომისიაში და ა.-კ. ფინსახკომის ბალანსების განმხილველ კომისიები გამოიყო ამხ. იზრაელი. ა.-კ. საგეგმო კომისიის სტატ. ეკონ. სექციაში ამხ. ჰუპალოვი; მუშათა საბინაო დახმარების კომიტეტში ა.-კ. შრომის სახკომთან—ამხ. შეფტელი და ბაბალოვი; ა.-კ. შრომის სახკომის სპეც.-ფუძიდების გამომკვლევ კომისიაში ამხ. სოკოლოვი; სოციალურ დაზღვევის მთავარ სამმართველოს საცენტრო [illegible] ამხ. ბაბალოვი და ა.-კ. ნავთსადგურთა განყოფილებასთან არსებულ წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენ კომიტეტში ამხ. პოდოლსკი, მის მოადგილეთ ამხ. გრიგოლია.

— **პროფსაბჭოს პლენუმი.** პრეზიდიუმმა დაადგინა პლენუმის მოწვევა არა უგვიანეს 5 ივლისისა.

პლენუმის დღის წესრიგში გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები:

1. მოხსენება ს. ს. პ. კ. საბჭოს პლენუმის შესახებ.
2. ინფორმაცია ს. ს. პ. კ. საბჭოს გადაწყვეტილებათა შესახებ ა.-კ. პროფმოძრაობაზე.
3. მოხსენება აზერბეიჯანის პროფსაბჭოს მუშაობის შესახებ.
4. ა.-კ. აღმშენებელთა და მიწა-ტყის კავშირების მუშაობის მდგომარეობის შესახებ.
5. კოლექტიურ ხელშეკრულებების კამპანიის შედეგების შესახებ.
6. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტზე, მყოფ დაწესებულებათა ხელფასის შესახებ. და
7. ა.-კ. პროფსაბჭოს მუშაობის გეგმა 2—3 კვარტალისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო

ნ. მალანიას საქმე

გუშინ საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა მსჯავრდადებულ ნიკოლოზ მლანიას შუამდგომლობა უმაღლესი სასჯელის შეცვლის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ ნიკოლოზ მალანია, 36 წლის, დაბალი განათლების, სოციალური მდგომარეობით მუშაა, რომ 24 წლის განმავლობაში სტამბაში ასოთ-ამწყობათ ირიცხებოდა და რომ მის მიერ დანაშაული ჩადენილია პირველად, დაადგინა სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელი შეეცვალოს 10 წლის თავისუფლების აღკვეთით, სასტიკი იზოლიაციით.

ბაზიერაშვილის და ბოტკოველის საქმე

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა არ შეიწყნარა მსჯავრდადებულ ვანო ბაზიერაშვილის და მიხეილ ბოტკოველის თხოვნა სასჯელის პატიების შესახებ.

აღმოსავლეთ საქართველოს და უზენაეს სასამართლოს მიერ ბოტკოველის და ბაზიერაშვილს სონა მაყაშვილის გაძარცვის მიზნით მოკვლისათვის მისჯილი ჰქონდა დახვრეტა.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

ქ. კუციდის საქმე

ვინაიდან გუშინ სასამართლოს სხდომაზე გამოცხადდა დამატებით გამოწვეული მოწმეები, ამიტომ სასამართლომ საჭიროდ სცნო იმათი დაკითხვა.

პირველად დაკითხულ იქნა მოწმე გ. ყანჩელი, რომელმაც უამბო სასამართლოს, რომ ყუბრე ენუქაშვილმა უთხრა მას: კარგი იქნება თუ კუციდის საქმის გამოძიება რამოდენიმე ხნით გაგრძელდება და გარდა ამისა, თუ კუციდი დაიღუპა ლორთქიფანიძეს დავეხმარებითო. სასამართლომ დაუპირისპირა ერთი მეორეს ყანჩელი და ენუქაშვილი.

მოწმე ქ. მესხი (ს. მ. უ. საბჭოს საკონტროლო კომისიის წევრი) უამბობს სასამართლოს, რომ ძმანი ენუქაშვილები თამბაქოს ტრესტის ცუდ დებიტორებად ითვლებიან. ენუქაშვილებმა ზარალი მიაყენეს არა მარტო თბილისის თამბაქოს ტრესტებს, არამედ ქუთაისის ტრესტებსაც.

დასასრულ დაკითხულ იქნა თამბაქოს ტრესტის გამგეობის თავმჯდომარე პეტცოვი, რომელმაც პასუხი გასცა სასამართლოს მიერ მიცემულ კითხვებზე. შემდეგ ცხადდება, რომ სასამართლოს გამოძიება დასრულებულია.

პროკურორი კუპრაშვილი ეხება ყანჩელის ჩვენებას და ამბობს, რომ დამატებით გამოწვეულ მოწმეების დაკითხვიდან არა სჩანს კუციდის ბრალდების შემამსუბუქებელი გარემოება.

დამცველი ქავთარაძე ხელმეორედ შუამდგომლობს სასამართლოს წინაშე საქმის დამატებითი გამოსაძიებლად გადადების შესახებ.

4.403 მანეთის გაფლანგვა

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით დაიწყო ვლადიმერ ჩხაიძის საქმე.

ჩხაიძეს ბრალდება 4.403 მან. მითვისება და გაფლანგვა ამიერ-კავკასიის რკ.-გზის მეარტელეთ ყოფნის დროს.

აღნიშნული თანხა ჩხაიძეს გაუფლანგავს 1923 წ.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ 1500 მან. გაფლანგვაში და დასძინა, რომ დანარჩენი თანხის შესახებ მას სალაროში წარდგენილი აქვს გასამართლებელი საბუთები.

პირველად დაკითხული იქნა მთავარი მოლარე ლომინაძე, რომელმაც განაცხადა, რომ არავითარი გასამართლებელი საბუთები ჩხაიძეს სალაროში არ წარუდგენია.

მოწმეების დაკითხვიდან ირკვევა, რომ 4.403 მანეთი ბრალდებულს უნდა მიეცა მუშებისათვის სამუშაო ხელფასის ანგარიშში.

მოწმეების დაკითხვა გრძელდება.

განაჩენი გოლუბევის საქმეზე

სასამართლომ ბრალდებული გოლუბევი დამნაშავედ სცნო 1600 მან. გაფლანგვაში და მიუსაჯა მას 4 წლით თავისუფლების აღკვეთა წინასწარი დაპატიმრების ჩათვლით.

თამბაქო

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ამხანაგობამ საექსპორტოდ დაამზადა 75.00 ფუთი აფხაზეთის თამბაქო და 1000 ფუთი—სომხეთის. სექტემბრის შუა რიცხვებში ექსპორტისათვის დამზადებული თამბაქო გაგზავნილი იქნება საზღვარგარეთ, გასასინჯი პარტიის სახით საზღვარგარეთ გასატანად დამზადებულია აგრეთვე 12.000 ფუთი ართვინის თამბაქო.

ელექტროფიკაცია

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ ინჟ. ყიფშიძის მოხსენების თანახმად, გადასწყვიტა მიღებული იქნას წინასწარი ზომები თბ. რაიონის სოფლების ელექტროფიკაციისათვის. ამ მიზნით ზაჰესკომს დაევალა შეადგინოს თბილისის რაიონის ელექტროფიკაციის გეგმები და ხარჯთაღრიცხვა, რომ თბ. მიდამოების ელექტროფიკაციის საქმე უფრო გაადვილებული იქნას ეკონომიური მხრივ, საგეგმო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია განათების ნახევარი ხარჯების დაფარვა დაეკისროს სოფლის და რაიონის აღმასკომებს. პირველ ხანებში ტრანსფორმატორულ სადგურებიდან ელგამტარი გაყვანილი იქნება სოფლების მთავარ მოედნების და სასოფლო დაწესებულების (გზების, სამმართველოებისა, სკოლების და სხ.) გასანათებლად. ხოლო შემდეგ თანდათანობით სინათლე გაყვანილი იქნება სახლებშიაც მომხმარებელთა სურვილისამებრ.

ქრონიკა

აბრეშუმის პარკის დამზადების კამპანია

ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა, მიმდინარე სეზონში აბრეშუმის პარკის დამზადების ოპერაციის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად დასავლეთ საქართველოში თავის წარმომადგენლად გაგზავნა ბანკის ინსპექციის მმართველი ამხ. მაზმანოვი.

ფონდები

საქ. სახ. კომისართა საბჭომ მოიწონა და დასამტკიცებლად ცაკს წარუდგინა კანონ-პროექტი მიწად-მოქმედების სახ. კომ. საცდელ-საჩვენებელ და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა სპეციალური ფონდების შექმნის შესახებ.

გლეხკომების რაოდენობა

სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ცნობით საქართველოში ამჟამად სულ არის: 18 სამაზრო, 456 სათემო და 1.373-ი სასოფლო გლეხკომი. გადარჩევის შემდეგ მაზრებში ისეთი გლეხკომები იქნება დატოვებული, რომლებიც მუშაობენ კეთილსინდისიერათ და საქმიანობის უნარს იჩენენ.

თბ. აღმასკომში

— **ქუჩების გამშვენიერება.** ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილებას განზრახვა აქვს შეუდგეს მოზაიკური კუბიკური ქვების დამზადებას მთავარ ქუჩების მოსაკირწყლავად.

— **არხების გაწმენდა.** მიღებულია ზომები პლეხანოვის ქუჩისა და მის მეზობელ ქუჩების არხების გასაწმენდათ.

— **ტრამვაის მუშაობის** შესასწავლად კომუნალურმა სექციამ აირჩია კომისია.

— **მასწავლებელთა** გადასამზადებელ კურსებს განათლების განყოფილება წელს ხსნის აბასთუმანში, ციხის ჯვარში და მანგლისში.

— **რეორგანიზაცია.** გამომუშავებულია ზოგიერთ თემაღმასკომების და სოფლის საბჭოების შეერთების პროექტი.

— **მუხის ტყე.** დამთავრდა მუხის ხეების ნერგების ჩაყრა მახათის გორიდან ნაძალადევამდე. ამ ტყის გაშენების მიზანია ქალაქის იმ მხარის ჰავის გაჯანსაღება.

სხვადასხვა

— **სტუდენტები — რკინისგზელები.** ა.-კ. ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით რკინისგზებზე მომუშავე სტუდენტებს სამუშაო დროს 2 საათით შეუმცირდათ.

— **მავნებლების წინააღმდეგ.** მებამბეობის კომიტეტი შეუდგა ბამბის ნათესების გამოკვლევას მავნებლებთან ბრძოლის მიზნით.

— **ფოილოს ხიდის გახსნა** გადაიდო ივნისის დამლევისათვის.

— **პანსიონატი.** 25 ივნის წაღვერში ყოფილ ლებრიშვილისეულ სახლში გაიხსნება პანსიონატი. თვეში პროფკავშირის წევრთათვის ღირს 130 მან., კერძო პირთათვის—140 მან.

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს აწყობს ექსკურსიას გამოფენაზე. მსურველები უნდა შეიკრიბონ მუშტაიდში საღამოს 5 ს.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში.** დღეს, 18 ივნისს, საღამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება დისპუტი შემდეგ თემაზე: „ახალი ქართული პოეზია“.

— **წერკუმის ც. გ. პლენუმი.** 24 ივნისს თბილისში გაიხსნება წერკუმის ც. გ.-ის მეორე პლენუმი.

შემთხვევები

დიდი გაფლანგვა. მიღებული ცნობით გუდაუთის (აფხაზეთი) საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილების რევიზიის დროს, აღმოჩნდა, რომ განყოფილების სალაროს აკლია 7,883 მანეთი, როგორც გამოირკვა, უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში ამანათების და ფასდადებითი ბარათების გაგზავნიდგან შემოსული ფული ზემოხსენებული რაოდენობით მიუთვისებია გუდაუთის საფოსტო განყოფილების უფროსს ნუბაროვს. ნუბაროვი დაპატიმრებულია.

თავდასხმა კრწანისის გზაზე

გუშინ, საღამოს 5 საათზე კრწანისის გზაზე გაძარცვეს კოჯორიდან თბილისში მიმავალი მოქალაქე ნიკოლოზ კადანაშვილი. მის წაართვეს ფული და გახადეს ტანთსაცმელი. ბოროტმოქმედნი შეხედულობით იყვნენ სოფლელები. ამათთაგან ერთი იყო შეიარაღებული „ნაგანის“ სისტემის რევოლვერით, ხოლო მეორე—ბებუთის დანით. ბოროტ-მომქმედნი მიიმალნენ.

— **დახრჩობა.** 16 ივნისს ავლაბრის ქ. № 27 სახლის ეზოში მუშაობის დროს ფეხსალაგის ორმოში ჩავარდა და დაიხრჩო გედარ ასადოღლი.

— **ტრამვაის პარკში** მუშას გრიკოვსკის მოპარეს ტანისამოსი და ფული.

— **კოოპერატივის გაქურდვა.** 15 ივ. გაქურდეს სართიჭალის კოოპერატივი. წაღებულია 300 მ. ნივთები.

— **შეპყრობა.** 16 ივნისს ქურდობისათვის შეიპყრეს პოლოსიანცი და სააკიძე.

— **ქურდების ბანდის შეპყრობა.** 16 ივნისს შეიპყრეს ქურდების ბანდა შემდეგი შემადგენლობით: მ. მანეკიანცი, ხ. კირაკოსიანცი და ა. ბაბაევის ქალი.

ვაგონის გადავარდნა

16 ივნისს დღის პირველ საათზე ნავთლუღიდან თბილისში მოდიოდა სამარშრუტო მატარებელი, რომელსაც ბოლოში ება მეარტელის ვაგონი, რომელიც აცდა ლიანდაგს და მატარებელი გააჩერეს. ვაგონი ამოიღეს 4 საათზე და დააბრუნეს ნავთლუღში, ხოლო მატარებლის შემადგენელი ვაგონები თბილისში ჩამოყვანილ იქნა სამწყებათ.

ჩავარდნილი ვაგონი მცირედ დაზიანდა.

◆

კოოპერაციის გამოკვლევა

მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა „ცენტროსოიუზი“-ს ინსტრუქტორი ამხ. დნეპროვსკი, რომელიც უკვე შეუდგა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის გამოკვლევას. ჯერჯერობით ის იკვლევს „ცეკავშირს“ და შემდეგ შეუდგება პროვინციის ზოგიერთ სამომხმარებლო კოოპერატივების გამოკვლევას. გამოკვლევა, დაახლოებით, 10 ივლისისათვის დამთავრდება.

ამ გამოკვლევას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი შედეგების შედარება წინა გამოკვლევის შედეგებთან მოგვცემს ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობის ნათელ სურათს.

გადასახადები

ფინსახკომის ცნობით, წელს სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან განთავისუფლდებიან სახელმწიფო სანერგე, ზოგიერთი ნივთიერათ სუსტი სახ.. მამულები და აღედები. შეღავათი.მიეცემა საბჭოთა და სახალხო მეურნეობებს.

ნივთიერათ და ფინანსიურათ მძლავრ საბჭოთა და სახალხო მამულებიდან აკრეფილ გადასახადის ნაწილისაგან დაარსდება სპეციალური ფონდი, საიდანაც სახალხო მამულებს მიეცემათ სესხი თავისი საქმიანობის გასაუმჯობესებლათ.

ფონდის შექმნას უხელმძღვანელებს ფინსახკომი; შემდეგში ეს ფონდი გადავა სას.-სამ. ბანკის განკარგულებაში; ბანკი კი დაიწყებს სესხების გაცემას.

დახმარება მეცხვარეებს

უკანასკნელმა ნიაღვრებმა დიდი ზარალი მიაყენა მეცხვარეებს. ამჟამად სწარმოებს გამოკვლევა იმისა, თუ რომელ მეცხვარეს რამდენი ზარალი მოუვიდა.

ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ მიღებული იქნება ზომები დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩენად.

საზაფხულო საძოვრებზე საქონლის გარეკის გამო, საძოვრების ახლო მდებარე დაბა-ქალაქებში მოსალოდნელია მოთხოვნილების გაზრდა მარილზე, რაც ფასების აწევას გამოიწვევს.

რათა ამ მოვლენას ადგილი არ ექნეს, საზოგადოება „მწყემს“-მა თავის წევრ—მეცხვარეებს გადაუგზავნა ახალ-ქალაქის მაზრაში და ბაკურიანის რაიონში მარილისა და ხორბლის დიდი პარტია.

პენსიები

ადგილობრივ ფინანსების შესახებ გამომუშავებულ დებულების ახალ პროექტის მიხედვით ომის ინვალიდების საპენსიო ხარჯების 25 პროცენტი მომავალ საბიუჯეტო წლიდან შედის სახელმწიფო ბიუჯეტში, ხოლო 75 პროცენტი ადგილობრივ ბიუჯეტში. ამის გამო ფინანსთა სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ადგილებს სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს ომის ინვალიდების საპენსიო ხარჯების 25 პროცენტი შეიტანონ სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატის ხარჯთაღრიცხვაში.

წყლის შემოწმება

სიცხეების დადგომასთან დაკავშირებით თბილისის ქალაქის ლაბორატორიამ დაიწყო ქალაქში სახმარებელი და სასმელი წყლის სისტემატიური გამოკვლევა - შემოწმება.

გამოკვლევა ადასტურებს, რომ ჯერ-ჯერობით წყალში არ მოიპოვება ეპიდემიების გამავრცელებელი რაიმე მიკრობები. ორთაჭალაში ამოღებულ მტკვრის წყალში, ანალიზის შემდეგ აღმოჩნდა აზოტის სიმჟავე, რაც წყალს ხდის ძლიერ მავნებლათ და რაც უნდა მიეწეროს იმას, რომ ქალაქის კანალიზაცია ვერაა წესიერათ მოწყობილი.

წყალსადენის წყალი სუფთა და ჯანსაღია. წყლის ტემპერატურა ნორმალურია.

სათბობი მასალა

შინაგან საქმ. სახ. კომისარიატმა დაგზავნა მიმართვები მაზრებში და ავტონომიურ ოლქებში სათბობი მასალის მომარაგების შესახებ. რესპუბლიკისათვის საჭირო სათბობი მასალის მოსამარაგებლათ მომავალი საბიუჯეტო წლისათვის, ს. მ. უ. საბჭოს დაევალა შეიმუშავოს ცალკე გეგმა.

გეგმის შედგენას საფუძვლათ უნდა დაედვას ეკონომიის რეჟიმის პრინციპი. ადგილობრივი სათბობი მასალები (შეშა, ნახშირი და სხ.) გამოყენებულ უნდა იქნეს მაქსიმალურად, რომ ამით მომჭირნეობა იქნეს დაცული ცენტრიდან გადადებულ თანხების ხარჯვაში.

მაზრებს და ავტონომიურ ოლქებს ევალებათ წარმოადგინონ შესაფერი ცნობები ივნისის დასასრულამდე.

ხელოვნება

მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიის გამოფენა

ჩვენს მხატვრულ ცხოვრებაში აღსანიშნავ მოვლენას წარმოადგენს პროფ. მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია.

ხელოვნების დაახლოვება მასებთან, მხატვრული შემოქმედების განვითარება თვით ამ მასებში, ხალხში მიმალულ შემოქმედ ძალების სამოქმედო ასპარეზზე გამოყვანა,—არის საბჭოთა ხელისუფლების სამხატვრო პოლიტიკის დღევანდელი ამოცანა. დაარსების დღიდან ამ მიზანს ისახავდა პროფ. მოსე თოიძის სტუდია. სტუდიის მოწაფეთა კონტიგენტს შეადგენდნენ დაბალი ფენიდან გამოსული ახალგაზრდები. აქ თავი მოუყრიათ სოფლიდან ჩამოსულ გლეხის შვილებს, ქალაქის ახალგაზრდა მუშებს, ხელოსნებს და ყველა იმათ, ვისთვისაც ცხოვრებას საშუალება არ მიუცია სპეციალურ სამხატვრო სასწავლებლებსა და აკადემიებში მიიღონ განათლება თავისი ნიჭისა და მოწოდების მიხედვით.

სტუდია, რომელიც თავისუფალია ძველი სამხატვრო სასწავლებლების მავნე ტრადიციებისაგან, ახალგაზრდობას ასწავლის ხატვის ტეხნიკას, ხატვითი შემოქმედების კანონებს და ამავე დროს, იგი წარმოადგენს მხატვრული ხალხური შემოქმედების ცენტრს. სტუდიაში ცოდნით აღჭურვილი ახალგაზრდები, რომელნიც ჩამოსულნი არიან საქართველოს ყოველი კუთხიდან, ბრუნდებიან უკანვე და ადგილობრივ განაგრძობენ მუშაობას. ამ გზით ჭეშმარიტი ხელოვნება იჭრება ხალხში,—ხდება მისთვის მისაწვდომი. სოფლებიდან ჩამოსულ ახალგაზრდებს შემოაქვთ თავისი კუთხის თავისებურობა, რომელიც საფუძვლად ედება მათ შემოქმედების განვითარებას.

ყოველ წლიწადს—სამხატვრო წლის დასასრულს სტუდია აწყობს გამოფენას და ამით თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს ურდგენს ფართო საზოგადოებას.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა შარშანდელმა და კიდევ უკეთესი წრევანდელმა გამოფენამ, რომელიც გაიხსნა ერთი კვირის წინად რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში. ხალხის წიაღიდან გამოსული ახალგაზრდები, რომელთათვის უცხოა და უცნობი სხვადასხვა სკოლების გავლენა, უშუალოდ ააშკარავებენ თავიანთ შემოქმედების ხასიათს, გრძნობის და განწყობილების სიწმინდეს. გამოფენაზე წარმოდგენილია, როგორც სავალდებულო სტუდიური ნამუშევარი, ისე თავისუფალი შემოქმედების ნიმუშები. უხვად არის ნატიურ-მორტები, რომელნიც მოწმობენ, რომ ახალგაზრდები შესჩვევიან კოლორიტის დაცვასა და გადმოცემას.

ყურადღებას იპყრობენ პორტრეტები. აქ სჩანს ადამიანის ხასიათის, მისი შინაგანი ბუნების ძებნა და სინამდვილე; ალაგ-ალაგ ნატურიდან გადმოღებულ ასლში მოსჩანს რაღაც ღრმა,—საერთო—ტიპიური. ყოველ პორტრეტს თან სდევს სიყვარული ადამიანის სახისადმი.

მთლიანად გამოფენა წარმოადგენს ადამიანის ცხოვრების (შრომის, ბრძოლის, დროს— გატარების) გადმოცემას მთელი მისი სიუხვით და მრავალფეროვნებით. ახალგაზრდა მხატვართ აქვთ ბუნების გრძნობა. ღრმა, მდიდარი ფერებით, სადი, სასიამოვნო კოლორიტი გადმოცემულია საქართველოს სოფელი ზაფხულის მზის სიცხოველით. სურათები ახასიათებს განწყობილების სიწმინდე, ალაგ-ალაგ მხატვრული ჰარმონიულობა. საერთოდ ფერადები ისე არიან შეხამებულნი, თითქო მღერიან ულრუბლო ქვეყნის ნათელ გამმას.

ახალგაზრდა მხატვრების მტკიცე, გაბედული ნაბიჯები, მაგარი ხელი, და საერთოდ იმედებისა და შესაძლებლობის ის ატმოსფერა, რომელსაც ქმნიან კეცხოველის, ჯანელიძის, გაბალაშვილის, ფარაჯანიშვილის, ჩარგეიშვილის, თსკანოვის და სხვების ნიჭითა და სიყვარულით შესრულებული სურათები, იმედს იძლევა, რომ ჩვენ ახლო ხანში გვეყოლება ჟანრის, ისტორიულ მიმართულების, სოციალური მოტივების მხატვრები, პორტრეტისტები და პეიზაჟისტები.

ვ.—წ.

სალამო - კონცერტი. სახ. კონსერვატორიის დარბაზში ორშაბათს, 21 ივნისს, გაიმართება სალამო - კონცერტი. მონაწილეობენ: ანდღულაძე, გრიშაშვილი, ეთიმ-გურჯი, ფუტურისტები, მსახიობნი: ვ. ანჯაფარიძე, ხ. ქიქინაძე, მ. ჭიაურელი, ოგანეზაშვილი. (ქიანური).

კონსერვატორიაში მეცადინეობა დამთავრდება 26 ივნისს.

„მეცხრე ტალღა“. ამ დღეებში აპოლოში, სოლეიში და ეთერში დაიწყება „მეცხრე ტალღი“-ს ჩვენება.

— **კონსერვატორიის დარბაზში** შაბათს. 19 ივნისს, საქართვ. ახალგ. მუსიკოსთა საზოგადოება მართავს ახალგაზრდა კომპოზიტორთა: ვ. გოკიელის, გრ. კილაძის, მ. თაქთაქიშვილის და ი. ტუსკიას ნაწარმოებთა სიმფონიურ კონცერტს სახ. არტისტის ივ. ფალიაშვილის დირიჟორობით.

— **სახლი მწერალთა დასასვენებლად.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირს გადაეცა სოფ. ქვიშხეთში მდებარე კოტე ყიფიანისეული სახლი. საზაფხულოთ მწერალთა კავშირი გზავნის თავის წევრებს საგარაკოთ. მსურველებმა უნდა შეიტანონ განცხადებები მწერალთა კავშირში (მაჩაბელის ქ. № 13) არა უგვიანეს 25 ივნისისა.

— **მ. თოიძის სახალხო სამხატვრო სტუდიის გამოფენა** სამხატვრო სტუდიის გამოფენა გაგრძელებულია 21 ივნისამდი. გამოფენა ღიაა ყოველ დღე 10—7½ ს.

აკადემიური თეატრი. პირველ ივლისიდან დაიწყება ბაქოს მუშათა თეატრის გასტროლები. ეს დასი ამჟამად მუშაობს ტაშკენტში.

თეატრის რემონტი. თეატრის დირექციამ აღძრა შუამდგომლობა, რათა აკად. თეატრს გაუკეთდეს რემონტი. შესაკეთებელია პარტერი. სცენაზე გამოცვლა უნდა იატაკს. თეატრში მომატებულ უნდა იქნას ფიჩები.

ბიბლიოგრაფია

„სოფლის კომუნისტი“

№ 4—5, საქ. კომ. პარტიის ც. კ. ორგანო.

ჟურნალის ეს ნომერი საკითხების შერჩევით სწორად გამოხატავს ჩვენს დღევანდელ კონკრეტიულ მდგომარეობას. პირველყოვლისა ჟურნალში ამიერ-კავკ. კომუნისტურ ორგანიზაციათა თათბირის დადგენილებებიდან მოთავსებულია ის ნაწილი, რომელიც შეეხება სოფლად მუშაობის საკითხებს. როგორც ვიცით, ხსენებული თათბირი დაწვრილებით შეჩერდა სადღეისო მუშაობის ყველა საჭირბოროტო მომენტებზე და მის დადგენილებათა გაცნობა ადგილებზე მომუშავე ამხანაგებს დიდ სამსახურს გაუწევს.

რეზოლიუციის ეს ნაწილი, რომელიც პირველ რიგშია მოთავსებული, ერთგვარ შესავალს წარმოადგენს მის მიმდევარ ცალკე საკითხებისათვის. ჟურნალი იწყება ამხ. გ. მუშიშვილის წერილით: „ეკონომიის რეჟიმი და პარტიულ ორგანიზაციების ამოცანები“. ავტორი აქ დაწვრილებით ჩერდება მომჭირნეობის რეჟიმის ლოზუნგის ერთ-ერთ მათავარ ამოცანად წამოყენების მიზეზებზე, იხილავს საბჭოთა რესპუბლიკების ინდუსტრიალიზაციის აუცილებლობის საკითხს სოციალისტურ რევოლუციის საბოლოოდ გამარჯვებისათვის და მიუთითებს იმ საშუალებებზე, რომელნიც საფუძვლად უნდა დაედვან საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის წარმატებითი განვითარებას. წერილში მოყვანილია საყურადღებო ამონაწერები ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოების დადგენილებებიდან მომჭირნეობის რეჟიმის შესახებ. ავტორი ჩერდება აგრეთვე ამ ლოზუნგის ცხოვრებაში გატარების ცალკე მომენტებზე და განსაკუთრებით იხილავს მომჭირნეობის საკითხს სოფლად მუშაობაში.

ამხ. მუშიშვილის წერილის შემდეგ აღსანიშნავია ამხ. ალ. პაპავას წერილი: „მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის“. ეს წერილი მეტად საგულისხმოა, რამდენადაც აქ ლაპარაკია ცალკე შემთხვევებზე ღარიბ გლეხთა ორგანიზაციის საქმეში. ის უთუოდ ბევრ რასმე მისცემს სოფლად მომუშავე ამხანაგს. ნაკლად ჩაითვლება მხოლოდ მეტად დიდი ციტატები, რომელთა შემოკლებითაც, წერილი არაფერს წააგებდა. იმავე საკითხზე, რომელზედაც სწერს ამხ. პაპავა, ჩერდება პავლე საყვარელიძეც, თავის მოკლე წერილში: „საშუალო და ღარიბ გლეხთა კავშირი“.

მეტად საყურადღებო ამხ. ვ. გ—ელის წერილი სოფლად კოოპერატიული მშენებლობის შესახებ. ავტორი აქ იხილავს სოფლის კოოპერატივის ყოველდღიურ მუშაობის საკითხებს და სწორად მიუთითებს იმ დაბრკოლებებზე, რომელნიც წინ ეღობებიან კოოპერაციის ნორმალურად განვითარებას. ეს წერილი უნდა წაიკითხოს თითოეულმა კოოპერატორმა, განსაკუთრებით კი სოფლად კოპერატივში მომუშავე ამხანაგებმა.

ჟურნალში მოთავსებულია აგრეთვე ამხ. ღ. აფციაურის ვრცელი წერილი: „საბჭოთა არჩევნების შედეგები“, რომელნიც იძლევა მდიდარ სტატისტიკურ მასალას უკანასკნელ არჩევნების შესახებ. ამხ. გ. ლეშკაშელის წერილი: „სოფელი და სოფლის კომუნისტი“, წარმოადგენს უდაო ჭეშმარიტებათა განმეორებას იმის შესახებ, თუ როგორი არ უნდა იყოს ან როგორი უნდა იყოს სოფლის კომუნისტი. ავტორს, რომ რაიმე კონკრეტი ფაქტი მოეყვანა, შეიძლებოდა ამ წერილს რაიმე ღირებულება ჰქონოდა. რამდენადაც ეს ასე არაა, წერილს თავის მნიშვნელობა დაკარგული აქვს.

ამხ. გ. ლეშკაშელის წერილს მისდევს ამხ. ე. ფრანგიშვილის ვრცელი და საგულისხმო წერილი სოფლად კულტურული მუშაობის შესახებ. საერთაშორისო მიმოხილვაში მოცემულია ამხ. ალ. ნადირაძის და გ. გოლდის წერილები. პირველი ეხება გერმანია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას და სწორ შეფასებას აძლევს ამ ჩვენთვის ღირსშესანიშნავ და სასარგებლო პოლიტიკურ აქტს საერთაშორისო ფრონტზე, მეორე კი ჩერდება ერთა-ლიგის საბჭოს ირგვლივ შექმნილ გართულებაზე და ინგლისის ქვანახშირის მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტის საკითხებზე.

ადგილობრივი ცხოვრებაც საკმაოდ სრულადაა წარმოდგენილი, სადაც მიდის მთელი რიგი საკამათო წერილები სოფლად პარტიულ ორგანიზაციული საკითხების შესახებ. კარგი იქნებოდა, რომ თვით რედაქციასაც გამოეთქვა თავისი აზრი იმ საკითხის შესახებ, რომელზედაც კამათობენ ადგილობრივად მომუშავე ამხანაგები და რომელიც, როგორც სჩანს, ბევრისათვის ჯერ კიდევ არაა სათანადოთ გარკვეული.

დასასრულ ერთი პატარა შენიშვნა ჟურნალის ბიბლიოგრაფიულ განყოფილების შესახებ. აქ, სხვათაშორის, მოთავსებულია ვინმე „ობოლი გლეხის“ რეცენზია ამხ. პ. კერესელიძის წიგნაკზე: „როგორ უნდა გაუძღვეთ კრებას“. რეცენზენტი საზოგადოთ იწონებს წიგნაკს, ხოლო გამომცემს, სახელგამს, უსაყვედურებს ქართული ენის არ ცოდნას. ის სწერს: „საჭიროა სახელგამმა თარგმანის საკითხს უფრო ყურადღებით მოეპყრას“. სწორედ კი, რომ „ობოლ გლეხს“ დაეწერა: „საჭიროა სახელგამი მოეპყრას და სხვა...“, და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა შენიშვნა გამომცემლობისათვის.

ჟურნალის ამ ნომერს ცალკე დართული აქვს საუცხოვო სურათი ამხ. სტალინისა, მისი საქართველოში ჩამოსვლის გამო.

პ. გვრისელი.

მეცნიერება და ტეხნიკა

პარაშიუტი „ზაე-გუ“

გერმანიაში გამოიგონეს ორიგინალური ფორმის პარაშიუტი (ჰაერიდან დასაშვები ქოლგისებური მოწყობილობა), რომელმაც თავისი სახელწოდება მიიღო გამომგონებელის—მფრინავ ზაიმლერისა და გუნერმანის—გვარების პირველი ასოების შერთებიდან.

მის საინტერესო თავისებურობას წარმოადგენს საფეხურისებური ფორმა, რაც მეტ წინააღმდეგობას ქმნის ჰაერისათვის და ვარდნის სისწრაფეს ანელებს.



პარაშიუტს აქვს მოწყობილობა, რომლის საშუალებით შეიძლება ვარდნის სისწრაფის მოწესრიგება და, ამრიგათ, პარაშიუტისტს საშუალება ეძლევა შეარჩიოს დასაშვები ადგილი.

დაკეცილი სახით პარაშიუტს ძლიერ მცირე ადგილი უჭირავს.

საცდელი გადმოხტომის დროს (მიუნხენში—გერმანია) ათასი მეტრის სიმაღლიდან. პარაშიუტი გაიხსნა პირველი 15 მეტრის გავლის შემდეგ. 1000 მეტრის სიმაღლიდან დასაშვებათ საჭირო შეიქნა 11,5 წუთი, ე. ი. ვარდნის საშუალო სისწრაფე უდრიდა 1,5 მეტრს წამში, სხვა პარაშიუტების ვარდნის საშუალო სისწრაფე კი წამში 3,5—4 მეტრს უდრის.

დამბლის მკურნალობა მალარიით

გერმანელ ექიმ-თერაპევტთა კონგრესზე ვისბადენში საპროგრამო საკითხად დასმული იყო დამბლის მკურნალობის საკითხი.

საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ავსტრიელი ფსიქიატრის პროფ. ვაგნერ ფონ-იაურეგის მოხსენებამ. პროფ. ვაგნერი ხანგრძლივი ცდების შემდეგ (ცდები დაიწყო 1887 წ.) დარწმუნდა, რომ დამბლა ქრება იმ ავადმყოფობათა შემდეგ, რომლებიც დიდ ტემპერატურას იწვევენ.

ტუბერკულინით ცდების შემდეგ, რომელმაც ნაყოფი ვერ გამოიღო, პროფ. ვაგნერმა თავის ავადმყოფებს შეუშხაპუნა ტანში სითხე, რომელშიაც მალარიის გამომწვევი მიკრობები მოიპოებოდენ. ამ ცდებმა დაარწმუნა პროფესორი, რომ დამბლის განკურნება შესაძლებელია. მალარიის აცრის შემდე მრავალი ავადმყოფი სრულიად განიკურნა და შესძლო გონებრივ შრომას დაბრუნებოდა.

ფიზკულტურა

ფეხბურთი

ამხანაგური შეჯიბრი

დღეს, საღამოს 5 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება პირველი და მეორე „დურუჯი“-ს ამხანაგური შეჯიბრი. სხვათაშორის „დურუჯში“ დღეს პირველათ თამაშობს ახალი ცენტრ-ფორვარდი—ბათომელი აბაშიძე, რომელიც ამიერიდან პირველ „დურუჯში“ ითამაშებს ცენტრ-ფორვარდ ის. თურქიას მაგივრად.

„დურუჯი“—„პოლიტეხნიკუმი“

კვირას, საღამოს 5 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება პირველი კატეგორიის გუნდების—„დურუჯი“-ს და „სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტის“ მორიგი კალენდარული შეჯიბრი. მსაჯი—დ. მდივანი.

„დურუჯი“—„დინამო“

ფეხბურთის საგაზაფხულო სეზონის დამთავრება განზრახულია ხუთშაბათს, 24 ივნისს.

უკანასკნელი შეჯიბრი გამართება „დურუჯსა“ და „დინამოს“ შორის.

დასაწყისი საღამოს 5 საათზე, მსაჯი იოსავა.

„ჯავშნიანი ნაწილები“

მეორე კატეგორიის გუნდებს შორის პირველობა აიღო სამხედრო გუნდმა—„ჯავშნიანმა ნაწილებმა“, ფეხბურთის მიმდინარე სეზონის დამთავრების შემდეგ გაიმართება „ჯავშნიანი ნაწილების“ შეჯიბრი პირველი კატეგორიის ყველაზე უფრო სუსტ გუნდთან.

თუ გამარჯვებული გამოვიდა „ჯავშნიანი ნაწილები“, იგი გადაყვანილი იქნება პირველ კატეგორიაში.

ახალი მოედანი

საქართველოს პროლეტარული სასპორტო საზოგადოება „დინამო“-ს ახალი მოედანი, რომელიც მდებარეობს პლეხანოვის პროსპექტზე, სამხედრო სკოლის პირდაპირ, მზათ იქნება ორ კვირაში.

ამჟამად სწარმოებს მუშაობა ამფიტეატრის მოსაწყობად.

თბილისის მაზრის სამხ. კომისარიატისაგან

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატი წინადადებას აძლევს ქვემო მოხსენებულ უფროსთა შემადგენლობის პირთ, რომლებიც იმყოფებიან გრძელვადიან შვებულებაში ან მუშურ-გლეხურ წითელ არმიის თადარიგში, რათა ისინი გამოცხადდნენ თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატში ჯორჯიაშვილის ქ. № 8, (ყოფ. ბარიათინის ქ.) სამხედრო-საალრიცხვო ბილეთებით დილის 9 საათზე ქვემო აღნიშნულ დღეებში:

22 ივნისს უნდა გამოცხადდენ:

შეეცოვი ანდრია ანდრიას ძე, იგნატოვი იური ნიკოლოზის ძე, მინინი იოსებ ივანეს ძე, ბალიასნი პეტრე ნიკოლოზის ძე, გორბუშინი პეტრე იაკობის ძე, ლაზარევი ნიკოლოზ ევნატეს ძე, სიბირიაკოვი ნიკოლოზ ივანეს ძე, მეჩზონი აბრამ ვლადიმერის ძე, გუსევი ეფიმ ლავრენტის ძე, ლუხინი გრიგოლ ალექსანდრეს ძე, ზანკოვსკი ილია ნიკოლოზის ძე, გასსიევი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, ნაუმოვი სტეფანე აქსენტის ძე, ვორონკოვი ივანე ვასილის ძე, სედოვი ალექსი პეტრეს ძე, მაკაროვი ალექსანდრე ვასილის ძე, ბურინსკი ვიაჩესლავ ლანინოვის ძე, პერესადა ალექსანდრე რომანის ძე, პოლიაკოვი ივანე ანტონის ძე, ბელოკოპიტოვი სერგო იაკობის ძე, ლანინი მიხეილ პავლეს ძე, ლოპო-დანილევსკი კონსტანტინე მიხეილის ძე, ოკოროკოვი ვლადიმერ აკიმის ძე, პონამარენკო მიხეილ პანკრატის ძე, შანორინსკი გაბრიელ აბრამის ძე, სუმაროკოვი ფეოდოსი ალექსანდრეს ძე, ავერიანოვი დიმიტრი ივანეს ძე, ბონდარენკო ვასილ პეტრეს ძე, კრუპნოვი მიხეილ გრიგოლის ძე, ჟუკოვი ავრაამ პახომის ძე, რუდაკოვი მიხეილ სერგოს ძე, ინოჩენცი რუდოლფ ადოლფის ძე, მელიკოვი დავით კონსტანტინეს ძე, ივნატიევი ტიმოფეი ივანეს ძე, ლიკშე-რეიმსკი ანატოლ ივანეს ძე, ვერემეევი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ვესელოვსკი ლეონიდ პეტრეს ძე, იოანიდი ოდისეი პეტრეს ძე, ქიქოძე კონსტანტინე პლატონის ძე, კალაშკაროვი გრიგოლ სტეფანეს ძე, შარიკოვი გიორგი სერგოს ძე, ბრილი კირილე ნიკიტის ძე, ყანჩელი ლევან რევაზის ძე, სამუშია დიმიტრი მაქსიმეს ძე, კასრაძე ნიკოლოზ სიმონის ძე, კიანჯუნცევი გრიგოლ ნერსესის ძე, კაპლუნი ლაზარე გრიგოლის ძე, კარელიკი პეტრე აპოლონის ძე, მაქსიმოვი მიხეილ მიხეილის ძე, ბლიზნიუკოვი ივანე დიმიტრის ძე, შიუკლე დავით ადამის ძე, გაჩეჩილაძე ვრიგოლ ზორასპის ძე, რუხაძე ნესტორ ფეოდორის ძე, დავიდოვი პეტრე გრიგოლის ძე, თოფურიძე ალექსანდრე დიომიდეს ძე, ტოტოლაშვილი მიხეილ ივანეს ძე, ვარდანაშვილი პეტრე სიმონის ძე, ხუციშვილი იოსებ გრიგოლის ძე, ანდრონიკაშვილი ირაკლი ივანეს ძე, ცირგილაძე იოსებ არჩილის ძე, რევიშვილი ლეონტი ავაკუმის ძე, ფალავანდოვი რომან ვასილის ძე, ცეკვაშვილი იაკობ პეტრეს ძე, ხიმშიაშვილი დიმიტრი ივანეს ძე, ჯაფარიძე მიხეილ დიმიტრის ძე, თავართქილაძე ალექსანდრე ივანეს ძე, ნიკოლაიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე, ტაბატაძე გიორგი ისიდორეს ძე, მარკოზაშვილი ივანე მარკოზის ძე, პაიჭაძე გერმან სამსონის ძე, ვარდოსანიძე შალვა ვასილის ძე, საყვარელიძე ივანე დიმიტრის ძე, კარსელოვი დავით დავითის ძე, სადუღიშვილი ვასილ ვისარიონის ძე.

23 ივნისს უნდა გამოცხადდენ:

ამაშუკელი გერასიმე იასონის ძე, ზერიონი ალექსანდრე მიხეილის ძე, შრეიდერი ნიკოლოზ ავგუსტის ძე, გოგსაძე სერგო პორფირის ძე, პოპოვი მიხეილ სერგოს ძე, შმულკოვსკი ბორის ლეონტის ძე, კოსტოვი აფანასი გაბრიელის ძე, ლევაშევი კონსტანტინე ვიქტორის ძე, ბობკოვი სიმონ გიორგის ძე, სერდიუკოვი ბორის ვასილის ძე, არტემენკო ფეოდორ კიპრიანოვის ძე, ბონდარიევი ივანე გრიგორის ძე, მიტროხინ ილია გიორგის ძე, ანიშუგ ვახტანგ მიხეილის ძე, ოსიპოვი კონსტანტინე ვასილის ძე, კორბონსკი ევგენი ანტონის ძე, ტიმოფეევი ივანე ნიკოლოზის ძე, პისანკო იაკობ ივანეს ძე, ტეპცოვი იოსებ იაკოვლევის ძე, აბრამოვიჩი ივანე ივანეს ძე, შავიშვილი ნიკიფორე შევარდენის ძე, ნუცუბიძე ვლადიმერ მიხეილის ძე, ლეპკი იაკობ იაკობის ძე, ბეკმარმარჩევი ლევ ილარიონის ძე, კსავერიევი პეტრე სერგოს ძე, უემბროვსკი მიხეილ ნიკოლოზის ძე, ზავერტალნი ალექსანდრე კოხიანის ძე, კაპანიცკი ნიკოლოზ ილიას ძე, კოზენეცკი პეტრე ფეოდორის ძე, ხარჩენკო გრიგოლ კირილეს ძე, კოშელევი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე, დეკაპრელოვიჩი ალექსანდრე კლემენტის ძე, ვერმიშევი ავაკუმი ალექსანდრეს ძე, პავლოვი ალექსი ვლადიმერის ძე, კანდელაკი შალვა დავითის ძე, ალაძე მიხეილ მიხეილის ძე, ცისკარიშვილი ივანე ფილიპეს ძე, გრაბოვსკი სერგო დემიანის ძე, შვეცი ალექსანდრე იაგორის ძე, ვავა იაკობ მიხეილის ძე, გუსევი ევგრაფ აფანასის ძე, ვარნაზოვი ვართან იოსების ძე, სანიკიძე აკაკი ონისიმეს ძე, სიდამონ-ერისთავი ივანე კონსტანტინეს ძე, სახოკია ვიქტორ ფეოდორის ძე, ქავთარაძე ბიძინა ისიდორეს ძე, მაჩაბელი კონსტანტინე სიმონის ძე, ქარციეაძე გიორგი ერდიშხანის ძე, ჩელაძე გიორგი ნიკოლოზის ძე, მელვიხეთ-უხუცესი კონსტანტინე ვასილის ძე, მოისრაფაშვილი არტემ ნიკოლოზის ძე, საჩინოვი გიორგი დიმიტრის ძე, ქუმსიაშვილი ვიორგი დიმიტრის ძე, მამუკაშვილი გიორგი გიორგის ძე, დვალი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე, ბაკუზოვი ისაკი სერგოს ძე, ელენტი გრიგოლ მიხეილის ძე, გაბაევი ნიკოლოზ გიორგის ძე, გრაჩევი მიხეილ მიხეილის ძე, ნებიერიძე დიმიტრი იოსების ძე, მონოსელიძე დავით მათეს ძე, მუკია ვასილ დემიანის ძე, სალომატინი ვასილ ივანეს ძე, ხოხანი საფა საფას ძე, ქარციეაძე სერგო გრიგორის ძე, ქუთათელაძე აპოლონ ყარამანის ძე.

უფროსთა შემადგენლობის ის პირნი, რომელნიც არ გამოცხადდებიან ზემო ნაჩვენებ დღეებში, მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ გამოწვეულ იქნებიან მილიციის საშუალებით.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარი **საყვარელიძე.**

თანაშემწე **ფანჯავიძე.**

სამობილიზაციო ნაწილის უფროსი **სიდამონ-ერისთავი.**

(სიის გაგრძელება იქნება ხვალ)

იურიდიული რჩევა-დახმარება

რამდენი უნდა გადავიხადო წყლის ფულად

კითხვა

ვარ სტუდენტი სახელმწიფო უნივერსიტეტის, ვარ განთავისუფლებული სწავლის ფულისაგან, როგორც ღარიბი. მიუხედავად ამისა, წყლის ფულს მახდევინებენ, როგორც კერძო ჩარჩვაჭრებს, რაც ჩემთვის შეუძლებელია.

გთხოვთ მომცეთ ახსნა-განმარტება, კანონიერია თუ არა წყლის კომისიის ასეთი მოთხოვნა და რამდენი უნდა გადავიხადო ვედრო წყალზე.

მცხ. გოგოლის ქ. № 59.

პასუხი

როგორც ღარიბი და უმწეო მოწაფე, წყლის საფასურს თქვენ გადიხდით შეღავათით კავშირის წევრთან თანაბრად და არა როგორც კერძო ვაჭარი.

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

მე ვცხოვრობ ჩემი დედით და დით ყოფ. პეტროვის შესახვევში სახ. № 18-ში, მიჭირავს ორი ოთახი ზომით 45 კვ. არშინი, წინათ ქირას ვაძლევდი 10 მანეთის რაოდენობით, ეხლა კი სახლის პატრონი მთხოვს 15 მანეთს, ვარ ღარიბი სტუდენტი, აგრეთვე კავშირის წევრი უმუშევარი. გთხოვთ მიპასუხოთ რამდენი უნდა გადავიხადო თითოეულ კვადრატიულ არშინზე ბინის ქირად ან და სად შევიტანო იგი, თუ სახლის პატრონმა ქირა არ მიიღო.

ნ. ქ.

პასუხი

როგორც კავშირის უმუშევარი წევრი თითოეულ კვადრატიულ არშინზე ბინის ქირად გადაიხდით ერთ კაპეიკს. თუ სახლის პატრონი ამას არ მიიღებს, შეიტანეთ იგი თბილისის ხაზინაში იუსტიციის სახკომის დეპოზიტში.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— დღეს, 18 ივნისს, დილის 10 საათზე შესდგება **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.**

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო ამით აცხადებს, ცალკე უჯრედთა წევრების საყურადღებოთ, რომ ა.-წ. 18 ივნისს (პარასკევი). საღამოს 5 საათზე მოწვეულია **კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება.**

დღის წესრიგში დასმულია: **ფრიად სერიოზული — ადგილობრივი საკითხები.**

დასწრება სავალდებულოა.

ვის აქვს საწინააღმდეგო?

— ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლის 1-ლ კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1. ფასეიშვილი გიორგი ასალოს-ძე (უპარტიო ოზურგეთის მაზრის, სოფელ ციხის ფერდის მცხოვრები), 2. ლორია ბენია ასლანის-ძე (კომკავშირის წევრი. ქუთაისის მაზრის, სოფელ ნოღის მცხოვრები), 3. რუხაძე ვასილ რაჟდენის-ძე (უპარტიო სენაკის მაზრა სოფელ ქოლობნის მცხოვრები). კომუჯრედი სთხოვს ყველას, თუ ვინმეს რამე უარყოფითი ცნობები მოეპოვება აღნიშნულ ამხ. შესახებ გვაცნობოთ ათი დღის განმავლობაში.

მდივანი: **ნაფეტვარიძე.**

— **საქართველოს უნივერსიტეტთან არსებულ ქართულ მუშფაკის ბიურო კოლექტივი** ამით აცხადებს კომუჯრედების წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ დღეს 18 ივნისს, საღამოს 6 საათზე, შესდგება უჯრედების გაერთიანებული დახურული კრება, სადაც დასმული იქნება ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

საზაფხულო კინო
ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)
საზაფხულო
აპოლო
(არტოს ბაღში, პლეხ. № 105).
სოლეი
ნ. 1375 0—15

ასტა ნილსენის და ალფრედ აბელი სურათში
„ქალი ცეცხლში“
საუკეთესო სურათი
„სიკვდილზე უსწრაფესი“
(ტრიუკების მეფე) მთავარ როლებში: გარრი პილი და ულამაზესი ქალი მერი ხოლმი
ვინც კინოს ბილეთს შეიძენს, ბაღში უფასოდ შედის. კინოს შენობა გადახურულია, სეანსები ყოველდღე მიდის.
სეზონის საუკეთესო სურათი ფერნ ადრის მონაწილეობ.
„სიცოცხლის და სიყვარულის ტალღები“
განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს
ანონსი: ამ დღეებში „მეცხრე ზვირთი“

საზაფხულო ბაღი მუშათა ახალი კლუბის
(ყოფილი ქართული კლუბი სასახლის ქ. № 5).
დღეს, და ყოველ კვირეულად გაიმართება
სიმფონიური კონცერტები
დამსახურებულ მსახიობ ს. ა. სტოლერმანის ხელმძღვანელობით.
2846 დასაწყ. საღ. 8 ნახ. საათზე.

სახელმწიფო ოპერის თეატრი
კვირას, 20 ივნისს 1926 წ,
გაიმართება კონცერტი 3 განყ.
კომპოზ. კოტე მეღვინეთ-უხუცესის
(ევოლიუცია ქართული სიმღერებისა)
პროგრამაში შედის მთავარი ადგილები ქართული ორიგინალური ოპერებიდან: „დაისი“, „აბესალომ და ეთერი“, მუს. ფალიაშვილის: „თქმულება შოთა რუსთაველზე“, მუს. არაყიშვილის და „ამირანი“ (ახალი ქართული ორიგინალური ოპერა კომპ. კ. მეღვინეთ-უხუცესის).
მონაწილეობენ: 1. სახ. ოპ. მსახიობნი: გაბაშიძე, მრავალი, მაყაშვილი, ვენაძე, ქუმსიაშვილი, ლორთქიფანიძე, 2. ლენინგრადის აკად. სტუდიის თამ. მეღვინეთ-უხუცესი, 3. ხორეოგრაფიული ქართული სტუდია მირიმანოვა-კლეისტისა.
როიალთან და გარმონიუმთან: სახ. ოპ. ლოტბარი ა. მელიქ-ფაშაევი და კომპოზ. კ. მეღვინეთ-უხუცესი.
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში დილ. 11—3 და საღ. 6-9 ს. დასაწყისი საღ. 8 ს. ნ. 1439 3—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 50—3

დაბრუნდა
ექიმი ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი
მიღება საღამოს 7—8 საათ. (ლენინის და ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82.
25—1 ქვ. 2356

თბილ. სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა
კლინიკაში
(პლეხანოვის პროსპ. № 126)
დაიწყო მუშაობა
რენტგენის კაბინეტმა
შეიძლება კბილების და პირისახის ძვლების გაშუქება და მათი სურათის გადაღება. 2799. 25—1

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიიღება დილ. 6 ნახ.—8 საათ., საღამოს 5-დან—9 საათამდე. ქალები 12—2 საათ. დღის.
მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად.

საქართველოს კურორტები
ბორჯომი: გაიხსნა საუკეთესოდ მორთული სახელმწიფო სანატორიუმები გულის, კუჭ-ნაწლავების, ღვიძლისა და თირკმლების ავადმყოფობით, სისხლნაკლულობით დაავადებულთათვის, აგრეთვე გამოსაჯანმრთელებელთათვის. საუკეთესო კვება, ყოველგვარი დიეტა. მკურნალობის ყველა ფიზიკური მეთოდები: მინერალური ვანები, ნახშირმჟავა გაზის ვანები, მკურნალობა მზით (გელიოთერაპია), წყლით (ჰიდროთერაპია) ელექტრიზაცია, ელექტრო - ინგალიაცია, ტალახით მკურნალობა, მასაჟი, სამკურნალო ტანვარჯიშობა, მინერალური ნახშირმჟავა-ტუტიანი წყაროები—ეკატერინის („კავკასიური ვიში“) და ევგენიის. კურორტი მუშაობს 15 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე, სპეციალისტი ექიმები ყველა სნეულებათათვის. ფასი: საწოლი თვიურად იმ ორგანიზაციებისათვის, რომელნიც აიღებენ არა ნაკლებ 5 საწოლისა, ეღირება—175 მანეთი, პროფკავშირების წევრთათვის—185 მანეთი, თავისუფალი პროფესიის პირთათვის—235 მან.
აბასთუმანი: (საქართველოს დავოსი) 1300—მეტრი. საუკეთესო მთიანი-კლიმატიური სადგური. გაიხსნა საუცხოვოდ მოწყობილი სახელმწიფო სანატორიუმები ფილტვების ტუბერკულოზით ახლად შეპყრობილთათვის. სანატორიუმები იმუშავებენ მთელი წლის განმავლობაში. სპეციალური მკურნალობა და გამოკვლევა ყველა მეთოდებით—პნევმოტორაქსი, ჰიდროტერაპია, რენტგენი, მინერალური ვანები და სხვ. სპეციალისტი ექიმები. იმ ორგანიზაციებისათვის რომელნიც აიღებენ არა ნაკლებ 5 საწოლისა, ერთი საწოლი ეღირება თვიურად 170 მანეთი, პროფკავშირების წევრთათვის—180 მან., კერძო პირთათვის—230 მან.
პატარა-ცემი: 1370 მეტრი. საუკეთესო მთიანი-კლიმატიური სადგური გულსუსტთა და ტუბერკულოზით ახლად შეპყრობილთათვის. სახელმწიფო სანატარიუმი მუშაობს 15 ივნისიდან 15 სექტემბრამდე. იმ ორგანიზაციებისათვის, რომელნიც იქირავებენ არა ნაკლებ 5 საწოლისა, ერთი საწოლი თვიურად ეღირება 160 მან., პროფკავშირების წევრთათვის—170 მან., კერძო პირთათვის—220 მან.
მიმართეთ მთავარ საკურორტო სამმართველოს: თბილისი, ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) № 30.
ნ. 1437 2—2

საჯარო ვაჭრობა
ტომრების, ყუთების, ტკბილეულობის, შაქრის ნაფჩხვენების და სხვადასხვა ინვენტარის გაყიდვაზე შესდგება ა. წ. 20 ივნისს დილის 9 საათზე მუშკოოპის ეზოში— ჟორესის ქ. № 7.
ნ. 1448 —მუშკოოპის გამგეობა

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის“-ს მთავარი კანტორა, რუსთველის პროსპექტი № 34
0—1

შენაერთი ქვა-ნახშირის მრეწველობის და მინერალურ სათბობით ვაჭრობისა
ს. მ. უ. ს.
„სახელმწიფო სათბობი“
ნიშნავს ივნისის 28 1926 წლისა დღის 12 საათზე თავის შენობაში, პუშკინის ქუჩა № 3
დახურულ ვაჭრობას
ტყიბულის მაღაროების ტერიტორიაზე აგურისა და ხის სამი შენობის აგების შესახებ: 1) 50 მუშის საცხოვრებელი, 2) სატელეფონო სადგურის და 3) საჯინიბოს შენობებისა.
სახელმწიფო დაწესებულებანი და წარმოებანი, აგრეთვე კერძო პირებიც, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა ვაჭრობაში, კეთილ ინებებენ წარმოადგინონ ამის შესახებ სათანადო განცხადებები დახურულ კონვერტებში „სახელმწიფო სათბობის“ მართველის მისამართით, კონვერტზე უნდა იყოს აღნიშნული: „ტყიბულის მაღაროებში სამი შენობის აგების ვაჭრობისათვის“. განცხადებაში უნდა იყოს აღნიშნული: ფასი და ვადა შენობების აგებისა.
ყველა შემჯიბრებელმა, რომელნიც არ არიან განთავისუფლებულნი სახელმწიფო საიჯარო აღების დროს ბეს შემოტანისაგან, ვაჭრობის დღეს სახელმწიფო სათბობის სალაროში უნდა შემოიტანოს 10 პროც. მთელი სამუშაოების ღირებულებისა, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვით უდრის 35,698 მან. 83 კაპ.
ყველა დამატებით ცნობების, ტეხნიკურ პირობების, ნახაზების და ხარჯთ-აღრიცხვების შესახებ მსურველებმა უნდა მიმართონ სახელმწიფო სათბობის სამმართველოს- პუშკინის ქ. სახლი № 3. ყოველდღიურად დილის 10 საათიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე. ნ. 1449

საქართველოს საკურორტო სამმართველო აცხადებს:
ამ რამოდენიმე დღეში
გაიხსნება აგარ. წაღვერში
პანსიონატი
ყველა მსურველ მოქალაქეებისათვის. ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება სამართველოში 10—2 საათამდე ამხ. ი. კვანტალიანთან 3—1 ნ. 1433

ვინაიდან „მოსკვოშვეი“-ს
თბილისის განყოფილება
დაიხურა ა. წ. 1 ივნისს, „მოსკვოშვეი“-ს ნაწარმოებით მთელ საბითუმო და საცალო ვაჭრობას ამიერ-კავკასიაში აწარმოებს
ამიერ-კავკასიის განყოფილება
ქ. ბაქოში, ფიოლეტოვის ქ. № 10.
ყველა სახელმწიფო და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა და აგრეთვე კერძო პირებმა დაკვეთებით უნდა მიმართონ ხსენებულ განყოფილებას ბაქოში.
„მოსკვოშვეის“ ლიკვიდაცია ქმნილ თბილისის განყოფილების საქმეებზე გთხოვთ მიმართოთ რწმუნებულს ა. ა. ხუციევს: გუნიბის ქ. № 1. საღამო 6-დან 8 საათამდე.
„მოსკოვოშვეის“ თბილისის განყოფილების
ნ. 1445. გამგე მ. საფაროვი.

ექიმი
მეგრაბიანცი
ფილტვების, ყელის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით და რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. მიღება დილ. 9—1 და საღ. 5—8 საათ.
ბებუთოვის ქუჩ., № 23, შაბათ-კვირაობით ავადმყოფები მიიღებიან აგარაკ მანგლისში. 25—1

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ყოფ. ელისაბედის ქუჩა, № 3.
2215 3—1

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
მიღება დილის 8—11, საღ. 6—8. პლეხანოვის პროსპექტი, № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
537 25—12

ექიმი ნ. ტურიაშვილი
ქალის სნეულებანი და მეანობა
მიღება 2—5 ს. საბჭოს ქუჩა (ყოფილი ჩერქეზოვის) № 22. 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე — სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8.

დაჰკარგე სალექციო წიგნაკი № 1286 სტ. ი. ქ. ქარუმიძის სახელზე, ჩ. გ. 2847

ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 12—2 საათ, დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან.

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების— დილით 8—9 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ., № 4 ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ). 25—18

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 ღებულობს ავადმყოფებს კანის, სიფილისის და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები. დილით 6 ნახ.—7 ნახ. საათამდის საღამოთი 4—8 საათამდის.

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 368 და პირადობის მოწმობა № 444, კირილე პეტრესძე წოწორიას სახელზე, ჩ. გ. 2845

დავკარგე პირადობის მოწმობა № 25070 და კავშირის წიგნაკი № 74706 შალვა ქუთათელაძეს სახელზე, ჩ. გ. 2842

დავკარგე ერთიანი პარტბილეთი № 493271, გიორგი ოქროპირისძე კილაძის სახელზე, ჩ. გ. 2843

დავკარგე თვითმშრომელთა კავშირის წიგნაკი № 3154, პასპორტი და კანალიზაციის ქვითარები, გიორგი ფეკვიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2841

დაკარგულია საბინაო დავთარი სახლი № 7, ასანიძესი, მდებარე ფეოდოსის ქ. ჩიხი № 2, 1925 წლის, ჩ. გ. 2844

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 1779, ალექსანდრე სამხარაძის სახელზე, ჩ. გ. 2848

დავკარგე სამხედრო საალრიცხვო ბარათი № 24, და მგზავრობის მოწმობა იასონ სიმონის-ძე რაზმაძეს სახელზე, ჩ. გ. 2851

დავკარგე ქალ. გორის კომუნალურ ბანკის საექციო ქვითარები №№ 527—30 მანეთის, № 613—20 მანეთის, იასონ ხომასურიძეს სახელზე, ჩ. გ. 2851

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68